

ISSN 2346-8416

ამქალანი

სამოსაველური ჟურნალი

გამოდის ორ თვეში ერთხელ

3

ივლისი – აგვისტო

თბილისი

2016

„არმატანი – შორით მოსულისაგან მოღებული
მის თემის ძღვენი“ (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წ.

მაგალი თოდუას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი


ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი

ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე



მაგალი თოდუა
შვილთაშვილები – ელენე და ეკატერინე ლეკვეიშვილები, მარიამ და დავით ლომიძეები

რედაქციისგან

სულ რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც მაგალი თოდუამ თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრი განახორციელა და დააარსა ჟურნალი „არმალანი“, რითაც, პრაქტიკულად, ახალი სიცოცხლე მისცა რამდენიმე ათეული წლის წინ განხორციელებულ თავისსავე პროექტს – აღმოსავლური მწერლობის ნიმუშების ქართული თარგმანების გამოცემის საქმეს.

ჟურნალის პირველ ნომერს, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში გამოვიდა, ერთვის მისი დამაარსებლის წინათქმა, სადაც იგი მოკლედ, მაგრამ ტკივილიანად აღნიშნავს, რომ ასეთი საჭირო პროექტები ჩვენს პრაგმატულ საუკუნეში უყურადღებოდ და დაუფინანსებლად რჩება ხოლმე. თუმცა ამ სიძნელემ ვერ შეაჩერა მაგალი თოდუა. პირველი ნომერი საკუთარი ხარჯით გამოსცა – სულ 30 ცალი. მაგრამ სჯეროდა, რომ საზოგადოება – ის ადამიანები, ვისაც ესმის ლიტერატურის და მხატვრული თარგმანის ფასი, აიტაცებდა მის იდეას და გააგრძელებდა საქმეს, რომელსაც მაგალი თოდუას სახელი ჰქვია და რომელიც ყველას ეკუთვნის.

მას ჰქონდა ის განსაკუთრებული შემოქმედებითი და, თუ გნებავთ, ადამიანური ალლო, რომელიც უტყუარად აგრძნობინებდა, რისი წამოწყება ღირდა, რას ჰქონდა ფასი და ღირებულება და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მისი პროექტები, როგორც წესი, წარმატებული აღმოჩნდებოდა ხოლმე. ის ენთუზიაზმი, პროფესიონალიზმი და ახალგაზრდული გზნება, რომელიც მას 90 წლის ასაკშიც გამოარჩევდა, არავის ტოვებდა გულგრილს და ადამიანები, თითქოს ჰიპნოზის ქვეშ, მისი პიროვნული თუ შემოქმედებითი მუხტით მონუსხულები, „მორჩილად და თვინიერად“ იზიარებდნენ მის სამეცნიერო თუ შემოქმედებით თავგადასავლებს.

მისი რწმენა ადამიანების მიმართ გამართლდა. რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც ისე აღიქვა ამ საჭირო ჟურნალის დაარსების ფაქტი, როგორც ეს მის დამფუძნებელს ესმოდა და სჯეროდა – „ქართველს აქვს ის დვრიტა, რომელიც ყოველთვის იყო მასში“. ბევრმა გამოთქვა სურვილი, დაებეჭდა საკუთარი თარგმანი და გარკვეული თანხა გაეღო ჟურნალის გამოცემისთვის.

სამწუხაროდ, ჟურნალის მეორე ნომერი მაგალი თოდუამ ვეღარ იხილა, სულ ერთი კვირით დაგვაგვიანდა...

წინამდებარე, მესამე, ნომერში ჟურნალის პირველი ნომრის სატიტულო გვერდსა და ჟურნალში დაბეჭდილ თავად მაგალი თოდუას თარგმანებს წარმოგიდგენთ იმის ნიმუშად, თუ როგორი მუშაობა იცოდა ამ დაუოკებელმა კაცმა. ის ასწორებდა არა მარტო იმას და იქ, სადაც, დამკვიდრებული ადამიანური ლოგიკით, ამას რამე გამართლება და „აზრი“ შეიძლებოდა ჰქონოდა. ის თავისი 92 წლის ასაკშიც მხოლოდ თავისი „ულოგიკო“ ენთუზიაზმისთვის ბუნებრივი გულმოდგინებით საქმიანობდა. დაბეჭდილი მისთვის არ ნიშნავდა ჩავლილს. მის ნაწერებს, თარგმანებს, გამოკვლევებს, ვარიანტებს – მუდამ ჰქონდათ მომავალი და პერსპექტივა. ისევე, როგორც ამ ნაშრომების ხანდაზმულ, მაგრამ მარად ჭაბუკ მოამაგეს...

ჟურნალის მესამე ნომერი ეძღვნება მისი დამაარსებლის, ფაქტობრივი რედაქტორისა და კორექტორის, დიზაინერისა და გამფორმებლის – მაგალი თოდუას ხსოვნას. ნომერში იმ ადამიანების მოგონებები შევიდა, ვისთვისაც ძვირფასი იყო ამ დიდ და უბრალო პიროვნებასთან ნაცნობობა თუ მეგობრობა. სრულიად სხვადასხვა ასაკის, საზოგადოებრივი სტატუსისა და ცენზის ადამიანების მოგონებების ფონზე ყველაზე

უკეთ იკვეთება მაგალი თოდუას – პიროვნებისა და მეცნიერის, ორგანიზატორისა და შემოქმედის – პორტრეტი.

„არმაღანის“ წინამდებარე – მესამე – ნომერში შევიტანეთ, ასევე, ჟურნალ „კალამში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ მაგალი თოდუასთან (ჟურნალის რედაქციისა და ინტერვიუს ავტორის ნებართვით). გარდა იმისა, რომ ინტერვიუ მაგალი თოდუას ცხოვრებისა და საქმიანობის თაობაზე საინტერესო მასალას იძლევა, შესანიშნავად გამოკვეთს თავად მის მიმართებას ამა თუ იმ მოვლენისა და პიროვნებისადმი. რედაქციამ ხელუხლებლად დატოვა თხრობის ის სტილი, რომელიც დამახასიათებელი იყო მაგალი თოდუასთვის და რომელიც თვითმყოფად ხიბლს სძენდა მის საუბარს ნებისმიერ თემაზე.


ჟურნალში ჩართულია მაგალი თოდუას მიერ შესრულებული მეგობრული შარყები. ვფიქრობთ, ეს მცირე ჩანართი კიდევ ერთ შტრიხს შესძენს ამ მრავალმხრივი პიროვნების პორტრეტს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჟურნალში წარმოდგენილ მოგონებებში რედაქციას არსებითი კორექტივები არ შეუტანია, რათა დაცული ყოფილიყო ავტორების წერის სტილი და ინდივიდუალური სულისკვეთება.

„ირანისტი გავხდი სრულიად შემთხვევით“ (ინტერვიუ მაგალი თოდუასთან)

სპარსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეორე კურსზე შემთხვევით მოხვედრილმა ახალგაზრდამ სპარსულად წერა-კითხვაც კი არ იცოდა. მაგრამ გამოხდა ხანი და სწორედ მისი თავდაუზოგავი შრომით გამდიდრდა და შეივსო ქართული ლიტერატურა კლასიკური პერიოდის სპარსული ლიტერატურის ქართული თარგმანებით. კაცმა, რომელიც „არავითარ ირანისტობას არ აპირებდა“, ფასდაუდებელი შრომა გასწია ქართულ ირანისტიკაში. ერთ დროს სამთამადნო ფაკულტეტის სტუდენტმა, უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ქართული ორიენტალისტიკის განვითარების საქმეში.

ჟურნალ „კალამის“ სტუმარია აღმოსავლეთმცოდნე ირანისტი, პროფესორი მაგალი თოდუა.



– ბატონო მაგალი, როგორ გახდით ირანისტი?

– ირანისტი გავხდი სრულიად შემთხვევით. სკოლა დავამთავრე სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში. მეექვსე კლასში ისე გადავედი, რომ ქართული არ ვიცოდი. წარმოგიდგენიათ, დღეს ყველა ქართულად ლაპარაკობს, მეგრული აღარ იციან?! არ შემეძლო ქართულად მოყოლა და ვიზეპირებდი ყველაფერს.

ადრე, აღმოსავლეთის ქვეყნებში, სწავლება იყო დაზეპირებით და ამას ძალიან დიდი პლიუსი აქვს, ეს დაზეპირება ძალიან შველის კაცს.

მეექვსე კლასში დავალეზად გვქონდა „გლახის ნაამბობი“. დედამ ნაწარმოები მომაცოლა, მერე პირფვარი გადამწერა და მითხრა, დღეს შენ წახვალ და გაკვეთილს კარგად ჩააბარებო. მივედი, გამომიძახა მასწავლებელმა და ჩავფლავდი. დამემართა ისტერიკა და ღრი-

აღით წამოვედი სახლში. მხოლოდ VII-VIII კლასში შევძელი ქართულად მოყოლა.

უფროსი ძმა ბევრს მაკითხებდა და მასწავლიდა (თვითონ ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და ნიძლავიც კი ჰქონდა მოგებული. გაზეთში და ჟურნალშიც იყო ამის შესახებ დაწერილი). ამიტომ „ამირანდარეჯანიანები“, „ვისრამიანები“, „შაჰნამეები“ – ეს ყველაფერი წაკითხული მქონდა. მართალია, აღმოსავლეთი და მისი ლიტერატურა მიყვარდა, მაგრამ, ბუნებრივია, ირანისტობას არ ვაპირებდი.

ომი იყო. უფროსი ძმა ფრონტზე დაიკარგა, მეორე ძმა ფრონტზე იყო და მეც უნდა წავეყვანეთ ჯარში. მამაჩემმა, ჯარში რომ არ წავეყვანეთ, გეპეიში (ახლანდელ ტექნიკურ უნივერსიტეტში), სამთო (სამთამადნო) ფაკულტეტზე, მარკშეიდერის სპეციალობაზე შემიყვანა. ატესტატი ხუთოსნის მქონდა და მი-

მიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიამათემატიკა ვიცოდი, მაინც ვერ გავუძელი, მივატოვე და წამოვედი.

მეორე წელს არც უნივერსიტეტში არ მინდოდა ჩაბარება, ამიტომ ჩემი ატესტატი დავხიე. დეიდაჩემს აუკრეფია ეს ნაკუნები, მისულა უნივერსიტეტში, შესულა ილია ვეკუასთან, რომელიც მაშინ პრორექტორი იყო და უთქვამს, ბატონო ილია, ჯიბგირებმა წაართვეს ატესტატი და დაუხიესო. ბატონ ილიას დაურეკავს სამინისტროში და იქიდან დუბლიკატი გამოუგზავნიან. ვეკუას უკითხავს, რომელ ფაკულტეტზე დავსვითო? დეიდაჩემს უფიქრია, სულ წიგნებს კითხულობსო და, ფილოსოფიურზეო, უპასუხია. უნივერსიტეტმა გვიან ჩარიცხულების დამატებითი სია გამოაქვეყნა. მათ შორის ვიყავი მეც. მაშინ უკვე შემრცხვა და ჩამოვედი.

ვარ ფილოსოფიის ფაკულტეტზე, მაგრამ სადაა ფილოსოფია, სულ მარქსიზმი და ლენინიზმი! დაწერე განცხადება და მოვითხოვე ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადაყვანა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობდნენ კავკასიურ, აღმოსავლურ და ბერძნულ ენებს. აღმოსავლური ენებიდან სწავლობდნენ არაბულს, თურქულს, სპარსულს და სომხურს. მე შევედი ბერძნულზე.

სექტემბრის დასაწყისში, II კურსის სტუდენტი, უნივერსიტეტის I კორპუსის პირველ სართულზე რიგში ვიდექი პურის ტალონის ასაღებად. ამ დროს მომიახლოვდა ბატონი იუსტინე აბულაძე – მაღალი, ხანში შესული, საინტერესო კაცი (მეხსიერებასთან ცოტა არ იყო მჭიდრო კავშირში...) და მითხრა, სად ხართ, ბატონო, რამდენი ხანია, თქვენ გეძებთო?! „რა ხდება ჩემს თავს!“ – ვფიქრობ. შემიყვანა ალ. ბარამიძესთან და ეუბნება, ა ბატონო, წყალივით იცის სპარსულიო. რა, ბატონო, რა სპარსულ-

ზე მელაპარაკებით, მე სპარსული საერთოდ არ ვიცი-მეთქი! თურმე რა ხდება, – ეს ბევრმა არ იცის და ხაზგასმით მინდა ვთქვა: ომი თავდება, თუ გათავდა. სტალინი იწყებს ახალ დიპლომატიურ თამაშებს. აღმოსავლეთის და აზიის ქვეყნებში, არაბულ სამყაროში და აფრიკაში, ელჩებად და დიპლომატებად უნდა, რომ იყოს შავგვრემანი ხალხი და ამიტომ იხსნება, თურმე, აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტი ორი სპეციალობით: დიპლომატიისა და აღმოსავლური ფილოლოგიის. ბრძანება უკვე დაწერილია და ეძებენ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შესაყვან ხალხს იმ ბაზიდან, პირველ კურსზე რომ სწავლობდნენ სპარსულ, არაბულ, სომხურ და თურქულ ენებს. როგორც ჩანს, ბატონ იუსტინეს სხვაში შევეშალე.

დეკანატში მკითხეს, თანახმა ვიყავი, თუ არა. მაშინ ახალი ნაკითხული მქონდა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, სადაც აღწერილია ირანი. ვიფიქრე, გეპეის ფაკულტეტი გამოვიარე, უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი გამოვიარე, ვნახავ, ერთი, აქ რა ხდება-მეთქი და დავთანხმდი. შევედი ლექციაზე. ზის გამხდარი ფერმკრთალი გოგო – თინა ჭავჭავაძე (ზურაბ ჭავჭავაძის დედა). ამ დროს შემოვიდა დავით კობიძე. დაიწყო თინამ „თუთი-ნამეს“ კითხვა – ბატონი იუსტინეს ქრესტომათიის პირველი გამოცემიდან. ბულბულივით კითხულობს სპარსულს. ახლა განაგრძეთ თქვენო! – ბატონმა დავითმა მითხრა. იქ იყო კიდეც ორი ჯგუფი, – მაკარ ხუბუასი და ვლადიმერ ფუთურიძის. ბატონმა დავითმა იფიქრა, ალბათ, რომ რომელიმე ჯგუფიდან ვიყავი და, როდესაც გაიგო, რომ მე სპარსული არ ვიცოდი, მიმიყვანა ლეილა თუშიშვილთან და სთხოვა, დამხმარებოდა სპარსულის შესწავლაში. მან დამანყებინა სპარსული და, არათუ დამანია, ზოგს გავუს-

წარი კიდევ. ასე გავხდი ირანისტი.

1969 წელს წავედი პირველად ირანში. საზღვარზე რომ გადავედი (იმ პერიოდში „ვისრამიანს“ ვბეჭდავდით), ვიფიქრე, ესენი იმიტომ ლაპარაკობდნენ ასე გარკვევით, რომ მე კარგად გამეგო (იცინის). ახლა რომ კომპიუტერებია, მაშინ ერთი სტატიის დასაწერად ექვსი ქალაქი მომივლია ხოლმე — ერევანი, ტაშკენტი, დუშანბე, ბაქო, მოსკოვი. რამდენჯერ იყო ასეთი შემთხვევა. ძნელი იყო. საერთოდ, ძნელია მეცნიერება. ამიტომაც, რომ თავს არიდებენ. თუკი მართლა გინდა, რომ ირანისტი და მეცნიერი იყო, ბევრი მუშაობაა საჭირო.

– 90-იან წლებში თქვენ იყავით ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი. როგორ იხსენებთ ამ პერიოდს?

– ამ პერიოდს ვიხსენებ კარგადაც და ცუდადაც. ეს ის პერიოდია, როცა ზვიად გამსახურდიას გადაყენებს უპირებენ. ქვეყანაში საშინელი მდგომარეობაა, შიმშილობაა.

აი, ამ პერიოდში, ბატონმა გურამ ჩიქოვანმა და ამირან ლომთაძემ დააარსეს ქუთაისში აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილება. მოვიდა გურამ ჩიქოვანი და მეუბნება, რომ რექტორი მოხსნეს, ახალ რექტორს ეძებნო.

საერთოდ, მე სულ ნერვებს მიშლიდა ის, რომ არ არსებობდა სპეციალური ცენტრი, რომელიც მოახდენდა დიალექტოლოგიური და ენათმეცნიერული ტექსტების, ენობრივი, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების ჩანერას. ჩემი თაობის ბევრი მომავალი მეცნიერი ამ დარგში იყენებდა იოსებ ყიფშიძის მიერ გამოცემულ წიგნს „Грамматика мингрельского (иверского) азыка“, რადგან თავიანთ მასალებს არ ენდობოდნენ. ეს მე ძალიან მაღიზიანებდა და ამიტომ სულ ვოცნებობდი, როგორმე დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი დამეარსებინა. ამიტომ გადავწყვიტე ქუ-

თაისის უნივერსიტეტში რექტორად წასვლა და იქ დიალექტოლოგიის ინტიტუტის დაარსება.

ჩავედი ქუთაისში და რა დამხვდა: საშინელი პირობები, პური არ იშოვება, გაჭირვებაა. მანქანებს იპარავდნენ, ამიტომ ფეხით დავდიოდი ყველგან, მატარებლით ჩამოვდიოდი თბილისში. მე და ჩემი მეუღლე ზოგჯერ ვმომშობოდით კიდევ. მართალია, ხალხს უნდოდა ჩემი პატივისცემა, მაგრამ მე არ შემეძლო, მესარგებლა იმით, რომ რექტორი ვიყავი და მეგრილა და მექეიფა. ამიტომ შემერქვა უჟმური კაცის სახელი. მაგრამ მე ეს ნაკლებად მაინტერესებდა.

აი, ასეთ გაჭირვებაში ვცხოვრობდი. მერე ჩამოვიდა თეიმურაზ შაშიაშვილი. რომ გაიგო, ორი წლის განმავლობაში შვიდ კვადრატულ მეტრში ვცხოვრობდი, შემომითვალა, რომ ძალიან მალე ახალ ბინას მომცემდა. მართლაც, როგორც კი განთავისუფლდა მერიის ახლოს ცენტრში ნათელი, იზოლირებული, ოროთახიანი ბინა, ზუსტად ხუთ დღეში გადმომცა.

რაც მთავარია, ღმერთმა ისმინა ის, რაც მინდოდა – დავაარსე დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც დღეს მსოფლიოში ერთადერთია.

– დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორად ვინ დაინიშნა?

– მე თვითონ დავინიშნე ჩემი თავი დირექტორად და მევე დავაკომპლექტე. შევარჩიე უნიჭიერესი ბავშვები და შევადგინე სამი ჯგუფი. თითოში იყო სამი კაცი: ლინგვისტი, ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი. ამ ჯგუფებს ვუნოდე „შეკრული წრე“ (სხვათა შორის, იმ დღეს ჯანრი კაშია მეუბნებოდა, რომ, თურმე, ფრანგებს უხმარიათ ჩემი მოფიქრებული ეს ტერმინი) და გავაგზავნე ერთი ჯგუფი სამეგრელოში, ორი კი – იმერეთში.

– და რატომ „შეკრული წრე“?

– „შეკრული წრე“ იმიტომ ჰქვია, რომ უნდა ჩაინეროს ყველაფერი ყოველდღიურად – 365 დღის განმავლობაში. იცვლება წელიწადის დრო, ბუნება, ადამიანების დამოკიდებულება ბუნებისადმი; იცვლება სამუშაო პირობები, მეურნეობის ფორმები – ყველაფერი ეს ენობრივად უნდა ჩაენერა ლინგვისტს მაგნიტოფონზე, ფოლოკლორისტს – ფოლკლორული და ეთნოგრაფს – ეთნოგრაფიული მასალები. ეს წრე მუშაობდა ძალიან კარგად.

გავიდა ერთი წელი და მოგროვდა ეს მასალები. ახლა მათ უნდოდა მეცნიერული გარჩევა, დამუშავება. ამიტომ დავინწყე ყოველწლიური ერთკვირიანი სამეცნიერო სესიები, რომლებსაც „ქუთაისური საუბრები“ ვუწოდებ. სესიებზე დასასწრებად ქუთაისში ჩამოდიოდნენ როგორც თბილისელი, ისე უცხოელი მეცნიერები.

ქუთაისის უნივერსიტეტში დავაარსე ერთი-ორი ფაკულტეტი, ვინაიდან მაშინ ცუდი წლები იყო და დასავლეთ საქართველოდან ახალგაზრდები ვერ მოდიოდნენ თბილისში. სხვათა შორის, შარშან, სამარშუტო ტაქსს ველოდები და ამ დროს ვიღაცამ მანქანა გამიჩერა. გადმოვიდა იქიდან კაცი და მეუბნება, ვერ მიცანითო, ბატონო მაგალი? აი, მე დიდი კაცი გავხდი და, თქვენ რომ ეკონომიკის ფაკულტეტი არ გაგეხსნათ ქუთაისში, როგორ ვისწავლიდი, თბილისში ხომ ვერ ჩამოვიდოდით?!

– ახლა ვინ ხელმძღვანელობს თქვენ მიერ დაარსებულ დიალექტოლოგიის ცენტრს?

– მე წესდება შევადგინე, თუ როგორ უნდა იმუშაონ, მაგრამ მე ხომ ლინგვისტი არ ვარ?! ამიტომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორთან, ქალბატონ ქეთო ლომთათიძესთან და თედო უთურგაიძესთან, – ორივე დიდი მეცნიერი და ქართველოლოგია, – მივედი და ვუთხარი, რომ მინდოდა დირექ-

ტორი. შემირჩიეს ტარიელ ფუტყარაძე, მართლა ნიჭიერი კაცი. მე, ბუნებრივია, რალაც თანხებს ვაძლევდი ამ ინსტიტუტს, რომ ეარსება, მაგრამ ბოლოს ისე გათამამდა ფუტყარაძე, რომ შემოვიდა და მითხრა, კიდევ მჭირდება ფულიო. მე ვუთხარი, არა, ბატონო ტარიელ, თქვენ ხომ იცით, რომ მე ამდენი ფული არ მაქვს-მეთქი. ბატონო მაგალი, თქვენ არ გესმით დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ფასიო. მე, მაგალი თოდუას მეუბნება ამას ტარიელ ფუტყარაძე (იციინის).

– ბატონო მაგალი, თქვენი ინიციატივით გაიხსნა გელათის აკადემია. გვიამბეთ ამის შესახებ.

– ქუთაისის დედაქალაქად გამოცხადების 900 წელი იყო. ამასთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება გაიმართა. სწორედ ამ პერიოდში დანიშნული მაქვს სამეცნიერო სხდომა, სადაც ძალიან მტკივნეული საკითხი უნდა განვიხილო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდად ვიყავი და მქონდა მაღალი სიცხე, მაინც წავედი, რადგან შაშიაშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ ჩემ გარეშე სხდომას არ დაიწყებდა. ვზივარ სხდომაზე და ვგრძნობ, რომ ფიზიკურად ვარ მხოლოდ იქ, როგორც იტყვიან, სხვაგან ქრის ჩემი გონება. შემდეგ გასაოცარი ამბავი მოხდა: დაამთავრა შაშიაშვილმა თავისი გამოსვლა და დასვა კითხვა: „ვის გაქვთ წინადადებები?“ როგორ ავდექი, არ მახსოვს. მახსოვს ის, თუ რა ვთქვი: „აღვადგინოთ დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემია.“ (ქუთაისში რექტორად რომ წავედი, ვიცოდი, რომ დიალექტოლოგიის ცენტრი უნდა დამეარსებინა, მაგრამ გელათის აკადემიაზე მე არ მიფიქრია). ხანმოკლე პაუზის შემდეგ ბატონმა თეიმურაზმა მკითხა, თუ როდის წარვადგენდი დასაბუთებას. არ დავიხიე უკან და შევპირდი, რომ მეორე დღეს, დილის 9 საათისთვის, მზად მექნებოდა.

სახლში რომ მივედი, სიცხე გავიზომე: 37 და 6 ხაზი. თერმომეტრს არ დაუფჯერე. ეს ხომ ისე არ ხდება?! უფალმა დამაჯილდოვა ამითი მე. მეორე დღეს, დილის 9 საათზე, დასაბუთება უკვე შაშიაშვილს ელო მაგიდაზე.

აკადემიის გახსნის ბანკეტს 600 კაცი ესწრებოდა. დიპლომატიური კორპუსიდან ვინ არ იყო! ცხონებულმა ვახტანგ გოგუაძემ – მაშინ პარლამენტის სპიკერი იყო – თქვა, რომ საქართველოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ორმა უმაღლესმა – სასულიერო და საერო – იერარქმა ერთ დოკუმენტზე ერთდროულად მოაწერა ხელი.

დაარსდა აკადემია. არჩევნების საფუძველზე 14 კაცი შეირჩა: პრეზდენტად მე ამირჩიეს. ვინაიდან ორგან მუშაობა არ შეიძლებოდა, ქუთაისის უნივერსიტეტში ხუთწლიანი რექტორობის შემდეგ, დავწერე განცხადება და წამოვედი. გელათის აკადემიას საკმაოდ დიდხანს შევრჩი.

– გელათის აკადემიის დაარსების შემდეგ თქვენ დააარსეთ „გელათის აკადემიის ჟურნალი“.

– „გელათის აკადემიის ჟურნალი“ დავაარსე 2002 წელს. მართალია, გვიჭირდა, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა გაცხოველებული მუშაობა, იმართებოდა სესიები, ავირჩიეთ უცხოელი წევრები – იოსტ გიპერტი, იან ბრაუნი და სხვანი. უკვე იყო საშუალება იმისა, რომ სტატიები გამოგვეცა. გიორგი ჭელიძის რჩევით, დავარქვით „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“. კარგი ჟურნალი იყო. ამჟამად ჟურნალის რედაქტორია ლევან ბრეგაძე, რომელიც გელათის აკადემიის წევრია.

– ასევე, დააარსეთ ჟურნალები „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე“ და „ქართველოლოგია“.

– ქუთაისში რექტორობის პერიოდში დავაარსე ჟურნალი „ქუთაისის უნი-

ვერსიტეტის მოამბე“. ორენოვანი ჟურნალი იყო. სტატიები იბეჭდებოდა ქართულადაც და ინგლისურადაც. თუ მოიტანდით ათგვერდიან სტატიას ქართულად, უნდა მოგეტანათ ექვსი გვერდი მისი ინგლისური ადეკვატი. გამოვეცი სამი თუ ოთხი ნომერი. ძალიან გახმაურებული ჟურნალი იყო, მაგრამ მერე წამოვედი უნივერსიტეტიდან და მისი გამოცემაც შეწყდა.

იცით, ალბათ, როგორ ქუხდა ქართული მეცნიერება მსოფლიოში. მეცნიერებათა აკადემიას ჰქონდა ჟურნალი „მაცნე“. აქ გავიზარდეთ, ფაქტიურად, ჩვენ და აქ გავზარდეთ ჩვენი ასპირანტები. ქუხდა ეს ჟურნალი, მაგრამ მეცნიერებათა აკადემიის გაუქმების შემდეგ „მაცნეს“ გამოცემაც შეწყდა.

რამდენიმე წლის წინ კი გადავწყვიტე, დამეარსებინა ჟურნალი „ქართველოლოგია“, რომელიც შეცვლიდა ერთ დროს ცნობილ „მაცნეს“. მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, რომ ხელმომწერებს ვერ ვიშოვიდი, ორასი კაცი მაინც არ გამოჩნდებოდა, რომელიც დადებდა გარკვეული რაოდენობის თანხას და აცოცხლებდა ამ ჟურნალს?! დავრჩი მარტო. გამოვეცი პირველი ნომერი და დამედო ვალები. მეორე ნომერსაც ვბეჭდავ, დამედო ისევ ვალი, ვერ ვიხდი. ამ დროს მირეკავს ნიკო ნახუცრიშვილი: ბატონო მაგალი, გილოცავთ, თქვენ მიიღეთ მსოფლიოს პირველი ირანისტის საერთაშორისო პრემია, რომელსაც ირანის პრეზიდენტი აჰმადი ნეჟადი აწერს ხელსო (ეს არის პრემია, რომელსაც ხუთ-ათწელიწადში ერთხელ აძლევენ საუკეთესო ირანისტს). ჯილდოდ 10 000 დოლარიც გამომიგზავნეს.

„ქართველოლოგიამ“ დიდი გამოხმაურება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ახლა მისი ინტერნეტ-ვერსიის გაკეთებაც გვინდა.

– თქვენი თაოსნობით ჩაეყარა სა-

ფუძველი გილანისა და ქუთაისის უნივერსიტეტების თანამშრომლობას. ეს არის პირველი პრეცედენტი. რა მნიშვნელობა აქვს ამ ორი უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობას და არის თუ არა დღეს რაიმე წინგადადგმული ნაბიჯები ამ კუთხით?

– ერთხელ, ქუთაისში ვარ, ვუსმენ ირანს და დიქტორმა გამოაცხადა, რომ ირანში ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები გაიმართა. ღამის ორ საათზე დავურეკე თეიმურაზ შაშიაშვილს და შევთავაზე, რომ ირანთან დაგვედო ხელშეკრულება ჩაის მეურნეობის განვითარების კუთხით. გადაწყდა, ბატონ თეიმურაზს უნდა წაეყვანა ჩაისა და მეაბრეშუმეობის სპეციალისტები ირანში და გილანის რომელიმე ოსთანთან დაედო ხელშეკრულება. გამოგვყვა რუბენ მორგოშია (ახლა ჩვენი კონსულია ირანში).

ამავდროულად, შაშიაშვილის ინიციატივით, ქუთაისის უნივერსიტეტსა და გილანის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოვანერეთ ხელი.

ასე დავუდეთ თეიმურაზ შაშიაშვილმა და მე სათავე ამ ორი უნივერსიტეტის მეგობრობასა და თანამშრომლობას. ბატონმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, რომელიც ჩემ შემდეგ იქნა არჩეული ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორად, კიდევ უფრო გააღრმავა ეს ურთიერთობები. მოგვიანებით კი მთელი საქართველო ჩაერთო ამაში. ყოველწლიური ერთთვიანი „დოურეებიც“ (ენის შემსწავლელი კურსები) სწორედ აქედან იღებს სათავეს.

– **ბატონო მაგალი, არ შემიძლია, არ გკითხოთ თქვენი წიგნის შესახებ, სახელწოდებით „მაცხოვარი და ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში“.** ეს იყო ჩემთვის, და

არა მარტო ჩემთვის, ძალიან დიდი აღმოჩენა. მართალია, ყოველთვის ვიცოდით, რომ მუსლიმები დიდ პატივს სცემენ ღვთისმშობელს, ქრისტეს, მაგრამ თუ რუმი, ხაყანი, ჰაფეზი და სხვა დიდი ირანელი პოეტები ამის შესახებ წერდნენ, ეს ბევრისთვის უცნობი იყო. საიდან წამოვიდა იდეა და როგორი გამოხმაურება ჰპოვა ქართველ მკითხველში?

– ჩემთვისაც ასე მოულოდნელი იყო თითქოს. რუდაქიდან დაწყებული, ხომეინის ჩათვლით (ხომეინი დიდი მწერალი იყო) უკლებლივ ყველა პოეტს აქვს იესო ქრისტეს და ღვთისმშობლის ქება-დიდება. დავწერე I ტომი და, პრინციპის გამო, გამოვეცი ეს ქუთაისში.

სხვათა შორის, წიგნმა ძალიან დიდი და დადებითი გამოხმაურება ჰპოვა ქართველ მკითხველში.

II ტომი თითქმის მზად მაქვს დასაბეჭდად და ბატონი ეჰსან ხაზაის (ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის ატამე საქართველოში) მხარდაჭერით, ალბათ, გამოიცემა კიდევ. ჩაფიქრებული მაქვს, ოთხტომეულად გამოვეცი.

რატომ ქრისტე? ხაყანის მუჰამედი 85-ჯერ ჰყავს ნახსენები, ქრისტე – 210-ჯერ. რუმის – უფრო მეტჯერ. ხაყანის, კარგი, დედა ჰყავდა ქრისტიანი, მაგრამ რუმის?! საქმე ის არის, რომ მთელი სპარსული პოეზია არის მისტიკური-სუფიური. რა არის სუფიზმი? ეს არის ნეოპლატონიზმი. პეტრინმა, რომელმაც ბევრგან იხეციალა, ფეხი ვერსად ვერ მოიკიდა. ეს გამონვეული იყო იმით, რომ ის იყო ნეოპლატონიკოსი. ნეოპლატონიზმი იგივე პლატონიზმია. პლატონის იდეოლოგია რა არის: არსებობს მაგიდა. ეს მაგიდა არაფერი არ არის. მაგიდის იდეა აბსოლუტის სფეროში კი არის მისი ანარეკლი – ემანაცია. ასევე, ადამიანი არის უფლის სახე, მისი ემანაცია. ქრისტიანობის მიხედვით, ადამიანი ცდილობს, რომ უფალთან ახლოს იყოს,

მაგრამ მათი იდეალი ასეთია: მე ვარ უფლის ემანაცია. მე უნდა გავიარო თარიყათის 12 საფეხური, მერე უნდა დავთმო ჩემი სხეული და უფალთან ახლოს კი არ უნდა დავდგე, არამედ – მე უფალი ვიყავი და ისევ უფალი უნდა გავხდე. ქრისტე იყო ღმერთი, იქცა ადამიანად, აქ ცხოვრობდა, ევნო ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად და დაბრუნდა უკან. კი, ყურანში წერია, რომ ქრისტე მეოთხე სფეროში მიდის უფალთან, მაგრამ სადამდე წავა, კაცმა არ იცის! უფალი ეუბნება გაბრიელს, მანდ მას რამე მიწიერი არ მოჰქონდესო! გაჩხრიკეს მაცხოვარი და ხალათის ნაკეცში უპოვეს ნემსი. გაბრიელი ეკითხება, რატომ გაქვს ესო? როგორო, მეო, ღარიბი კაცი ვარო, ეუბნება მაცხოვარი. ამიტომ დატოვეს მეოთხე სფეროში. მაგრამ მეოთხე სფერო მზის სფეროა საერთაშორისო ფილოსოფიური წარმოდგენით. აქ ლაპარაკია მზისა და ქრისტეს რალაც კავშირზე.

აი, ეს ჩაიგდეს ხელში ყურანიდან და ეს თემა ამუშავა ყველამ. ქრისტე მათ ხელში აბსოლუტია. ხომეინი წერდა, არ მინდა თქვენი მეჩეთი, თქვენი მექაო! წარმოგიდგენიათ? ლექსში ამას ამბობდა და ცხოვრებაში სულ სხვანაირად იქცეოდა.

III ტომში მე მინდა გავცე პასუხი, თუ რა იყო ქრისტეს ასეთი აკვიატების მიზეზი, რითი იმართლებდა თავს ხომეინი, როცა ამას წერდა. რატომ არის ის ასეთი გაორებული?! აი, ამას უნდა პასუხის გაცემა, მაგრამ როგორ გავცემ ამას პასუხს, ჯერ არ ვიცი.

– თქვენ გეკუთვნით „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული პროზაული თარგმანი. ეს, ვფიქრობ, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია ქართულ-სპარსული ლიტერატული ურთიერთობების გასაღრმავებლად.

– ექვსი წიგნი მაქვს გამოცემული ირანში. მანამდე არსებობდა პოემის

თარგმანი, რომელიც შესრულებული იყო ჯემშიდ გიუნაშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ ის არ იყო სრულყოფილი. ამიტომ მე გავაკეთე „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი.

დავურეკე იუსეფ-ფურს და ვთხოვე, რომ, როგორც ირანულენოვანს, ნაეკითხა პოემის პროზაული თარგმანი. ის ჩამოვიდა ჩვენთან და თარგმანს საბოლოო სახე ერთობლივად მივეცით. წიგნის თანაავტორად მე ჩემი თავი არ დავწერე. დავწერე იუსეფ-ფურის სახელი, რისთვისაც, სხვათა შორის, სახელმწიფო პრემია მიიღო, რომელიც შევარდნაძემ გადასცა. ამ თარგმანს ირანშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მოგვიანებით ირანში რეცენზია დანერგეს, რომელშიც ახალგაზრდებს მიმართავდნენ, აიღეთ იუსეფ-ფურის თარგმანი და ისწავლეთ სპარსულიო.

– თქვენ გეკუთვნით, ასევე, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ მოკლე ვარიანტი.

– დიახ, მე გავაკეთე „შაჰ-ნამეს“ მოკლე ვარიანტი ქართულად და გამოვეცი. ირანში ამის შესახებ რომ გაიგეს, მთხოვეს, რომ სპარსულადაც გამეკეთებინა. გავუგზავნე იუსეფ-ფურს და წიგნის რედაქტორობა შევთავაზე. წიგნის დაბეჭდვის შემდეგ იუსეფ-ფურმა დაგვპატიჟა ირანში, თავის სახლში და გამოგვიტანა წიგნი, რომელზეც ავტორად ჩემი და მისი სახელი და გვარი ეწერა. ვიცოდი, არ გენყინებოდათ, ჩემი სამეცნიერო კარიერისთვის მჭირდებოდაო. სხვათა შორის, წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ღმერთია მოწამე, იუსეფ-ფურზე ნანყენი არ ვარ.

– ბატონო მაგალი, არაერთი თარგმანი გეკუთვნით: ნიზამი, ჰაფეზი, ხაიამი, ხომეინი ... რომელი ერთი დავასახელო?! საინტერესოა, როდის დაიწყეთ მთარგმნელობითი მოღვაწეობა და რა არის თქვენი მთარგმნელობითი პრინციპი?

– ჩემი წიგნის „სპარსული პოეზიის

შედევრების“ სამგვერდიან წინასიტყვაობას დაახლოებით ორი თვე ვწერდი. სწორედ იქ მიწერია, რომ არავითარი თარგმნა არ არსებობდა ძველად. აიღებდნენ ამბავს და გააკეთებდნენ მის ვარიანტს. საქმე ისაა, რომ, თუკი ნაწარმოებს კარგად მოხარშავ, მაშინ შენია, თუ არადა, მაშინ ხარ მთარგმნელი, მაგრამ ცუდი მთარგმნელი.

ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ არავითარი ზუსტი თარგმანები არ უნდა არსებობდეს. მე ჩემს თარგმანებში მომწონს ის თარგმანები, სადაც მე ვაძლევ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ ცოტა გადავუხვიო. მაგრამ ეს გადახვევა კი არ არის, არამედ „ინერტული მასალები“ – ეს ტერმინი ჩემი შემოღებულია.

ვთქვით, გოეთეს ლექსი, რომელიც კ. გამსახურდიამ თარგმნა: 33 სიტყვა 33 სიტყვით თარგმნა გენიალურად:

„დადუმებულა მთები, ველები,
აღარ მოისმის არსიდან ჩქამი.
აღარ ჟივიან ტყის ფრინველები,
თვლემენ თხემები ღამენასვამი.
არ აკრთობს სმენას მცირედი
ფშვენაც,

მოიცა ცოტა, დაცხრები შენაც.“

ეს არის გოეთეს ცნობილი ლექსი. ლერმონტოვმა თარგმნა ის ასევე გენიალურად, მაგრამ მან თავისი ვარიანტი შექმნა. გამსახურდიას კი ეს თარგმანი გამოუვიდა სიტყვასიტყვითი. ამიტომ, აკაკის და ილიას თარგმანებს რომ წაიკითხავ, „გოეთედამ“-ო, წერენ. მთარგმნელმა კი არ უნდა თარგმნო, არამედ

მისი ქართული ვარიანტი უნდა შექმნა.

ნიზამი ყველაზე რთული სათარგმნია, რადგან მას თავისი მოდელი აქვს და შენ უნდა შენი მოდელი შეუხამო მას, ქართული მოდელი. აი, ამიტომ, რომ მე კომპლიმენტს მეუბნებიან – ქართულივით იკითხებაო. ქართულია იმიტომ, რომ, რაც ქართული არაა, არ ვიყენებ საერთოდ. მე მომაქვს „ინერტული მასალები“, რომლებითაც ვავსებ მას. მან სტრიქონი უნდა შეავსოს. ერთი ლექსის თარგმანის დაახლოებით ოც ვარიანტს მაინც ვაკეთებ. ყოფილა ისეც, რომ ოცი ვარიანტის შემდეგაც დამიხვევია და არ დამინერია. თუ თარგმანი ქართულად არ ჟღერს, ის ჩემთვის არ არსებობს.

– რომელია თქვენი საყვარელი პოეტი? თუ გყავთ ასეთი...

– რა თქმა უნდა, როგორ არ მყავს! ერთი პერიოდი ნიზამით ვიყავი გატაცებული. ამიტომ მისი ბევრი ნაწარმოები მაქვს ნათარგმნი. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ძალიან გატაცებული ვარ IX-X საუკუნეების არცთუ პოპულარული ქალით – რაბია ყაზდარ შაჰის ასულით (ოთხი თუ ხუთი ლექსი მაქვს მისი თარგმნილი და ხუთივე ზეპირად მახსოვს).

რაბიას, როგორც ჩანს, ქმარი ჰყავდა, მაგრამ უყვარდა თურქი მონა ბექთაში, ამის გამო ქმარმა კი არ დასაჯა, არამედ ძმამ, რომელიც შაჰი იყო, – საკუთარი და სასტიკად მოკლა – გახურებულ აბანოში შეაგდო. დაიხრჩო იქ და ამბობენ, რომ მან ერთ-ერთი რობაი სისხლიანი თითით მიანერა კედელზე:

შედეგები

ვიცი, ჩემზე ეჭვიანობ,
გლალატობდე ჩუმად თითქოს.
ცეცხლში რომ მწვავ, ღმერთს რა პასუხს
აძლევ, როცა განგსჯის თვითონ?!
განზე ცქერა ქალს სულიან-

ხორციანა წყმედს და ლუპავს,
 მე შენ აქ რომ გიღალატო,
 იქ რა ვუთხრა, (მიტხარ!) უფალს?
 მე უშენოდ ჯოჯოხეთად
 მიჩნს სამოთხე, იცის ღმერთმა,
 და სამოთხედ ვთელი ჯოჯოხეთს,
 შიგ თუ ვინვი შენთან ერთად.
 შენ მე ისევ ისე მალხენ,
 ვით მალხენდი (ჰაი!) უნინ.
 თაფლს უშენოდ თუ ვჭამ, გესლს ვსვამ,
 შენთან კი შხამს, ვით ყანდს, ვნუნნი.

ისევ ავტროკდი

ისევ ავტროკდი და სიყვარულის
 ქამანდში თავი ამოვყავ ისევ.
 რად არ ვიჩქარე და ეს ქამანდი
 რად არ მოვიძრე ყელიდან მყისვე?!
 უკიდევანო ზღვას ჰგავს ტრფიალი,
 ვერვინ შეუდგამს თვალს მის ნაპირებს
 და, რომ შეტოპე შიგ, ქალბატონო,
 გაღმა გაცურვას როგორ აპირებ?
 გულის ნებაზე ეს სიყვარული
 გასურდა, შეგერგო, მაგრამ, ნეტა, რით?
 ათასი ჭირი გულს გიჭამს, შენ კი
 კიდევ გასურს, შეგრჩეს ყოფა ნეტარი?
 მაშინ მზეთა მზედ უნდა გეჩვენოს
 ის ჯოჯო, შენ რომ ეტრფი და ესავ;*
 უნდა გეგონოს, პირს თაფლით იტკობ
 მაშინ, როდესაც სანამლავ გესლს სვამ!
 გაუხედნავი კვიცივით განზე
 რომ გახტი, აწი ამოდ ხენეში,–
 უნდა გცოდნოდა: რაც შორს იწევი,
 ყულფი მით უფრო მოგიჭერს ყელში.

– თუ შეიძლება, კიდევ ერთი ლექსი წაგვიკითხეთ...

ღმერთს მხოლოდ ერთს ვთხოვ

ღმერთს მხოლოდ ერთს ვთხოვ,
 ტრფობით შენით გვემული ეგ ზომ,
 მე რომ მიყვარხარ, შეგიყვარდეს
 შენ თვითონ ერთ დროს
 ისეთი ვინმე, ტრფობა რაა,

არც კი იცოდეს,
შენსავით მასაც გულის ნაცვლად
მკერდში ქვა ედოს;
გაიგო, სატრფოს მონატრება
თუ რა ყოფილა,
ტრფიალის მისის ცეცხლი გულში
გენტოს და გენტოს!
როგორც მე შენი სიყვარულით
ვიგრძნობდი დღეს,
იგრძნობოდე სიყვარულით
შენც მისით (ღმერთო!),
ვინძლო გაიგო, ვისაც სატრფო
ზედ არც უყურებს,
მას ვაებისგან ვით ემხოზა
თავზე ცის ერდო!

– ბატონო მაგალი, თქვენი სამომავლო გეგმების შესახებაც გვითხარით. კიდევ რა სიურპრიზს უმზადებთ მკითხველს?

– თითქმის ერთი წელია უკვე, თავაუღებელივ ვმუშაობ „ქილილა და დამანას“ ვახტანგ VI-ის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებაზე, რომელიც ცალკე მონოგრაფიად მინდა გამოვცე.

2009 წელს რომ გამოვეცი (იგულისხმება „ქილილა და დამანას“ ვახტანგ VI-ის ქართული თარგმანის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ მისი ორიგინალის ტექსტის დადგენის საქმეში“ – თ.წ.), მოკრძალებულად შევიტანე შესწორებები, 400 თუ ცოტა მეტი და ახლა, დაახლოებით, 1000 იქნება. ამას იმისთვის ვაკეთებ, რომ ქართველმა კაცმა მიიღოს „ქილილა და დამანას“ დასრულებული ვერსია. მერე, თუ მოვასწარი და მოვახერხებ, იქნებ წიგნადაც გამოვცე.

„მორჩა, დავიღალე ახლა“, – მითხრა ბატონმა მაგალიმ, როცა მორიგი კითხვის დასასმელად მოვემზადე.

– *კი მაგრამ, ბატონო მაგალი, მე კიდევ იმდენი კითხვა მაქვს მომზადებული... გულდანყვეტილმა, მორიდებით შეგკადრე.*

– *ამდენი, იმდენი ხანია, არ მილაპარაკია, დავიღალე. რა დრო გასულა, საუბრის დამთავრებას ერთ საათში ვაპირებდი.*

ორსაათ-ნახევარი ვესაუბრე ბატონ მაგალის, მაგრამ დრომ ისე გაირბინა, ვერც კი ვიგრძენი. ბატონმა მაგალიმ რომ მითხრა, დავიღალეო, მეგონა, საუბარი სულ რაღაც ხუთი წუთის დაწყებული გვქონდა. და მართლაც, როგორ შეიძლება, ორსაათ-ნახევარი გეყოს ისეთ დიდ, ისეთ შესანიშნავ, ისეთ საინტერესო პიროვნებასთან საუბრისას, როგორიც მაგალი თოდუაა?!

დავემშვიდობე ბატონ მაგალის იმ იმედით, რომ ისევ შეგვხვდებოდა და „კალამს“ საკუთარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს უამბობდა.

ესაუბრა **თინათინ წიკლაური**
(ჟურნალი „კალამი“, #11, 2012 წელი).

მაგალითად...

ღირსეული ადამიანები სიკვდილით რაღაც ახალ, „დამატებით“ სილამაზეს იძენენ!

მაგალი გარდაიცვალა ამ დილით!

92 წლის მაგალი თოდუა!

ეს 92 წელი ალბათ ხელსაც კი უშლიდა მის რჩეულ ცხოვრებას! მოკვდა და განათდა ყველაფერი – გარდაიცვალა დიდი მეცნიერი, დიდი პოეტი, დიდი მთარგმნელი, დიდი ორიენტალისტი, დიდი მოღვაწე, დიდი, დიდი, დიდი...

ჯერ კიდევ გვყავს ბრძენი ხალხი! _

მაგალითად, მ ა გ ა ლ ი თ ო დ ...

ამ ორი სტრიქონით გავახარე წასვლის წინ ჩემი რჩეული ძმაკაცი და მეზობელი. დიდი მაგალი თოდუა!

როგორც ათასწლეულების მანძილზე ხდება, ისე მოხდება ახლაც _ საქართველო მოგვიანებით დააფასებს მის ღვაწლს:

- მთელ მსოფლიოს მისწვდომია

სიტბოც, შუქიც მაგ ალის!

... ჩვენ კი მაინც ვგლოვობთ და

მაინც ვტირით მაგალის ...

(მინდა დავწერო, და ალბათ დავწერ მოგონებებს მაგალიზე, მაგრამ დაბეჭდვით მხოლოდ მაშინ დავბეჭდავ, თუ მასავით ლამაზი და საინტერესო იქნება იგი ...) .

ტარიელ ჭანტურია

70 წლიანი მეგობრობა

სულ ახლახანს გარდაიცვალა ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, მთარგმნელი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე მაგალი თოდუა. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ ჩემს ძვირფას მეგობარზე, მაგრამ ძალიან მიჭირს მის შესახებ წარსულში ლაპარაკი.

მე და მაგალი ასაკით ტოლები ვიყავით და ერთ კურსზე ვსწავლობდით უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ოღონდ ის – ირანული ფილოლოგიის, მე კი – კავკასიური ენების სპეციალობით. სპეციალობათა განსხვავების მიუხედავად, ბევრი ლექცია ერთად გვეკითხებოდა და სხვაც ბევრი რამ გვექონდა საერთო. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა და მძიმე მდგომარეობისა, ეს იყო ჩვენთვის საუკეთესო წლები, იმედით, რწმენით და მომავალზე ოცნებებით აღსავსე.

ომის დამთავრებისთანავე დაიწყო დემობილიზაციის პროცესი და ჯარიდან გაათავისუფლეს ისინი, ვინც სტუდენტის მერხიდან იყო განვეული არმიამი. ამას მოჰყვა ვაჟებისა და ქალების რიცხვის თანაფარდობის აღდგენა უნივერსიტეტში. სტუდენტების კორპუსები, რომლებიც ომის დროს სამხედრო ჰოსპიტლებად იყო ქცეული, სასწრაფოდ დაუბრუნეს სტუდენტ ახალგაზრდობას. აქ ცხოვრება შედარებით იაფიც იყო და სახალისოც. მე და მაგალი ერთად ვცხოვრობდით სტუდენტალურში. იმ პერიოდში დაინიშნა რექტორად ნიკო კეცხოველი. მახსოვს, ზაფხული იდგა და სტუდენტი ვაჟები უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მშენებლობაში ვიყავით ჩართული. ხმა გავრცელდა, უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავსო და ისიც მალევე გამოჩნდა, პირდაპირ მშენებლობაზე მოვიდა და მაშინვე ჩაება საუბარში. მალე მისი ყურადღება უნივერსიტეტის ყველა უბანს დაეცყო. მე თავს ბედნიერად ვთვლი იმით, რომ სწორედ იმ პერიოდში გავა-

ტარე სტუდენტობისა და ასპირანტობის წლები თბილისის უნივერსიტეტში.

იმ დროს ქართველ ახალგაზრდობას არ ჰქონდა თავისი ლიტერატურული ორგანო – ჟურნალი ან გაზეთი. ერთადერთი ლიტერატურული გაზეთი სულ ოთხი გვერდის მოცულობით გამოდიოდა კვირაში ერთხელ. აი, სწორედ ამ პერიოდში ნიკო კეცხოველის ინიციატივით სტუდენტებმა გავმართეთ ლიტერატურული საღამო, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. დაარსდა ახალგაზრდა მწერალთა წრე. რექტორის ინიციატივითა და ხელშეწყობით გამოიცა ლიტერატურული ალმანახი "პირველი სხივი", რამაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა ამ წრის წევრები: ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი, მუხრან მაჭავარიანი, კარლო ქილარჯიანი, აკაკი გენაძე, რეზი თვარაძე, ნია აბესაძე და სხვ. მოგვიანებით ამ წრეს ბევრი შემდგომში ცნობილი მწერალი და ლიტერატორი შემოუერთდა: ძმები ჭილაძეები, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ინანიშვილი, გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიციანიშვილი, ვახტანგ ჯავახიძე, ტარიელ ჭანტურია და სხვ. ამ წრემ და მისმა ალმანახმა "პირველმა სხივმა" განსაზღვრა ბევრი ჩვენგანის ცხოვრების გზა. სწორედ ამ ალმანახში გამოქვეყნდა მაგალის პირველი თარგმანები სპარსული პოეზიიდან. ამ თარგმანებიდან კარგად ჩანს ავტორის დიდი ნიჭი და ლიტერატურული გემოვნება, რაც თანდათან კიდევ უფრო დაიხვეწა. მთარგმნელობითი საქმიანობა მეცნიერულთან ერთად ბოლომდე მისი ცხოვრების მთავარი საქმიანობა იყო.

როდესაც მაგალიმ დაამთავრა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, დაბრუნდა თავის ულამაზეს სოფელ სალხინოში, მაგრამ აქტიურ შემოქმედებით და სამეცნიერო წრეებს დაშორებული, იქ დიდხანს ვერ გაჩერდა და ისევ თბილისს მოაშურა. ისევე, როგორც ჩვენი ლიტერა-

ტურული წრის არაერთ წევრს, მაგალი-
საც ისევ ბატონმა ნიკომ აღმოუჩინა დახ-
მარება და მიიღო ლაბორანტად ირანის-
ტიკის კათედრაზე. როდესაც მე ძველი
ქართული ენის კათედრაზე დავინწყე მუშა-
ობა ბატონი აკაკი შანიძის ხელმძღვანე-
ლობით, ერთი ოთახი მომცეს პეტრიაშვი-
ლის ქუჩაზე, მაგალიც ჩემთან გადმოვიდა
საცხოვრებლად და ჩვენ კვლავ ერთად
ვიყავით – როგორც სტუდენტობისას. მა-
ლე მაგალი დაოჯახდა და ქორწილიც
ჩემს ბინაში გადავიხადეთ. ეს იყო დაუ-
ვინყარი ლხინი, რომლის თამადა ცნობი-
ლი აღმოსავლეთმცოდნე ბატონი სერგი
ჯიქია ბრძანდებოდა.

მაგალის მეუღლე, იზეა თევზაძე,
ყოველთვის უწყობდა ხელს მაგალის მუ-
შაობაში, ათავისუფლებდა მას ყოველ-
დღიური საოჯახო საქმეებისაგან. როდე-
საც მაგალი ქუთაისის რექტორად აირჩი-
ეს, იზეა ქუთაისში გაჰყვა მეუღლეს, რომ
მის გვერდით ყოფილიყო და მისთვის
ზრუნვა და ყურადღება არ მოეკლო.

მაგალი საოცარი ენერგიულობით
და ენთუზიაზმით მუშაობდა ქუთაისის
უნივერსიტეტში. ცდილობდა, თბილისი-
დანაც რაც შეიძლება მეტი მეცნიერი
მიენვია სამუშაოდ. 90-იან წლებში თბი-
ლისიდან ქუთაისში ლექციების წასაკით-
ხად ინტენსიურად დავდიოდით მე, თე-
დო უთურგაიძე, ალექსი ჭინჭარაული,
აკაკი ბაქრაძე, დამანა მელიქიშვილი.
ლამის გასათევად მაგალისა და იზეას-
თან ვრჩებოდით.

ამ პერიოდთანაა დაკავშირებული
კიდევ ერთი ფურცელი მაგალი თოდუას
ბიოგრაფიიდან, კერძოდ, გელათის აკა-
დემიის დაარსება. ამ აკადემიის დაარსე-
ბის ინიციატორი მაგალი იყო. აკადემიის
წევრები გახდნენ ჩვენი სასიქადულო
მეცნიერები: მზექალა შანიძე, თედო
უთურგაიძე, ალექსი ჭინჭარაული, დამა-
ნა მელიქიშვილი, როლანდ თოფჩიშვილი,
ზურაბ კიკნაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვი-
ლი და სხვები; ასევე, მამა გიორგი გამ-

რეკელი, ამჟამად მეუფე იოანე (შემ-
დგომში წევრების რიცხვი კიდევ უფრო
გაიზარდა). მაგალი გელათის აკადემიის
პირველი პრეზიდენტი გახდა და დიდი
პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის
მოვალეობას. ინტენსიურად ვიკრიბებო-
დით, ვაწყობდით სამეცნიერო სესიებს,
კონფერენციებს, გამოიცა ბევრი საყუ-
რადღებო და მნიშვნელოვანი ნაშრომი,
რომლებსაც აქ არ ჩამოვთვლი. მაგალი-
სავე ინიციატივით დაარსდა ამ აკადემიის
ჟურნალი, რომელიც დღემდე გამოდის
და ყოველთვის გამოირჩევა საინტერესო
და საყურადღებო სტატიებით.

თავის დიდ სამეცნიერო და საზოგა-
დოებრივ მოღვაწეობას მაგალი კარგად
უთავსებდა ასევე დიდ მთარგმნელობით
საქმიანობასაც. აქ მხოლოდ ორიოდე ნაშ-
რომის დასახელებაც იკმარებს: "ვისრამი-
ანის" თარგმანი ალექსანდრე გვახარიას-
თან ერთად, ომარ ხაიამის რობაიები, "ქი-
ლილა და დამანას" სპარსული ვერსია,
ფირდოუსის "შაჰნამე", ნიზამი განჯელის,
რუდაქის, ჰაფეზის, ჯელალ-ედ-დინ რუ-
მის და სხვათა ნაწარმოებების თარგმანე-
ბი. განა ცოტას ნიშნავს, რომ თვითონ
ირანელებმა მიანიჭეს მაგალი თოდუას
მსოფლიოს საუკეთესო ირანისტის სახე-
ლი და პრემია.

ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს მოსა-
გონარი ჩემს დაუვინყარ და კეთილ მე-
გობარზე, რომელმაც დიდი ტკივილი
დამიტოვა, მაგრამ ვამბობ, რომ ბედნიე-
რი კაცი იყო, იცხოვრა მრავალმხრივი
ინტერესებით, ბოლო წუთამდე საქმიანი
და სავსე ცხოვრებით, თავის ბედნიერ
და ტკბილ ოჯახთან ერთად, მოესწრო
შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვი-
ლების წარმატებებს... სიკვდილიც თით-
ქოს გამორჩეული ხვდა წილად. ის აღეს-
რულა აღდგომის კვირაში, ბრწყინვალე
შვიდეულში. ქრისტიანული რწმენის მი-
ხედვით კი ამ კვირაში გარდაცვლილები
პირდაპირ, განსაწმენდელის გაუვლე-
ლად, შედიან სამოთხეში.

ზურაბ ჭუმბურიძე

306 არის ეს ბიჭი ?!

ბოლო კლასში ვართ. უკვე სერიოზულად ვფიქრობთ პროფესიის არჩევაზე. ამ დროს გამოვიდა მაგალი თოდუას მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ტაჯიკური პოეზია“. ამ პატარა კრებულმა სწრაფად დაიპყრო თბილისი (მაშინ ხომ ბევრს ვკითხულობდით, ნიგნიც იაფი იყო!). ყველა „ტაჯიკურ პოეზიაზე“ ლაპარაკობდა. გვინტერესებდა, ვინ იყო ის მაგალი თოდუა, ასე ლაღად, ასე ლამაზად რომ შეგვიყვანა ჩვენთვის უცხო სამყაროში? ერთმა ახალგაზრდა მასწავლებელმა გვითხრა: ვიცნობ, უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ასწავლისო.

რაკი „უნივერსიტეტში ასწავლის“, გამოდის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში სპარსულის სწავლა შეიძლება. გადანყვეტილება მივიღე – სპარსული უნდა ვისწავლო, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე უნდა შევიდე!

მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე კი შევედი, მაგრამ სპარსულზე კი არა, თურქულზე აღმოვჩნდი.

გამახსენდა, მაგალი თოდუა ამ ფაკულტეტზე რომ ასწავლიდა და, სადაც ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს დავინახავდი, რომელია მაგალი თოდუა-მეთქი? – ვკითხულობდი. არა ჩანდა მაგალი თოდუა. ამასობაში ნოემბერიც დადგა. 7 ნოემბრის პარადზე ვართ მთელი ფაკულტეტი – დიდი და პატარა. ვერაზე ვდგავართ, ველოდებით, როდის გაგვატარებენ. ხალხი ერთმანეთში აირია, ზოგი ვის ელაპარაკება, ზოგი – ვის. იქვე, ჩემ გვერდით, ბიჭი და გოგო ლაპარაკობენ. ძალიან შინაურული საუბარი ერთბაშად კამათში გადაუვიდათ. ბიჭმა უთხრა, შენთან ლაპარაკი არ მინდაო და წავიდა. უფროსკურსელებს ვკითხე, მაგალი თოდუა არ გამოჩენილა- მეთქი?

- მაგალი თოდუა არ იყო, ახლა რომ ნავიდაო?

თურმე ნუ იტყვით, ის სპორტული სტილით ჩაცმული „ბიჭი“, ჩვენთან რომ იდგა და სტუდენტები ისე ელაპარაკებოდნენ, როგორც ტოლსა და სწორს, მაგალი თოდუა ყოფილა!

მალე ჩვენი კურსის კურატორად დანიშნეს. დავმეგობრდით, ხშირად დავყავდით ექსკურსიაზე, ფეხით სიარული ძალიან უყვარდა, დიდ მანძილებზე დავგატარებდა, თვითონ წინ გარბოდა, ჩვენ ძლივს ვენეოდით, ასე ჩაგვარბენინა უფლისციხიდან გორში, თბილისიდან – ქვათახევეში. ჩვენს დაბადების დღეებზე ვეპატიუბოდით, მაგრამ ჩვენთვის იგი ყოველთვის „ბატონი მაგალი“ იყო, თუმცა თავად სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს „ბიჭობა“.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი რომ გაიხსნა, რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც ჯერ საკუთარი სამუშაო არ გვექონდა, მაგალი თოდუასა და ალექსანდრე გვახარიასთან გაგვამნესეს. ისინი ამ დროს „ვისრამიანის“ აკადემიურ გამოცემას ამზადებდნენ, ჩვენ ხელნაწერებს ერთმანეთს ვადარებდით, ვარიანტებს ვეძებდით, ძალიან საინტერესო სამუშაო იყო. ყველანი ერთ დიდ ოთახში ვისხედით და თავაულებლად ვმუშაობდით. ბ-ნი მაგალი შესვენებაზეც არ გვიშვებდა. „ქვეყანა მშიერი მონების აშენებულია, მაძლარ კაცს არაფერი შეუქმნია. გამაძლრები რომ ბრუნდებით, ველარ მუშაობთო!“ არადა, ჩვენს ინსტიტუტთან ვაჭრობის სამინისტრო იყო და მის სასაფლაოში ძალიან იაფად და კარგად ვსაფლაობდით ხოლმე, რა უნდა გვექნა? რასაკვირველია, უნდა გავპარულიყავით. რასაკვირველია, ბატონინი მაგალი „ამას ვერ ამჩნევდა“.

„ვისრამიანის“ ბეჭდვა დასრულდა.

მაგალი ამონახეჭდები მოგვიტანა და გამოგვიცხადა: მე და შურამ ნავიკითხეთ, ყველაფერი ნესრიგშია, მაგრამ თქვენც გადახედეთ, რამდენ გაპარულ შეცდომასაც იპოვით, იმდენ ათ მანეთს გადაგიხდითო. 27 შეცდომა ვიპოვე. უხაროდა ბატონ მაგალის, მაგრამ მსაყვედურობდა: რას მიკეთებ, ჩემი გაკოტრება გინდაო?

გამოვიდა „ვისრამიანი“ და ვნახეთ, შესავალში ახალგაზრდებიც ვართ ნახსენები, ბატონმა მაგალიმ მაშინვე „დაგვაყვედრა“:

- თანაავტორებად რომ გაგიყვანეთ და სახელი გაგინაწილეთ, ამ წიგნზე განეული ხარჯი არ უნდა გაინაწილოთო?

- მართალი ბრძანდებით, თანახმა ვარ-მეთქი, ვუთხარი. გაკვირვებულმა შემომხედა. იცოდა, რა ქონების პატრონი ვიყავი. მეც ვიცოდი, რომ ხუმრობდა და ამიტომ სრული სერიოზულობით დავაზუსტე: 270 მანეთი რომ გაქვთ ჩემთვის გადასახდელი, იქიდან აიღეთ-მეთქი.

ბევრი იცინა.

ბატონ სერგი ჯიქიასთან შემოსვლა უყვარდა. ჩვენ კი – მისგან ლალად, ნატიფი იუმორით მოყოლილი ამბების მოსმენა.

ერთ დღეს ინსტიტუტში მიმავალმა გზად მუხრან მაჭავარიანის ლექსების კრებული ვიყიდე. შევედი თუ არა ოთახში, დავჯექი და ვკითხულობ. ამ დროს ბატონი მაგალიც შემოვიდა. ბატონმა სერგიმ გამკენწლა: მოვიდა თუ არა, „სამუშაოს ჩაუჯდაო“. მე კი პასუხად ხმამაღლა ნავიკითხე ის ლექსები, „საუბარი წვიმაში“ რომ ჰქვია, ბატონი მაგალი აღფრთოვანდა, მაშინვე გაიმეორა, განსაკუთრებით:

- გარეთ შრიალებს წვიმა,

ოთახს ანათებს ლამპა,

- პეტუშა გახსოვს?

- იმე!

- რა ბიჭი იყო!

- აბა!

გავიდა ხანი. სამსახურიდან ვბრუნდები. ტროლეიბუსში წინა კარიდან ბატონი მაგალი ამოვიდა, სალონში ხალვათობაა, დამინახა და ხმამაღლა „მომესალმა“:

- პეტუშა გახსოვს?

- იმე!

და ა.შ. ლექსი ჩავათავეთ. ტროლეიბუსში სიჩუმე ჩამოვარდა, ვინ იცის, რა იფიქრეს დაზაფრულმა მგზავრებმა? ბატონი მაგალი ჩავიდა.

- ვინ არის ეს ბიჭი? – მკითხა ერთმა ხანში შესულმა კაცმა.

- ეს „ბიჭი“ უნივერსიტეტის პროფესორი მაგალი თოდუაა.

- სპარსულ პოეზიას რომ თარგმნის?

- ტაჯიკურს, – გაუსწორა სხვა ხანში შესულმა.

- რამ გაყო?

მთელი ტროლეიბუსი აყაყანდა. ამასობაში მეც ჩავედი.

მართლაც ვინ იყო „ეს ბიჭი“?

ცნობილი მეცნიერი, ღრმად განათლებული, აღმოსავლეთმცოდნე და რუსთველოლოგი, დახვეწილი გემოვნების ლიტერატორი, სპარსული პოეზიის ბრწყინვალე მთარგმნელი, სახელმწიფო, რუსთაველის, ილიას პრემიების ლაურეატი. ირანის ისლამური პრემიის – „მსოფლიოს საუკეთესო ირანისტი“ – მფლობელი, ლალი, გულღია ადამიანი, კარგი ოჯახის პატრონი და, როგორც თავად ხუმრობდა, „ლამაზი შვილიშვილების ლამაზი ბაბუა“.

უპირფერო მთხრობელი

მაგალი თოდუა რომ უნივერსიტეტში სწავლობდა, მას იცნობდნენ უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში, ცოცხალი შემდეგ – უნივერსიტეტის ფართო საზოგადოებაში, როგორც სპარსული პოეზიის მთარგმნელს. ერთი-ორი სტრიქონი მისი თარგმანებისა ზეპირად მახსოვს, მთლიანი შთაბეჭდილება კი – კარგად მახსოვს. მას ჰქონდა ჩაუნაცვლებადი თვისება, რომელსაც ჰქვია „ძარღვი“. მკითხველს, თითქოს, არ უმაღავდა, რომ ყოველ წუთში მზადაა, თუ დასჭირდა, დიდად დაჰმორდეს დედანს კარგი რითმის ან სახის გულისთვის, მაგრამ, ჯამურად, ლექსის უხინჯობაზეც და შთამბეჭდაობაზეც პასუხს სრულად აგებს. შემდეგში, როცა ახალგაზრდა მკვლევარი იყო და ახალგაზრდა ლექტორი, სხვათა შორის, ინდივიდუალურ შტრიხად ჰქონდა, რომ უფროსი და სახელოვანი კოლეგების შესახებ თავს უფრო თამამი მსჯელობის უფლებას აძლევდა ხოლმე, ვიდრე სხვები, და ამ მსჯელობაში არც მიკერძოების, არც უსამართლობის ტენდენცია არ ჰქონდა. მათ დახასიათებაში, თითქოს, ისევე პროფესიული მონდომებით ცდილობდა ფსიქოლოგიური სისწორის დაცვას, როგორც, ვთქვათ, ლექციაში, რომელშიც სტუდენტებისათვის სასწავლო ნაწარმოების მხატვრულ დეტალებს უხსნიდა. რა ჰქონდა მის ამ თვისებას საერთო იმასთან, რომ იმ თარგმანებში ძარღვს გრძნობდა, ძნელი მისახვედრი არ იყო: ეს იყო ადამიანის ბუნებისადმი და ადამიანთა, მათ განწყობათა, მათ სულისძვრათა მთელი უსასრულო ნაირგვარობისადმი თანდაყოლილი გაუმადლარი ინტერესი. ამიტომაც თავს უფლებას აძლევდა, ამ ინტერესისთვის თავისუფალი ასპარეზი მიეცა, განურჩევლად იმისა, რა რეგალიების ან ჭეშმარიტი დამსახურების პატრონი იყო მისი ინტე-

რესის საგანი. შემდეგ, როცა სპარსეთში მოგზაურობა დაიწყო, ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო ხოლმე და უდიდესი ინფორმაციის წყარო იყო ხოლმე მის შთაბეჭდილებათა მოსმენა. ამ შთაბეჭდილებათა თხრობა არ ეზარებოდა. მიზეზი ნათელი იყო: იგი რეალისტურად, მახვილად, უპირფეროდ, პირუთვნელად, ურიდოდ და მახვილი თვალთ ხატავდა იქაური პოპულაციის რაობასა და ბუნებას – ვინ არიან, რანი არიან, რით სუნთქავენ, და ვარაუდებს აწყობდა (ძალიან დამაჯერებელს. **მხატვრულად** დამაჯერებელს!) იმაზე, თუ რანი იქნებოდნენ მათი წინაპრები ერეკლეს დროს, გიორგი სააკაძის დროს, ფირდოუსის დროს და ფირდოუსის პირველ გმირთა არსებობის დროს. ამ მსჯელობისას, სხვათა შორის, ერეკლეს ქებით ვერ ძლებოდა, მისი რადიკალური არჩევანიდან გამომდინარე, უფრო ზუსტად, – ამ უკანასკნელის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ანუ იქიდან, თუ ვის დაჰმორდა, და არა იქიდან, თუ ვის დაუმეგობრდა. ამ ეტაპზე კიდევ უფრო დამიდასტურდა ჩემი აზრი იმაზე, თუ რა იყო მისი იმ მკვეთრი ინდივიდუალური მახასიათებლების საერთო წყარო, რომელთაც მასში ვიცნობდი: ეს იყო ის ცხოველი, **ნიჭიერი** ინტერესი, ასე ვთქვათ, ინტერსუბიექტური ანთროპოლოგიისადმი – ადამიანების სახეობათა, მოდგმათა, ტიპთა უნაპირო მრავალგვარობისადმი, მათი შინაგანი ცხოვრების სასაცილო, სატირალი, ამაღლებული და არარაული შინაარსის ამოცნობა. თუ ვკითხავდი (და სხვა მის კოლეგებს, სხვათა შორის, ამას უფრო ხშირად ვერ ვკითხავდი, რადგან საჭირო პასუხს **ვერ** მივიღებდი), რას წარმოადგენს კლასიკის ან თანამედროვეობის ესა და ეს ნაწარმოები, იგი რამდენიმე ზუსტი ფრაზით და რამდენიმე

მეტყველი დეტალით მიპასუხებდა ხოლმე, რის შემდეგაც ჩემთვის უჭოჭმანოდ ნათელი ხდებოდა, ამ ნაწარმოების თარგმანში მოძებნა მიღირდა თუ არა.

მაგალის ფილოლოგიური შრომა ფართო საზოგადოებამ უფრო გვიან გაიცნო. „ვისრამიანის“ მისეული სპარსული გამოცემა, ქართული თარგმანის მიხედვით გამართული ტექსტით, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში სათანადოდ დაფასდა. როგორც, ასე ვთქვათ, მის მიერ აწეული საჯილდაო ქვა.

ბოლო წლებში მაგალი ინტენსიუ-

რად ისმენდა ირანის რადიოს. მისი ამ გადაცემათა შინაარსის თხრობაც არ ეზარებოდა. მისი გადმოცემა იყო ისეთივე ფხიზელი, თვალმახვილი, ხატოვანი და საგანთა მკაფიოდ მხატველი, როგორც მისი საუბარი ლიტერატურის ან ისტორიის შესახებ. მაგალი თოდუას წასვლა ამ ქვეყნიდან დიდი დანაკარგია მისი ძუნწად დარჩენილი მეგობრებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც მთლიანობაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ნათელი სული.

ნოდარ ნათაძე



სერგი ჯიქია



იუსტინე აბულაძე

ახლანან ნაპილა ჩვენთან მაგალი თოდუა

თბილი მოგონება ბევრს დაუტოვა და მათ შორის მეც. ჩვენი ნაცნობობა დიდი ხნის წინ დაიწყო. აღმოსავლეთ-მცოდნეთა ომის შემდგომი თაობა თბილისის უნივერსიტეტში მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი არ ყოფილა, მაგრამ მათ შორის ბევრმა გამოიჩინა თავი და თავისი საქმიანობით შესამჩნევი კვალი დატოვა ჩვენს მეცნიერებაში. ასეთი იყო მაგალი თოდუაც. მახსოვს, ერთ-ერთ ახალგაზრდულ კონფერენციაზე, სადაც მან მოხსენება წაიკითხა, ერთმა მონაწილემ, გაცხოველებული მსჯელობის შემდეგ, ასე იხუმრა: „მაგალი მართლა მაგალი-თიაო“. მართლაც, იმთავითვე მაგალი თავისი შრომის უნარით, თავდადებული სწავლით, საქმისადმი ინტერესით გამოირჩეოდა. მისი არჩეული სპეციალობა — სპარსული ძალზე რთული იყო: უმდიდრესი ლექსიკური მარაგისა და უდიდესი სალიტერატურო ტრადიციების მქონე სპარსული ენა ადვილი დასაძლევია არ იყო. სამეგრელოდან მოსული ახალგაზრდა არ შეუშინდა ამ სირთულეს. მისმა ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო — მაგალი თოდუა ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი დადგა; მას კარგად იცნობდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ სხვაგანაც და მისმა ნაშრომებმა სამართლიანად მოიპოვა მაღალი შეფასება. მაგალი თოდუას მუშაობამ „ვისრამიანის“ ტექსტზე თვალსაჩინო შედეგი მოიტანა როგორც ქართული, ისე სპარსული ტექსტის დასადგენად. თავისი ბუნებითა და ხასიათით იგი სავსებით ამართლებდა პოეტის სიტყვებს — „იმერნი ზრდილნი“ — ყოველთვის თავაზიანი, საქმიანი, ამხანაგისა და მეგობრის დამხმარე; ბევრს ახსოვს მისი სტუ-

მართმოყვარე ოჯახი სამეგრელოში, სადაც ექსპედიციასა თუ უბრალოდ სტუმრობისას მაგალი ხვდებოდა მასთან მისულ სტუმარს. მჭიდრო ურთიერთობა მაგალისთან გვექონდა განსაკუთრებით 1995 წლის შემდეგ, როდესაც გელათის სამეცნიერო აკადემიის ჩამოყალიბების შემდეგ მაგალი პრეზიდენტად იყო არჩეული. აქაც დაუზარელად შრომობდა, — ზრუნავდა აკადემიაზე, პირადად ხელმძღვანელობდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ ჟურნალს, რომელშიც ბევრი საყურადღებო წერილი და გამოკვლევა დაიბეჭდა. ეს პატარა წიგნაკები თავისი შინაარსით ბევრ „მსხვილ“ ჟურნალს არ ჩამოუვარდებოდა. ბოლო წლებში, როდესაც ასაკი და ავადმყოფობა ორივეს მოგვეძალა, მეტწილად ტელეფონით გვიხდებოდა საუბარი. ხუმრობით მას „ცოცხალ ლექსიკონს“ ვეძახდი. მაგალის არასდროს დაზარებია ჩემთვის ხელმიუწვდომელ იშვიათ სპარსულ ლექსიკონში ჩახედვა და რომელიმე სიტყვის განმარტების მონახვა. ამ სატელეფონო საუბრებში ბევრი რამ გაგვხსენებია — საამური თუ სევდიანი, ზოგჯერ სასაცილოც. მას ბოლომდე შერჩა ცოცხალი მეხსიერება, ამიტომ მოულოდნელად სტუდენტობის დროინდელი ამბის გახსენებაც შეეძლო და ჩვეული იუმორით მოჰყვებოდა ხოლმე ძველ ამბავს. ერთხელ გაიხსენა ვარლამ თოფურისას ლექცია, სადაც ლექტორმა მას „ზენარ“ სიტყვის მეგრული ექვივალენტი მოჰკითხა. „მე კი რიხით მივუგე — პროსტინა, ბატონოო“ — თავისებური ჩაცინებით მიამბო. წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა ბევრი კეთილი მოგონება, რომელიც ბოლომდე გაჰყვება ყველას, ვინც კი მაგალი თოდუას იცნობდა.

მზექალა შანიძე

ჩემი ბოლო საუბარი

იყო საოცარი ჭარმაგი „ახალგაზრდა“, მრავალწლოვანი, ლამაზ ეკლესიას ზურგით დაატარებდა და სიკეთეს ეძებდა. „ზღაპრული სამრეკლოს“ ზარების რეკვას სპარსული პოეზიის მუსიკას უხმატკბილებდა. მამულის სიყვარულით კი თავის „პირმშო“ ჟურნალს „ქართველოლოგია“ უწოდა. ყდის ფერადოვნებისთვის მეტაფორული სამება შეარჩია:

1. გარეკანისათვის – შავი ფერი, როგორც სამყაროს იდუმალებაში დაფარული საძიებლის მრავალსახიობა;

2. ლამაზი ნარინჯისფერი წარწერა „ქართველოლოგია“, როგორც მოქმედების უძლიერესი პოტენციით გასხივოსნება;

3. მრავალ ფერთა შემკრები თეთრი ფერი „ვარტელოლოგია“, როგორც უსაზღვრო სურვილი საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მისი არსებობისა და როგორც შესაძლებლობათა თავისუფალი არჩევანი.

და კიდევ!..

ბატონი მაგალის პიროვნული, მისტიკური ხიბლი, რომელიც ჟურნალს თან დაჰყვებოდა, როგორც სიყვარულში გამთბარი მადლი და, იმავე დროს, როგორც მკაცრი პროფესიული მომთხოვნელობა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ „ქართველოლოგია“ ანდამატური ძალით იზიდავდა კრეატიული ბუნების ისეთ გამოჩენილ მეცნიერებსა და ხელოვან მოღვაწეებს, როგორებიც არიან ნელი მახარაძე, ინგა ბახტაძე, ნოდარ ნათაძე, გია

კვაშილავა, რაულ გვეტაძე, მალხაზ ერქვანიძე, ნოდარ მამისაშვილი და სხვანი.

ბატონი მაგალის მისტიკური ხიბლი ათბობდა ჟურნალის რედაქციას, სხვადასხვა ავტორთა ხელნაწერებიდან სტამბამდე.

მისი სამრეკლოს ზარები მუდამ რეკდნენ დაუღალავად. მათ მის შერყეულ ჯანმრთელობასაც კი აჯობეს. აჯობეს მაშინაც, როცა მან იგრძნო ნუთისოფლის სასრული დღე. ეს იცოდა მხოლოდ მან და არ იცოდა არავინ.

აღბათ, ამიტომ იყო უჩვეულო ჩემი ბოლო საუბარი მასთან. იმ დღეს ბატონი მაგალი დიდხანს მესაუბრა. მთხოვა, მივსულიყავი რედაქციაში, რათა ერთად განგვეხილა სამეცნიერო პრობლემათა ახალი მიმართულებები, ახალგაზრდა მკვლევართა შერჩევის საკითხები, ფსიქოლინგვისტიკასთან დაკავშირებული თანამედროვე გლობალიზაციის პრობლემები და სხვა.

ამ საუბრიდან სულ ორი დღის შემდეგ ბატონი მაგალის სული ღვთიურ სოფელს შეემატა. მე კი გამახსენდა ყველა დროის გენიოსის ვაჟა-ფშაველას უკვდავი სტრიქონი:

„ღმერთმა გაცხონოს, სიკვდილო, სიცოცხლე შენით ხარობსა“.

ასეც არის და ასეც იქნება...

და რეკენ ბატონი მაგალის ზღაპრული სამრეკლოს ზარები:

„ქართველოლოგია!“ „საქართველო!“ „ქართველოლოგია!“ მრავალჟამიერ!

“Kartvelology”!

ნოდარ მამისაშვილი

„აკაკია, ბატონო, აკაკი“

ენერგიითა და შემოქმედებითი იდეებით სავსე 92 წლის მაგალი თოდუას გარდაცვალება მოწმენდილ ცაზე მუხის გავარდნას ჰგავდა. სიკვდილს მისთვის ჩვეულ ვითარებაში, სანერ მაგიდასთან შეხვდა. „არმაღანის“ მორიგი ნომრისათვის მასალას არჩევდა, თან ფიქრობდა გამოცემისათვის საჭირო თანხაზე.

სპარსული კლასიკური პოეზიის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მკვლევარი, ფრთიანი სიტყვის მფლობელი, ჩინებული მთარგმნელი იყო. ქართველი მკითხველი პირველად მის „ტაჯიკურ პოეზიას“ გაეცნო, რასაც მოჰყვა „ნიზამი“, „რუდაქი“, „ჯელალ-ედ-დინ რუმი“, „შაჰ-ნამე“ პროზაულად და ა.შ. მაგალი თოდუას პოეტური თარგმანებით აღფრთოვანებული იუსტინე აბულაძე ამბობდა: „აკაკია, ბატონო, აკაკი“. ამბებსაც ისე ცოცხლად, შთამბეჭდავად (მაღალი რეგისტრით) ყვებოდა, რომ თავს შემთხვევის მონაწილედ თუ არა, თვითმხილველად მაინც იგრძნობდი.

აღმოსავლეთმცოდნეობის, გამოკვეთილად სინკრეტული მეცნიერების, ტიპური წარმომადგენელი იყო: სპარსული კლასიკური ლიტერატურა, ტექსტოლოგია, ლექსიკოლოგია, ენობრივი კონტაქტები, თარგმნის მეთოდები, ისტორია, წყაროთმცოდნეობა, დიპლომატიკა, პალეოგრაფია, ხელოვნება... მუშაობდა გადამდები ხალისით, შეუსვენებლად. თემას თემა ცვლიდა, პროზას – პოეზია. გამოქვეყნებულ ნაშრომს ხაზგასმული თავმდაბლობით მოგიტანდა, მისეული კალიგრაფიული ხელით შესრულებული თბილი წარწერით, რასაც ყოველთვის ახლდა მობოდიშების ტექსტი: „სასაჩუქრე წარწერა შურას ეხერხება, გვახარიას, მე კი არაო“. ბატონმა მაგალიმ რუსულ ენაზე ორ ტომად გა-

მოსცა „სპარსული ფირმანების თბილისური კოლექცია“ – ტექსტი, თარგმანი, ფაქსიმილე, კომენტარები. როცა გადავათვალიერე, გულწრფელად ვუთხარი, „ეს საუკუნის გამოცემაა-მეთქი“. გაიცინა და თქვა: „ახლა კი, მგონი, დავიჯერე, რომ მართლა ასეა. მოსკოვში პროფესორმა ელენე დავიდოვიჩმაც ზუსტად ასე მითხრა“. ბატონი მაგალის შექმნილია თემატიკის სიახლითა და სიმრავლით გამორჩეული „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, სულხან-საბას თანაავტორობით გამართული ვახტანგისეული „ქილილა და დამანა“, „შაჰ-ნამეს“ პროზაული თარგმანი. ცნობილი ირანისტის, პროფესორ ალექსანდრე გვახარიას თანაავტორობით „ვისრამიანი“ – ქართული ტექსტი ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონით, 1962 წელი.

პოემის უძველესი თარგმანის – ქართული „ვისრამიანის“ გათვალისწინებით, 1970 წელს ალექსანდრე გვახარიასა და მაგალი თოდუას ავტორობით სპარსულ ენაზე გამოიცა „ვის ო რამინი“, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

„ისა-ნამეს“ გამოცემით მაგალი თოდუამ დროს გაუსწრო, გუმანით თუ იგრძნო ეპოქის გამოწვევა – ისლამისტთა უკიდევანო გააქტიურება. მან თანამედროვეთ შეახსენა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახე ისლამურ სამყაროში, კერძოდ, სპარსულ პოეზიაში – რუდაქიდან დაწყებული ხომეინიმდე. ბევრს ეცადა ამ საშვილიშვილო საქმეში ქართველი არაბისტები და თურქულოგები ჩართულიყვნენ, მაგრამ... 2008 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის პრემია და მსოფლიოს საუკეთესო ირანისტის სახელი დაიმსახურა. იყო რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

მაგალი თოდუა მრავალპროფილიანი შემოქმედებითი ნატურა იყო. სიმღე-

რისა არ ვიცი, მისი წალიღინებაც არ მომისმენია. ნახატს კი საოცრად გრძნობდა და ხედავდა. ამის დასტურია თუნდაც გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური ჟურნალის (რომლის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი თვითონ იყო) ყდაზე მოთავსებული ფერადი ილუსტრაციები. თავადაც ხატავდა. ერთხელ, ხელნაწერთა ინსტიტუტში სამუშაოდ მოსული, ჩემთან შემოვიდა, მიაშობ აქაური-იქაური საინტერესო ამბები, ერთი წუთით შეჩერდა, შემომხედა, მთხოვა შავი ფანქარი და ქალაღი. სულ ცოტა ხანში წინ დამიდო მხოლოდ წრიული ხაზებითა და წერტილებით გამოსახული, ერთმანეთის პირისპირ „მდგომი“ აკადემიკოსები – გიორგი წერეთელი და სერგი ჯიქია. ნახატიდან პირდაპირ მათი ხმა მოისმის.

მაგალისათვის სრულიად უცხო იყო „პოეტური უწესრიგობა“. ორგანიზებუ-

ლი შრომის გამორჩეულმა უნარმა შეაძლებინა ყოფილიყო: აკად. გ. წერეთლის სახელობის ირანისტიკის განყოფილების გამგე, სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური ჟურნალის დამაარსებელი (2002 წლიდან) და მთავარი რედაქტორი, 2007 წლიდან ჟურნალ „ქართველოლოგიის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი. ნებისმიერ ჟურნალს იგი მიიჩნევდა „ცოცხალ ორგანიზმად“, ამიტომ დაუშვებლად მიაჩნდა გამოცემის შეფერხება. იყო ოჯახზე გადაგებული სანიმუშო მეუღლე, მამა და ბაბუა. იშრომა და იღვანა სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

„მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰკიეს“.

ცისანა აბულაძე



სერგი ჯიქია



გიორგი წერეთელი

პირველი ჰონორარი

სიტყვა არაფრად მეჩვენება, როდესაც მინდა, ჩემი გრძნობა, უსაზღვრო პატივისცემა, სიყვარული გამოვხატო შენ მიმართ, ჩემო მაგალი! შენი ხალასი ნიჭი, სულიერი სისპეტაკე, უდიდესი კეთილშობილება, შენი უშუალო დამოკიდებულება გვერდით მყოფთა მიმართ თან სდევდა ჩვენი ურთიერთობის 70 წელს!

ბევრი მაქვს მოსაგონარი, მაგრამ ის, რაც შენ ჩემი ოჯახისთვის შუა აზიაში გადასახლების დროს გააკეთე, მთელი ცხოვრება თან მდევს.

იდგა 1951 წლის დეკემბერი. ჩვენ, უკვე მე-2 კურსის ასპირანტები, ლიტერატურის ცივ კაბინეტში ვისხედით. მახარე, რომ სპარსულიდან თარგმნილი შენი ლექსები იბეჭდება და მალე ჰონორარსაც მიიღებ. გახარებული, უკვე ანაწილებდი მისაღებ თანხას – დედისთვის პალტოს ყიდვა გინდოდა, სახლის სახურავს შეკეთება სჭირდებოდა... მე გეუბნებოდი, რომ აუცილებლად ფეხსაცმელი უნდა გეყიდა შენთვის, შეუძლებელი იყო

ცივი ზამთრის თხელ ფეხსაცმელში გატარება. თანაც, ამ დროს იწყებოდა შენი ურთიერთობა შენსავით არაჩვეულებრივ, სპეტაკ, მშვენიერ იზეასთან, რომელიც შემდეგ შენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. მოკლედ, დიდ ამბავში იყავი, ფული მაინც არ იყო საკმარისი შენი პრობლემების გადასაჭრელად.

რამდენიმე დღეში მე და ჩემი ოჯახი ყაზახეთში გადაგვასახლეს... ძალიან მალე კი ამ თანხას მე შუა აზიაში ვიღებ!

უაღრესად ძნელია იმ ემოციებზე საუბარი, რაც შენმა დიდსულოვანმა საქციელმა ჩემში გამოიწვია!!! რასკვირველია, თითოეული კაპიკი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, მინურებში ჩაყრილი ხალხისთვის, მაგრამ ამ საჩუქარს ძალიან დიდი სევდა ახლდა! ჩემი ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც შენს მიღწევებზე, შენს წარმატებებზე საუბრობდნენ, მინდოდა ყველას გაეგო, თუ რა დიდი სულის ადამიანი იყავი, ჩემო მაგალი!

თათული მასხარაშვილი

ჩვენი მაგალი თოდუა

როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდით, ჩვენი ფაკულტეტი ყველაზე მცირერიცხოვანი იყო. მაგრამ მეცნიერული სკოლები და სასწავლო დაწესებულებანი ტოლს ვერ დაუდებდნენ.

ჩვენი ფაკულტეტი მოგაგონებდათ მდიდარ ტრადიციებზე დაფუძნებულ ქართულ ოჯახს, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მაღალი ზნეობა, ერისა და ქვეყნის სიყვარული, მეცნიერული ღირსება და ეთიკურ-აღმზრდელი პრინციპი ბატონობდა. გასაოცარი იყო ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც სტუდენტსა და სახელგანთქმულ პროფესორებს შორის ჩამოყალიბდა: ეს იყო – არც მეტი, არც ნაკლები – მამაშვილური სულიერი კავშირი.

პირადად მე ბევრი რამ ვისწავლე იმ მოძღვართაგან, რომელნიც გვმოძღვრავდნენ, რომ შეჭირვების ყამს სიყვარული არ გაგვეცუდებინა, ღირსება არ დაგვეკარგა და სიმართლისთვის გვებრძოლა. ამ ღირსეულ მოძღვართა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამიტომაც მინდა, ამ რჩეულთაგან სულ ახლახან მიცვლილ, დიდ ქართველ მეცნიერსა და მოძღვარზე – მაგალი თოდუაზე მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა.

მე ადრევე მივხვდი, რომ, თუ ვინმე აღმოსავლური პოეზიისა და პოეტიკის ურთულეს ბილიკზე უსაფრთხოდ გამატარებდა, ეს იყო ბატონი მაგალი და იმთავითვე ჩემს მოძღვრად, აღმოსავლური თვალთახედვით, ფირად ავირჩიე. ფირი კი ღვთითშთაგონებული ის პიროვნებაა, რომლის გარეშეც ადამიანს უძნელდება სულიერი სრულყოფილების მაკამამდე ამაღლება და, თუკი იგი მიმდევარმა იწამა და აირჩია, სავსებით უნდა მიენდოს მას.

ახლა ვერაფერს გეტყვით, რამდენად გავამართლე, როგორც მიმდევარმა და

თალიბმა ფირის იმედი, ამაზე თავად ფირს უნდა ეთქვა და არაერთგზის უთქვამს კიდევ. მაგრამ ეს კი გადაჭრით შემძლია გითხრათ, რომ ჩემი ფირი ყოველმხრივ სრულყოფილი იყო და სიკეთისა და სიყვარულის დაულალავი მქადაგებელი გახლდათ.

მაგალი თოდუა უპირველესად იყო ადამიანი ამ სიტყვის პირველადი და ძირეული მნიშვნელობით. კაცი, რომელიც ილიასეულ განსაზღვრებას „კაცურის“ დართვას არ საჭიროებდა.

მაგალი თოდუა იყო ღვთით დაჯილდოებული სიყვარულის გრძნობით. მას უყვარდა უფალი, უყვარდა სამშობლო, უყვარდა ადამიანი, უპირველესად აღმერთებდა ქართველს და „მერე – ვისაც რამდენი მართებდა“.

მაგალი თოდუა იყო მაღალი ნიჭიერებით დაჯილდოებული. ამიტომაც დიდად აფასებდა ნიჭიერებას, ყველა ნიჭიერს პატივს მიაგებდა.

მაგალი თოდუას სავსებით არ ახასიათებდა შური, რომელიც „არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“. პირუკუ, ხარობდა და ზეობდა სხვათა წარმატებების, სხვათა კეთილმოყოფობის გამო.

მაგალი თოდუა იყო მადლმოსხმული პოეტი, აღმოსავლური პოეზიის საუკეთესო მთარგმნელი, თავისი მაღალი ნიჭიერებით რომ გაამდიდრა და აამალლა ჩვენი მთარგმნელობითი სკოლა.

მაგალი თოდუა იყო ქეშმარიტი მეცნიერი, უდიდესი აღმოსავლეთმცოდნე და სპარსოლოგი, რომელმაც შექმნა ამ სფეროში ისეთი სამაგიდო ნაშრომები, ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი გვერდს რომ ვერ აუვლის. მისი ფუნდამენტური შრომები შედეგია ენით უთქმელი გარჯის, ღრმა და მაღალი აზროვნების, განზოგადების და გონებრივი სიმკვირცხლის უნარისა და ძალის.

მაგალი თოდუა იყო არა მხოლოდ თავისი სპეციალობით შემოფარგლული მეცნიერი, არამედ, იმავდროულად, ეროვნული მოღვაწე, რომელიც მამულის გულისძგერას და მაჯისცემას ყურადღებით ეკიდებოდა: იგი იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩინებული რექტორი, მან დააფუძნა, უფრო მართებულად, გააცოცხლა გელათის აკადემია, რომლის პრეზიდენტიც თავად გახლდათ.

მაგალი თოდუამ გამოსცა მრავალი სამეცნიერო და მხატვრული კრებული, რომელთა დონეც მისი ნათელი გონებისა და ნიჭიერების შესაფერისი იყო.

მაგალი თოდუა იყო ერთობ თავმდაბალი, უპრეტენზიო ადამიანი, ვითარცა აღმოსავლელი დერვიში-მწირი. მაგრამ ერთობ პრინციპული და შეუვალი, როცა საქმე ეხებოდა ეროვნულ თუ სამართლებრივ პრობლემას.

კიდევ მრავალი შეიძლებოდა გვეთქვა ამ ღირსეული ქართველის თაობაზე. მაგრამ, ვითარცა მისი ერთი საყვარელი უდიდესი აღმოსავლელი პოეტი ამბობდა: „ამ სიტყვას დასასრული არ აქვს და შეწყვეტეთ!“

მეც ვწყვეტ, მაგრამ დასასრულს მაინც მინდა დავძინო, რომ მაგალი თოდუამ იმგვარად იღვანა და იცხოვრა, რომ ყველა ღირსეული ადამიანი, საღვთო შურით შეპყრობილი, ამბობს და მომავალში იტყვის: ამფერუმ შენ კაცობას! ნეტამც მე ვყოფილიყავი, ნეტამც მე ვიყო შენი დარი ქართველიო!..

მწამს, ღვთიურ საუფლოში ბატონი მაგალის მარადიულად დამკვიდრებულ სულს და ამქვეყნად დატოვებულ მონაგარს არცროდის დაივინყებს ქართველი ერი!..

მაშ, მეტი რაღაა უკვდავება?!

ელიზბარ ჯაველიძე

მაგალი

ნამდვილად არა ვარ ღირსი იმისი, რომ ბატონ მაგალი თოდუაზე ვწერდე ამ თუნდაც მოკრძალებულ წერილს; საქართველოში ბევრი სხვაც არის, ვინც უფრო დიდი ხანი, უფრო კარგად, უფრო საფუძვლიანად იცნობდა მას და უფრო კარგად მოგახსენებდათ მის შემოქმედებაზე, მის უნიკალურ წვლილზე, რომელიც მან შეიტანა ქართულ კულტურაში, როგორც ირანისტიმა, ფილოლოგმა.

რაც მანერინებს, ამის მიუხედავად, რამდენიმე სიტყვას, არის ის სხვანაირი დამოკიდებულება, სიყვარული, სიტბო და უშუალობა, რითაც დამასაჩუქრა გაცნობის პირველივე დღიდან ამ უაღრესად დახვეწილმა და, ამავე დროს, უბრალო პიროვნებამ.

მე არ დავწერ ირანისტზე, რამეთუ ამისი უფლება არ გამაჩნია. თუნდაც როგორც ბევრმა სხვამ, მისი მეშვეობით და თარგმანებით გავეცანი მსოფლიო კულტურის ნაწილს – სპარსულ პოეზიას. გაგიკვირდებათ და ფრანგულად (ფრანგულ სკოლებ-უნივერსიტეტებში ნაკლებად ასწავლიან აღმოსავლურ კულტურებს, თუ ამ განხრის სპეციალობაზე არ სწავლობ.) ცოტა მქონდა ნაკითხული, გარდა ყველაზე ცნობილი ფირდუსისა და ომარ ხაიმის ნაწარმოებებისა, და აქ, ქართულად, – ენაზე, რომელიც ბევრად უფრო უხდება და ესატყვისება იმ პოეტურ განწყობას – მაგალის თარგმანში აღმოვაჩინე მთავარი.

მაგრამ ამაზე არ ვწერ. მე მინდა, სხვა მაგალიზე ვწერო (უკვე ვთქვი სხვაგან, რომ დიდ პიროვნებებს „ბატონობით“ მიმართვა არ ესაჭიროებათ, რამეთუ თვით სახელს ახლავს „ბატონობა“), იმ საზოგადო მოღვაწეზე, საქართველოს სიყვარულით გაჟღენთილ ადა-

მიანზე, რომელიც ჩემი პოლიტიკური თუ საყოველთაო საქმიანობაში ჩართვის პირველივე დღიდან გვერდში დამიდგა – ამ უცხოეთიდან ჩამოსულს, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდას და ქართულ დღევანდელიობაში სრულიად გაურკვეველს. დიახ, დამიდგა გვერდში, უფრო სწორად, მწყემსად და გზის გამკვლევადა.

როცა დავაარსე, 2005 წელს, საზოგადოებრივი მოძრაობა, უსიტყვოდ ჩადგა კავშირის დამფუძნებელ წევრად და ძალიან აქტიურად ჩაერთო ამ საზოგადოებრივ საქმიანობაში, თითქოს, ეს ყოფილიყო მისთვის სრულიად ბუნებრივი.

შემდეგ წელს, 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა რომ გადავანწყვიტე და ამისათვის პარტია „საქართველოს გზა“ დავაარსე, მაშინაც გამომინოდა დახმარების ხელი და მაშინაც სრულიად მოულოდნელად ჩაუდგა სათავეში ჩვენს ადგილობრივ ღონისძიებებს: სამეგრელოს თქვენ არ იცნობთო და წაგვიყვანა ჯერ თავის სალხინოში, და იქიდან გვატარა სად ფეხით და სად მანქანით, რომ ეჩვენებინა ჩემთვის, აეხსნა ჩემთვის, გემო გაეგებინებინა ჩემთვის დედაჩემის სამშობლოსი; მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად კი – ამ რეგიონის ქართველობა მეგრძნო, მისი განუყოფელი ქართველობა და მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის. ამ „მოგზაურობამ“ სამეგრელოში, მარტვილიდან ჩხორონყუმდე, დადიანების მამულებში, მუხურში – თავისი „გრძელხურტუმიანი“ ფუტკრებით და უამრავი სხვა რამით, დამანახა ამ რეგიონის სიმდიდრეებიც და უნიკალურობაც. მაშინ ენგურის ხიდთანაც გავედით, იქიდან სიშორეში ფსოუს ვერ ვხედავით, მაგრამ ვოცნებობდით მის საზღვრად აღდგენას.

მე არასოდეს დამავინყდება ეს მოგზაურობა, ეს პირველი „საარჩევნო ლაშქრობა“, სალამოს დაქანცულები რომ ვმართავდით გაუთავებელ ბჭობას საქართველოს მომავალზე და პრობლემების გადაჭრის გზებზე. სულ გვაავინყდებოდა იქ მყოფ ჩემზე ახალგაზრდებსაც და მეც, ბატონი მაგალი ჩვენზე ბევრად ხანშიშესული, ბევრად განათლებული და ბევრად მცოდნე რომ იყო ამ საკითხებში და უნდა გავჩუმებულიყავით და მოგვესმინა მისთვის, მაგრამ მისი თავისუფალი დამოკიდებულება და გულწრფელობა სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ არავის აგძნობინებდა მის უპირატესობას და საუბარს არ ამძიმებდა, პირიქით, გზას უხსნიდა ყველას.

ამის მერე გავიდა ზუსტად ათი წელი. ასე მგონია, გუშინ იყო... ათი მძიმე წელი, სხვანაირ ბრძოლებში გატარებული, სადაც უშუალოდ უკვე ვერ ჩაერთვებოდა, მაგრამ მომენტს და საშუალებას არ კარგავდა, რომ თავისი გულშემატკივრობა გამოეხატა.

ამ ბოლო წლებში კი ძალიან

მთხოვდა, მისი ჟურნალის რედკოლეგიაში მონაწილეობა მიმელო, ერთი ინტერვიუც კი დაბეჭდა. ძალიან ვნანობ, რომ ამ საქმეში ისე ვერ დავუდექი გვერდში, როგორც ის მე დამიდგა. მაგრამ ამისი გამართლება კი მაქვს: ამ საქმეს ვერ ვითავებდი, ვერ შევასრულებდი ისე, როგორც საჭირო იყო (რაც უთუოდ მართალია). მაგრამ ამ დროს ის კი მავინყდებოდა, რომ მაგალი თოდუა როცა ჩაება ჩვენს ბრძოლაში საქართველოსთვის, არც უკითხავს, „ნუთუ შევძლებ, ნუთუ ეს ჩემი საქმეაო!“ ჩაება და იქ დადგა, სადაც მისი ქვეყნის სიყვარული კარნახობდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს მაგალი, ჩემი თვალთ დანახული, არანაკლებად ღირსეული, ქვეყნისთვის ღირებული და გამორჩეულია, ვიდრე ცნობილი აკადემიკოსი, აღიარებული ირანისტი და ყოვლად ნაქები მთარგმნელი.

ასეთი ადამიანები ქმნიდნენ და ქმნიან და შექმნიან მომავალშიც ღირსეულ ქვეყანას!

სალომე ზურაბიშვილი

მცირელი მოსაგონარი

ბატონ მაგალი თოდუასთან პიროვნული ურთიერთობებით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად მისი დანიშვნის დროიდან ვიყავი აქტიურად დაკავშირებული. 1991 წლიდან – ჩვენს უნივერსიტეტში მისი მოსვლის პირველივე დღეებიდან მოყოლებული მან რექტორსა და თანამშრომლებს შორის არა მარტო ადამიანურ ურთიერთობათა სრულიად თავისუფალი სტილი დაამკვიდრა, არამედ ბევრი ახალი ჩანაფიქრის რეალურად ხორცშესასხმელადაც გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები.

კერძოდ, როგორც თავად არაერთხელ განუცხადებია საჯაროდაც და მეგობრებთან პირად საუბრებშიც, საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნაზე იგი მხოლოდ იმიტომ დათანხმებია, რომ ამ გზით რეალური შესაძლებლობა მისცემოდა იმ იდეების განსახორციელებლად, მისი დიდი ხნის ოცნების საგნად რომ იყო ქცეული.

ბატონი მაგალის მიერ რექტორად დანიშვნის პირველივე წელიწადს ამ მიმართულებით გაკეთებულ საქმეთაგან, რის შედეგადაც ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალმა ახალი, დიდმნიშვნელოვანი, მიმართულება შეიძინა, განსაკუთრებული ყურადღება რეალურად გადადგმულმა სამმა უმთავრესმა ნაბიჯმა მიიქცია – პირველი, ბიბლიის კვლევის ცენტრის დაფუძნებამ, რომელსაც პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე ჩაუყენა სათავეში; მეორე, დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნამ, რომლის ხელმძღვანელობაც თავდაპირველად თავად იკისრა, შემდეგ კი მის დირექტორად პროფესორი ტარი-

ელ ფუტკარაძე მოიწვია; და მესამე, ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) სამეცნიერო ჟურნალის – „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბის“ დაარსება, რომლის მთავარ რედაქტორადაც თავდაპირველად თავად იყო, შემდეგ კი ეს მოვალეობა პროფესორ მიხეილ ქურდიანს დაავალა.

სამეცნიერო საქმიანობის გასააქტიურებლად რეალურად გადადგმული ამ ნაბიჯების გარდა, ბატონმა მაგალიმ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის თვისებრივად ახალ დონეზე ასაყვანადაც და ახალი სპეციალობების გასახსნელადაც გააკეთა ბევრი რამ. კერძოდ, მისი აქტიური ძალისხმევით, ჩვენს უნივერსიტეტში ლექციების ნასაკითხად სისტემატურად დაიწყეს თბილისიდან ჩამოსვლა ცნობილმა მეცნიერებმა: აკაკი ბაქრაძემ, ზურაბ კიკნაძემ, თედო უთურგაიძემ, ალექსი ჭინჭარაულმა და სხვებმა.

ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ის უდიდესი დამსახურება, რომელიც ბატონ მაგალის ჩვენს უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობის გახსნის საქმეში მიუძღვის. პირველ ყოვლისა, სწორედ მისმა უდიდესმა სამეცნიერო ავტორიტეტმა და პირადმა კონტაქტებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ეს სპეციალობა იმთავითვე იქცა ჩვენი უნივერსიტეტის ძალზე წარმატებულ იმ მიმართულებად, რომელიც აქტიურად აღმოჩნდა დაკავშირებული ირანის ისლამური რესპუბლიკის, თურქეთისა და არაბული ქვეყნების უნივერსიტეტებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი მაგალი თოდუა მისი რექტორობის პერიოდში სამეცნიერო კვლევის ყველა მიმართულებით განვითარებასა და გაღრმავებას აქტიურად უწყობდა ხელს, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იგი, უპირველეს ყოვლისა, მაინც ქარ-

თველოლოგიური მეცნიერებებისადმი იჩენდა. სწორედ ამ ყურადღებისა და ინტერესის რეალურ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მისი რექტორობის პერიოდში საფუძველჩაყრილმა ყოველწლიურმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ – „ქუთაისური საუბრები“ ქართველოლოგიურ სამყაროში უაღრესად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგია“ კი, რომელიც დღესაც გამოდის, კვლავაც რჩება დიდი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე პერიოდულ გამოცემად.

ბატონ მაგალი თოდუას მიერ საფუძველჩაყრილ საქმეთაგან საგანგებოდ მინდა გამოვყო ის დიდი დამსახურება, რომელიც მას გელათის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნების საქმეში მიუძღვის, როგორც ამ იდეის ავტორსა და რეალობად ქცევისათვის აქტიურად მებრძოლ პიროვნებას. ამ დიდი ეროვნული ჩანაფიქრის ხორშესასხმელად მისივე თავკაცობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც ქართველოლოგიურ მეცნიერებათა ცნობილი წარმომადგენლები შედიოდნენ,

სისტემატურად ვიკრიბებოდით მის ბინაში და აქტიურად ვმსჯელობდით ახალი აკადემიის შექმნის შესაძლებლობასა და სამომავლო გეგმებზე.

საბედნიეროდ, ეს დიდი სამეცნიერო იდეა 1995 წელს მართლაც იქცა რეალობად და გელათის მეცნიერებათა აკადემიის შექმნის ბრძანებას ერთდროულად მოანერგეს ხელი ჩვენი ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ბატონ მაგალის ქუთაისთან და ჩვენს უნივერსიტეტთან აქტიური ურთიერთობა არც მას შემდეგ შეუწყვეტია, რაც მან უნივერსიტეტის რექტორობაზე საკუთარი ნებით თქვა უარი. ამ დროიდან მოყოლებული, იგი ამ ურთიერთობას უკვე როგორც გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ირანისტიკის კათედრის ხელმძღვანელი განაგრძობდა.

მაგალი თოდუას მიერ შექმნილი სამეცნიერო და შემოქმედებითი მემკვიდრეობა წარუშლელ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული მეცნიერებისა და სიტყვიერი ხელოვნების ისტორიაში.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

მაგალი თოდუას მოსაგონარი

ბატონი მაგალი თოდუა ახლოს 2002 წლის დეკემბერში გავიცანი, როცა მის მიერ დაარსებული „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის“ სწავლული მდივნობა შემომთავაზა (თვითონ მთავარი რედაქტორი იყო, ამავდროულად – გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიც). დაიწყო ახალი უაღრესად ნაყოფიერი სამეცნიერო და, იმავდროულად, ჟურნალისტური საქმიანობის ხანა ჩემს ცხოვრებაში. ამ მომხიბლავ პიროვნებასთან, შესანიშნავ აღმოსავლეთმცოდნესა და პოეტთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა ერთობ სასარგებლო იყო მრავალი თვალსაზრისით. დიახ, პოეტთან!.. არ მახსენდება სხვა გამოჩენილი მკვლევარი-მეცნიერი, რომელსაც ასეთივე წარმატებით ემოღვაწეოს პოეტური თარგმანის სფეროშიც. სპარსული პოეზიის მაგალი თოდუასეული თარგმანები ქართული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ბატონი მაგალი ჟურნალის „ზოგადი“ ხელმძღვანელობით არ კმაყოფილდებოდა. ყოველ ნომერს, რედაქციის თანამშრომელთა მიერ სასტამბოდ გამზადებულს, თავიდან ბოლომდე გულდასმით კითხულობდა და ასწორებდა. თანაც არშიებზე სახალისო მინაწერებსაც ტოვებდა. ბედნიერებაა, როცა შეფს იუმორის გრძნობაც აქვს, რაც არამართო სასიამოვნოს ხდის მასთან ურთიერთობას, არამედ დიდად უწყობს ხელს თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებასაც. იუმორის გრძნობაც, მრავალ სხვა ნიჭთან ერთად, ბატონი მაგალისთვის უხვად მიემადლებინა გამჩენს.

აი, იუმორით შეფერილი ფრაგმენტი მისი ერთი ბარათისა, რომელსაც სათუთად ვინახავ:

„ბატონო ლევან, გიგ ზავნით ჩემს სტატიას და დისკეტს, რომელიც, ჩვენი

ჭკუით, ჩასწორებული უნდა იყოს – მე-3 ნომრისთვის. ძალიან გთხოვთ, გულდასმით წაიკითხოთ, განსაკუთრებით პირველი, „თეორიული ნაწილი“, – რამეს არ ვაჭახუნებდე!“

(ეს ერთობ კოლორიტული სიტყვა – „აჭახუნებს“ – არა მაქვს „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“, შემდგომ გამოცემაში აუცილებლად შევიტან!).

წარწერა 2007 წლის მე-6 ნომრის კორექტურის თავფურცელზე:

„ლევან, მართლა კარგი ჟურნალია! კომუნისტობა რომ იყოს, მე ლენინის ორდენით დამაჯილდოვებდნენ, თქვენ – შრომის წითელი დროშის ორდენით, თაკოს – საპატიო ნიშნის ორდენით. აფსუს!“

ერთხელ შესანიშნავი სტილისტის ბატონ გივი ბოჯგუას წერილი დავბეჭდე, სადაც ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ზედსართავი სახელი „მაგარი“ დღევანდელ ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ენაცვლება ყველა დადებით ეპითეტს (მაგარი მუსიკაა, მაგარი წყალია, მაგარი ბავშვია...), რაც მეტისმეტად აღარიბებს ენას.

ბატონმა მაგალიმ კორექტურა ასეთი კომენტარით დამიბრუნა:

„მთავარი რედაქტორის მინაწერი: მაგარი სტატიია! – მ. თ.

ლევან, გავუშვათ ეს მინაწერი? იუმორად ჩაგვითვლიან და ურიგო არ იქნება“.

გავუშვით!.. ამგვარი რამ, მგონი, მთლად უნიკალური მოვლენაა სამეცნიერო ჟურნალისტიკის ისტორიაში! იუმორმა გადაფარა (თუ გაამართლა?) სარედაქციო სტანდარტის (თუ ეთიკის?) დარღვევა!

კიდევ ორ მარგინალიას გაგაცნობთ, ბატონი მაგალის მიერ საკორექტურო ამონაბეჭდებზე დატოვებულს, რომლებიც, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს სტილისტებისთვის და სხვათათვისაც:

„ბატონო ლევან, საერთოდ ჩვენს ხანაში შეიმჩნევა ძახილის ნიშნის უგულვებლყოფა. ხომ არ დავანერინოთ ვინმეს სტატია ამის თაობაზე?“

დასაბეჭდად მომზადებულ ერთ ნერილში სიტყვა „მენცარი“ შემოუხაზავს და ასეთი შენიშვნა მიუწერია:

„მენცარი მეგრულია და ალბათ მეცნიერი-ს ადეკვატია. მეგრულში კარგად ზის, მაგრამ ქართულში არის უკვე შემოსული? ან (არ მახსოვს) საბას ასეთი ფორმა აქვს?“

არც საბას აქვს და ვერც ქართული ენის რვატომიან განმარტებით ლექსიკონში იპოვით „მენცარს“, მაგრამ იმ ხანებში ეს სიტყვა უკვე მკვიდრდებოდა სალიტერატურო ენაში საიდუმლო ცოდნის მფლობელის მნიშვნელობით და... საქმეში ჩახედულ რამდენიმე კოლეგასთან დათათბირების შემდეგ დავტოვეთ.

ბატონი მაგალი საგანგებო ყურადღებას აქცევდა წერისა და მეტყველების კულტურის საკითხებს. ძალიან აწუხებდა ის მძიმე ვითარება, რაც ბოლო დროს შეიქმნა ამ მხრივ ჩვენში. დააარსა მუდმივი რუბრიკა „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“, რომლისთვისაც გამოჩენილ ენათმეცნიერებს საგანგებოდ უკვეთავდა სტატიებს ენობრივი ნორმების ტიპობრივ დარღვევათა შესახებ. სადღეისოდ ერთობ საჭირობოროტო ლინგვისტურ პრობლემებს შესანიშნავი პუბლიკაციები მიუძღვნენ. ისინი ძალიან გამოადგება ყველას, ვისაც სურს პრაქტიკული სტი-

ლისტიკის სფეროში გაინაფოს.

ბატონ მაგალისთან ურთიერთობა მის თანამშრომლებს იმის გამოც გვეხალისებოდა, რომ ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ჩინებული მთხრობელიც გახლდათ. ერთ რამედ ღირდა მისი მოსმენა, როცა ის თავის სახელგანთქმულ მასწავლებლებსა და კოლეგებზე იწყებდა საუბარს.

დიდი მონინებით იხსენიებდა აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს, რომელიც კონსულტაციას უწევდა მას აღმოსავლური მწერლობის ქართულ თარგმანთა კრებულების მომზადებისას, „არმაღანის“ სახელწოდებით რომ გამოსცემდა ბატონი მაგალი. ერთხელ მიაბო:

„არმაღანზე“ მუშაობის დროს ხშირად ვხვდებოდი აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს. ერთხელაც ვუთხარი: აკაკი ნერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ რამდენჯერაც უნდა ნავიკითხო, არ მწყინდება-მეთქი.

მაჯაზე ხელი მომკიდა და მითხრა:

– ბედნიერი კაცი ყოფილხარ! მე ვერ ვკითხულობო.

გაოცება რომ შემატყო, დასძინა:

– მეტირება და წნევა მიწევსო.

მისი ეს მონათხრობი რამდენიმე თვის შემდეგ (სხვა ჩანაწერებთან ერთად) ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოვაქვეყნე. ენახა... დამირეკა და შემაქო – რა ზუსტად დაგიმახსოვრებიაო!

უაღრესი თავმდაბლობით გამოირჩეოდა ეს კეთილშობილი ადამიანი, რაც არცთუ ხშირი მოვლენაა მუზეუმის მიერ განებივრებულ შემოქმედთა შორის. მის მიერ თარგმნილი ნიჟამი განჯელის ლექსის ეს სტრიქონები თვითონ მთარგმნელის ზედმინევნით ზუსტი დახასიათებაც არის:

„არც დიდკაცობა და არც მეფობა,
 არც ვის ძლევა და არც ვის ხელყოფა
 არ მსურვებია და არ მსურს დღესაც, –
 ერთი მარცვალი მაქვს და მეყოფა.
 ვინც ის მიბოძა, ვესავ და ვლოცავ,
 გახარებული ამით ისე ვარ;
 ერთი მარცვალი კი ჰქვია, მაგრამ
 თავთავს იყრის და ასად იქცევა!“

ბატონი მაგალი თოდუას გარჯა რავლებლად სანიმუშოა და აღტაცებას
 ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა იმსახურებს.
 და ლიტერატურის წარმატებათა გასამ-

ლევან ბრეგაძე

უბრალოდ, კარგი ადამიანი

მოგონებები... რაც დრო გადის, მით მეტად ძვირფასი და თბილი ხდება... მით მეტად გვინდება წარსულში ერთი წუთით მაინც დაბრუნება... ადამიანს ათასი მოგონება შემოაწვება ხოლმე: ტკბილი თუ მწარე, სასიამოვნო თუ უსიამოვნო. ძალიან დასანანი, როცა ასეთი მოგონებები ისეთ ადამიანს უკავშირდება, რომელიც ჩვენ გვერდით აღარაა. ეს უკვე ტკბილ-მწარე მოგონებებია, მაგრამ ძალიან ღირებული. ზეციერი იმიერის ჩვენი მეგობრები და ახლობელი ადამიანები ხომ ამ მოგონებებში რჩებიან მუდამ ჩვენ გვერდით, ჩვენში და ჩვენთან ერთად?! ესაა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ და მეც მინდა, ჩემს მოგონებებში გავაცოცხლო ჩემი ძვირფასი მეგობარი და დიდებული ადამიანი – მაგალი თოდუა. მასზე ჩემი მოგონებები უშუალოა და სიკეთით გაჟღენთილი.

მაგონდება ბატონი მაგალის ურთიერთობა ოჯახთან, მისი სიტბო.

ლაშა, მისი უფროსი შვილიშვილი, გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა ბაბუასთან, რომელსაც ძალიან უხაროდა შვილიშვილის გვერდით ყოფნა და ამიტომაც არაფერს უშლიდა. ლაშას ძალიან კარგი მეგობრები ჰყავდა ქუთაისში, რომლებიც ხალხური სიმღერების შემსრულებლები იყვნენ; მოვიდოდნენ სალამოობით წმინდა ნინოს სახელობის მე-3 სკოლის წინ და ისეთ სიმღერას შემოსძახებდნენ, არამარტო ბინიდან გადმომდგარი მეზობლები, ყველა გამვლელ-გამომვლელი ტკბებოდა მათი სიმღერით. უნდა აღვნიშნო ბატონი მაგალის დიდი კაცთმოყვარეობა – როგორ უტოლებდა თავს შვილიშვილების მეგობრებს და მასპინძლობდა მათ.

მინდა, გავიხსენო ასეთი კურიოზი: ლაშამ რამდენჯერმე ჩაიცვა ბატონი მა-

გალის პიჯაკი, რომელსაც, მისი ასაკიდან გამომდინარე, სათანადოდ ვერ და არც უფრთხილდებოდა. ბატონი მაგალი, ბუნებრივია, არაფრად არ აგდებდა ამას, მე კი ვერ მოვითმინე და, ერთხელ, მკაცრად ვუთხარი, არ გრცხვენია, ლაშკო, რექტორ კაცს ერთადერთი პიჯაკი აქვს და შენ როგორ უნდა დაუხიო, სასწრაფოდ გაიხადე და აღარ ჩაიცვა-მეთქი! მაშინ მართლა სერიოზულად გავუჯავრდი. რომ მახსენდება, გულიანად მეცინება. ლაშა სკოლის მოსწავლე იყო, აღნაგობით სუსტი ბავშვი, ბატონი მაგალი – საკმაოდ სავსე კაცი. პიჯაკი იმდენად დიდი იყო, გეგონებოდათ, პალტო აცვიაო, რომ არაფერი ვთქვა ბეჭებზე, რომლებიც ლამის იდაყვამდე იყო გადმოსული. დიახ, მართლაც ერთადერთი პიჯაკი ჰქონდა და ვინც მას იცნობდა, ეს არავის არ უკვირდა. არადა, იყო დრო, როცა მავანნი ჟურნალ-გაზეთებში წერდნენ, მაგალი თოდუა ქუთაისის უნივერსიტეტში ქრთამებს იღებს და დიდ ფულს აკეთებსო.

ერთ დღეს ბატონ მაგალის ჩავაცვივდი, ტელევიზიით უნდა გამომხივდეთ და საზოგადოებას თქვენს საქმიანობაზე ესაუბროთ-მეთქი. მან იუარა, ქ-ნო მაღონა, ძალიან გთხოვთ, ვერ გამოვალ, ნუ დამაძალებთ, წნევა ამიწევს ახლაო. სალამოს მართლაც ისე აუნია წნევამ, რომ ექიმ-კარდიოლოგ ჩიტო ბუზიაშვილს დავურეკე და ისიც სწრაფად მოვიდა. როცა მაგალი კარგად გახდა, გაიცინა და მითხრა, რა ხართ ასეთი, ქ-ნო მაღონა, ჯერ თქვენ თვითონ ამიწიეთ წნევა, მერე კი ექიმი მომიყვანეთო?!

ბატონი მაგალის სახლი ქუთაისში იყო გამოჩენილი მეცნიერების, აკადემიკოსებისა და პროფესორების, მსახიობებისა და მწერლების თავშეყრის ადგილი.

იმართებოდა საუბრები საქართველოს წარსულზე, აწმყოზე და, რაც მთავარია, მომავალზე... ეს ის პერიოდია, როცა დავ-კარგეთ აფხაზეთი და ოსეთი. წარმოიდ-გინეთ, ეს თემა რა მძიმე იყო ყველა ქარ-თველისთვის. აკაკი ბაქრაძე, მიხეილ ქურდიანი, მაია ნათაძე, ზურაბ ჭუმბური-ძე და ვინ მოთვლის კიდევ... ვინ არ დადი-ოდა მასთან სტუმრად?! მათ „სტუმარიც“ არ ერქვათ, ისინი თითქმის ცხოვრობ-დნენ ბატონ მაგალისთან!

ამ დიდებულ ადამიანთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად ვატარებდით საღამოებს, იყო დიდი მხიარულება, სჯა-ბაასი. ჩემი ქეთინო სახელდახელოდ წყალზე და შაქარზე დაამზადებდა ბლი-თებს, დავიდგამდით თითო ფინჯან ჩაის და ისეთი მხიარულება და ბედნიერება სუ-ფევდა, გარეშე მსმენელს ეგონებოდა, სა-უკეთესო პურ-მარილით სავსე სუფრას ვიყავით შემომსხდარი და ისე ვილხენდით.

ერთი საღამოს ფანჯრები ღია გვექონდა და აწ განსვენებული, ჩვენი უსაყვარლესი მეგობარი და ბატონი მაგა-ლის მართლაც ოჯახის წევრი მიშა ქურ-დიანი ისე ხმამაღლა ყვებოდა აფხაზეთის ომის ამბებს, ფანჯრები მივხურეთ, მე-ზობლები რომ არ შეგვეწუხებინა. მაგრამ ეზოდან ამოგვძახეს, ძალიან გთხოვთ, ჩვენც მოგვასმენინეთ, ისეთ საინტერესო საუბრებს ვისმენთ, ნუ მოგვაკლებთ ამ სიამოვნებასო.

ბატონი მაგალის რექტორობის ხუ-თი წელი მართლაც რომ ბედნიერი ცხოვ-რებით ვიცხოვრეთ და ეს იყო უმძიმესი 90-იანი წლები.... ჩვენ ვიყავით ერთ ოჯა-ხად გაერთიანებული, განუყოფელი იყო ჩვენი საჭმელ-სასმელი. როცა ბატონი მა-გალი სალხინოდან ბრუნდებოდა, რასაც კი იქიდან ნათესავეები გამოატანდნენ, ყველაფერს გვიზიარებდა.

ლილი ნუცუბიძემ ლექსიც კი მიუძ-

ღვნა ჩვენს სახლსა და მის ბინადარ პრო-ფესორებს:

„წმინდა ნინოს სახლი პირველი:

პირველი, მეორე, მესამე – სადარბაზო, მეოთხე – საპროფესორო...“

თავისუფალ დროს ქ-ნი იზეა, ნეს-ტან კვეიძე, ბატონი მაგალი და მე ვსეირ-ნობდით თეთრ ხიდზე. სეირნობის დროს ჩავივლიდით ხოლმე კაფე-ბართან, რეს-ტორანთან, სადაც მენიუს მიმზიდველი რეკლამები იყო გამოფენილი. ერთხელ ბატონი მაგალი შეჩერდა და თქვა, ათას-ნაირი საჭმელი არსებობს, მაგრამ მთელი ქალაქი რომ შემოიარო, ვერსად ვერ ნა-ხავ, სადაც იქნება მარტივი წარწერა: „მჭადი და ყველი“. ურიგო არ იქნებოდა, ამოდენა ქალაქში ასეთი რამე არსებობ-დეს, მე მათი მუდმივი სტუმარი ვიქნებო-დი, ისე მიყვარს მჭადი და ყველიო.

უკვე ვახსენე, ჩვენი მეზობელი და მეგობარი იყო უალრესად საინტერესო, ყველასგან განსხვავებული, უგანათლე-ბუღესი მსახიობი და პოეტი ნესტან კვეი-ძე, რომლის ფანტაზიებს და სიურპრი-ზებს საზღვარი არ ჰქონდა. ნესტანი ბა-ტონი მაგალის ოჯახში ყველაზე ახლობ-ლად თვლიდა თავს და ეს მართლაც ასე იყო. ერთხელაც, თავისი ხელით შეკერი-ლი ახალი კაბით, რომელიც ყოველთვის ექსტრავაგანტური იყო, ავიდა თოდუების ოჯახში და განუცხადა ოჯახის უფროსს, აი, თქვენთვის სიურპრიზი მაქვსო. ბატო-ნი მაგალი რაღაცას მოელოდა საინტერე-სოსა და მნიშვნელოვანს, არ იცოდა, რა ეთქვა, გაკვირვებული შესცქეროდა. ჩვე-ნი ნეტო დატრიალდა და გამოუცხადა, სიურპრიზი ჩემი ახალი კაბაა, რომელიც ჩემი სკოლის ფორმისგან გადავაკეთეო! უნდა შეგეხედათ ბატონი მაგალის გაკ-ვირვებული სახისთვის და მერე მისი კე-თილგანწყობა დაგენახათ ადამიანის მი-მართ: როგორ, ქ-ნო ნესტან, სკოლის

ფორმაც შენახული გქონდათო? და დაუნ-
ყო ხუმრობა, აი, ეგაა რომანტიკოსობა,
სხვა კი არაფერი, ძლივს არ მივხვდი, რა-
ტომ გიყვართ ასე ბარათაშვილი და ვის-
თან მქონია მე საქმეო? შეიძლება, ეს არც
ისე სასაცილოდ მოგეჩვენოთ ახლა, მაგ-
რამ მაშინ მანაც და ჩვენც ყველამ იმდენი
ვიცინეთ, ლამის ყველაფერი გვტკიოდა.

არის მოგონებები, რომლებსაც, ალ-

ბათ, ვერასდროს წაშლი, რომლებიც
ღრმად არის ჩაბეჭდილი შენს მეხსიერე-
ბაში და ყოველთვის თავს გახსენებს...
გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც მე ვარ.
და ვარ ბედნიერი, რომ მყავდა მეგობარი
– მაგალი თოდუა, უბადლო პიროვნება,
დიდებული მამულიშვილი, კაცთმოყვარე,
კეთილშობილი, ინტელექტუალი, მკვლევ-
ვარი... უბრალოდ, კარგი ადამიანი.

მადონა მეგრელიშვილი

თაბორის მთის ახალი ზინადარი

იგი დიდი მეცნიერი იყო და აღმოსავლური სამყაროს უბადლო მცოდნე, რომლის სიღრმესა და „მუსიკის სიტკბობას“ წლების განმავლობაში უშურველად აზიარებდა ქართველ მკითხველს. დროისადმი მისი დამოკიდებულებაც ძალიან ჰგავდა აღმოსავლეთისას – მარადისობაში გატრუნულსა და ევრო-ამერიკული სულსწრაფობისაგან აბსოლუტურად დაცლილს. ისე უკომპრომისოდ იცხოვრა, პიროვნული თავისუფლების სივრცე პოლიტიკური ამინდების შესატყვისად არ შეუცვლია. ჯიუტად, დიდ მეცნიერთათვის დამახასიათებელი რწმენითა და გატაცებით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს. სიჭარმაგის ჟამსაც (თვით ოთხმოცდაათი წლის მაგალი თოდუაზეც კი ვერაფრით ვამბობდი, მოხუცებულობისამეთქი) მარადიულ ახალგაზრდად დარჩა. მეცნიერებაშიც ნამდვილი ხელოვანი იყო, რომ არაფერი ვთქვათ მის ლექსებსა და ბრწყინვალე თარგმანებზე.

არასოდეს დამავინწყდება, საპატრიარქოს რადიოარხ „ივერიაზე“ ჩემს საავტორო პროგრამაში როგორ ინტერესს იწვევდა მის ნებისმიერ წიგნზე საუბარი. განსაკუთრებით, როცა მაგალი თოდუას მიერ ბრწყინვალედ ნათარგმნი წიგნიდან – „მაცხოვარი და ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში“ – ლექსები წავიკითხე, უამრავი აღფრთოვანებული მსმენელი რეკავდა და გვეკითხებოდა, სად შეიძლება ამ დიდებული წიგნის მოძიებაო. კრებულს წამძღვარებული ჰქონდა ბატონი მაგალის წინათქმა და ეს სიტყვები ისეთივე უშუალოებით, სისავსითა და გულითადობით იწყებოდა, თითქოს მკითხველთან ერთად მსმენელსაც მიმართავდა:

„აღბათ, ბევრი ქართველი ამ სათაურს რომ წავიკითხავს, გაოცდება: როგორ! სპარსული პოეზია ხომ მუსულმანურია, მუსულმანები კი იესო ქრისტეს

და ღვთისმშობელს განა ასე სცემენ პატივს, რომ მათზე ლექსებს წერენო? დიას, დარბაისელო მკითხველო, არა მართო მსოფლიოში ასე განთქმული პოეზია, არამედ მთელი მუსულმანური სამყაროს მხატვრული ლიტერატურა, არაბული იქნება იგი, თურქული, ავღანური თუ სხვა, გაჟღენთილია იესო ქრისტეს და მარიამ ღვთისმშობლის სიყვარულითა და პატივისცემით. ინდოეთიდან მაროკომდე გადაჭიმული მუსულმანური ქვეყნების პოეზიაში მაცხოვრისა და ღვთისმშობლისადმი სიყვარულსა და მონივნებს თვითონ მათმა სჯულის წიგნმა, ყურანმა მისცა მაგალითი...“

ეს წიგნი, გარდა იმისა, რომ ავტორის სხვა წიგნებივით, თავისთავად იყო დიდი კულტურული, შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულების მატარებელი ლიტერატურული ფაქტი, ჩემი აზრით, განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი მისიითაც ჩაჯდა ჩვენი ურთულესი დროის კონტექსტში. გარდა შემოქმედებითი აქტისა, ეს იყო გულითადი, იქნებ გაუცნობიერებლადაც კი, უაღრესად დახვეწილი დიპლომატიის საგულისხმო ნიმუში. ამდენგვარი სექტით, დაჯგუფებით, პარტიით, ორგანიზაციით, განხეთქილებით, ტერაქტით, ხანძრით, ეთნოკონფლიქტით, პოლიტიკური თუ რელიგიური ომით, უპრეცედენტო მიგრაციებითა და დევნილთა კატასტროფებით დასერილი, გადაქანცული სამყაროსათვის თითქოს უნდოდა, პავლე მოციქულის სიტყვებით შეეხსენებინა, რომ ქვეყნებს, სახელმწიფოებს, ერებს, ადამიანებს ერთმანეთისა არაფერი უნდა ემართოთ სიყვარულის გარდა.

ყოველთვის მანუხებდა განცდა: ადამიანებს, რომელთაც ღმერთმა ერთ დროში, ერთ ქალაქში, ერთ უბანში, ერთ სახლში გვარგუნა ყოფნა, ისე გაგვყავს

ჩვენი ცხოვრება, რომ ერთმანეთს მხოლოდ სქმატურად აღვიქვამთ. თუმცა ამ სტერეოტიპული აქსიომის მსხვერველაში „მწერალთა სახლის“ ბინადრებს ისიც გვშველოდა, ერთმანეთის ნაჩუქარ ნიგნებს რომ ვკითხულობდით. და ჩვენი სულის, განცდის, ემოციის, ფიქრის, ინტელექტისა თუ ხასიათის ბედისწერული ნაყოფები ხელისგულზე გვედო. არ ყოფილა შემთხვევა, მე და ჩემს მეუღლეს, აკაკი მინდიაშვილს, ბატონი მაგალისთვის ჩვენ-ჩვენი ნიგნები გვეჩუქებინოს და მას საოცარი ოპერატიულობით, თითქმის ორ-სამ დღეში არ გაეზიარებინოს თავისი შთაბეჭდილებები. ისეთ დეტალებზე გვიმახვილებდა ყურადღებას, ვგრძნობდით, ნიგნში აბზაცი არ იყო ნაუკითხავად დარჩენილი.

უცნაური სიარული იცოდა და ამ სიარულში რომაული სენტენციის „იჩქარე ნელა“-ს სიბრძნეს არა მხოლოდ ალევგორიულად, მეტაფორული მნიშვნელობით ვხედავდი, არამედ პირდაპირი, ფიზიკური მნიშვნელობითაც. ზამთარ-ზაფხულ, დარსა თუ ავდარში ბავშვივით პატარ-პატარა, მაგრამ ჩქარი ნაბიჯებით მიზანსწრაფულად მიეშურებოდა სამსახურისაკენ და სიხარულით სავსე ბრუნდებოდა შინ.

სიხარულით, რადგან შინ ათასგვარი გატაცებით, ღვთის მიერ სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებული – პოეზიით, ფერწერით, მუსიკით სავსე, ულამაზეს ხესავით მსხმოიარე შვილებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით დახუნძლული, მუდამ იუმორითა და მხურვალე ტემპერამენტით გადალიცლიცებული დიდი და ბედნიერი ოჯახი ელოდა.

80-იანი წლებიდან მოყოლებული, გამუდმებით გვჩუქნიდა ძვირფას ნიგნებს უთბილესი კოლეგიალური და ადამიანური სიყვარულით სავსე წარწერებით. ასე გაჩნდა ჩვენს ოჯახში სპარსული პოეზიის ორტომეული, ნიზამი განჯელის ლირიკუ-

ლი ლექსები, არმალანი – აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, რუმის მისტიკური პოეზია, „ქილილა და დამანა“ მაგალი თოდუასეული გამოკვლევით, კომენტარებითა და ლექსიკონით, ირანელ მეფეთა ფირმანები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მისი პრეზიდენტობის ყამს დაარსებულ ჟურნალთა ნომრები, მის მიერვე დაარსებული ჟურნალი „ქართველოლოგია“ და სხვა.

მაგალი თოდუას, როგორც დიდი მეცნიერის, მკვლევრისა და მთარგმნელის ფასი ბოლომდე ჰქონდათ გაცნობიერებული ჩვენს აღმოსავლელ მეგობრებს. ამიტომაც იყო, რომ ირანში, მსოფლიოს წლის ნიგნის მე-16 ფესტივალზე წილად ხვდა პატივი, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტისგან მიელო ოფიციალური მადლიერების გამოხატულება. მაგალი თოდუას იცნობდნენ და პატივს მიაგებდნენ არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ უცხოეთში, მთელი მსოფლიოს ირანისტიკის სამეცნიერო წრეებში.

პირადად მე მქონდა ბედნიერება, „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბატონ მაგალისთან ერთად მონაწილეობა მიმელო პოემის გარკვეული სტროფების გადანერაში. მრგვალი მაგიდის გარშემო ერთმანეთის პირისპირ ვისხედით და მთელი საათის განმავლობაში ჩვენთვის მონიშნულ სტრიქონებს რუდუნებით ვინერდით. მზადდებოდა ოცდამეერთე საუკუნის კულტურის მოღვაწეთა მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ხელით გადანერილი ტექსტი. არასოდეს დამავინყდება ბატონი მაგალი ამ პროცესში. მთელი მისი არსება როგორ იყო მობილიზებული და ერთდროულად კრძალვის, მონინებისა და ახლობლობის როგორი შუქ-ჩრდილები ეფინა სახეზე. ამაში არც არაფერია გასაკვირი. ალბათ, თითზე ჩამოსათვლელია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც რუსთაველის უკიდევანო სამყაროში ასე ბუნებრივად და თავისიანად გრძნობდნენ თავს.

ბატონმა მაგალიმ უაღრესად საინტერესო, სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრა. მახსოვს, ერთხელ მასთან სტუმრობისას, რა გატაცებით გვიყვებოდა სტამბულზე. ორჰან ფამუქის „სტამბული“ ჯერ არ იყო ასე მოდაში შემოსული თბილისში. ისეთი საინტერესო მთხრობელი გახლდათ, ერთბაშად გიცოცხლებდა თვალწინ უცხო გარემოს, მის კულტურას, ყოფა-ცხოვრების წესს. გარდა ტრადიციებისა, შენ თვალწინ იხატებოდა ადამიანური პორტრეტების მთელი გალერეა – უმაღლესი ეშელონებით დაწყებული, მეთუნეუქებით, ვაჭრებით, სტუდენტებითა და ქვეყნის ულატაკესი ფენით დამთავრებული. ყვებოდა გატაცებით, არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობით.

აღფრთოვანებულმა, ჩემი სურვილი გამოვხატე, როცა ვთხოვე: „ბატონო მაგალი, იმდენი რამე გინახავთ, ისეთი შინაარსიანი, მსუყე, ფერადოვანი ბიოგრაფია გაქვთ, იმდენ საინტერესო, გამოჩენილ ადამიანს შეხვედრიხართ ცხოვრების გზაზე, როგორ შეიძლება, ამის შესახებ არ დაწეროთ?!..“

კეთილი ჩაღიმებით, ისე, რომ არ შემოუხედავს, საოცრად ნიშანდობლივი პასუხი გამცა:

– არ მიყვარს მემუარები. ეგ ისეთი ჟანრია, ძალიანაც რომ ეცადო, საკუთარ პერსონას ვერ ასცდები. თავმდაბლობა ვერ გიშველის, მაინც ამპარტავნად გამოჩნდები... იცი, რამდენი ასეთი ამპარტავანი აღმომიჩენია სწორედ მემუარების წყალობით, სულ სხვაგვარად რომ ვიცნობდი და სულ სხვაგვარი კაცი რომ შემრჩა ავტორის სახით ხელში?!

– თქვენ ეგ არ გემუქრებათ, – ვუთხარი ერთგვარი გულუბრყვილობით.

– ეგ ისეთი ცდუნებაა, თუ არ მოერიდე, ვერ აიცდენ, – ისე მიპასუხა, მივხვდი, მემუარებს არასოდეს დაწერდა.

თავის დროზე დიდხანს მახვეწნინა ტელემაუნყებლობა „იბერიის“ არხზე გა-

დაცემა „სილუეტში“ და საპატრიარქოს რადიოარხ „ივერიაში“ მონაწილეობის მიღებაზე. ამ თხოვნაში მისი საყვარელი მეუღლე – ქალბატონი იზეა და ქალიშვილი სოფოც კი ჩავრთე. სულ მპირდებოდა, ბოლოს თითქოს დავითანხმე კიდევ, მაგრამ მერე ისე განვითარდა მოვლენები, ვეღარ მოვასწარი... საშინლად მწყდება გული.

მე მიყვარდა თოდუების ვრცელი სასტუმრო ოთახი, ერთდროულად ბატონი მაგალის სამუშაო კაბინეტსაც რომ წარმოადგენდა. ეს ორმაგი ფუნქცია სადა გემოვნებით მოწყობილი დარბაზისა, რომლის კედლებსაც შვილიშვილის ფერწერული ტილოები ამშვენებდა, სიმბოლურად თითქოს იმ განუყოფლობასა და სიყვარულზე მიანიშნებდა, რაც ბატონ მაგალისა და მის ოჯახს გააჩნდა, როგორც ადამიანებისადმი, ისე საქმისადმი. რალაცნაირი ერთგულებით იდგა ძველი სამუშაო მაგიდა ხელმარცხნივ განთავსებული ბიბლიოთეკის წინ და მისი ზედაპირის მუქი ბზინვარება სამუდამოდ ინახავდა განუყრელი მეგობრის ხელების სიტბოს.

როგორ მოგვწყინდება მაგალის გარეშე, – თითქოს თავისთავს აფხიზლებს და შეუძახებს უფროსი ქალიშვილი ხათუნა.

ყველას თავისი მაგალი ჰყავდაო, – შემომჩვილა მეზობელმა ქეთი ყიფიანმა აცრემლებული თვალებით და გაიხსენა მისი ტყუპი ქალ-ვაჟის მარადიული ზეიმი-სტუმრობა თოდუებთან. ოთხმოცდაათიანი წლების უფულობასა და უშუქობაში, ნეტავი, როგორ ახერხებდა, რომ ჩემს შვილებს გამუდმებით ჯიბეში ხელებჩაწყობილი ეგებებოდა კართან?! მოდი, მოდი, ბავშვებო! მიშველეთ, თორემ შემჭამეს ამ წრუნუნებმა, რალაცის მოპარვას აპირებენ თქვენთვის! მიაშტერდებოდნენ აფუთფუთებულ წრუნუნებს, ჩაუძვრებოდნენ მერე ბატონ მაგა-

ლის ჯიბეში და, ჰოი, საოცრებავ! იქიდან ნაირნაირი, ფერადოვანი კანფეტები და შოკოლადები ამოჰქონდათ!

ათასგვარი ბოროტი ინფორმაციისაგან, უზნეობისაგან, სიმახინჯისაგან, სტატისტიკაში გადასული გაჩვეულებრივებული სიკვდილისაგან გამომშრალ სინამდვილეში ისეთი ემოციური ნიაღვარივით შემოიჭრნენ შვილთაშვილები და დიდი ბაბუს ცხედართან იმდენი ცრემლი ღვარეს, რომ ამის შემხედვარეს ტკივილისა და ერთდროულად უცნაური სიმშვიდის გრძნობა დამეუფლა, – სამყაროში ჯერ კიდევ ადეკვატურად და მწარედ აღიქვამდნენ ძვირფასი ადამიანის თუნდაც ზეცაში გადასახლებას. ჩვენი ეპოქის დაღი – გულგრილობა – მოულოდნელად, გაზაფხულის წვიმასავით მოვარდნილმა წყალდიდობამ, ამ კოკისპირულმა ცრემლთაღენამ თითქოს ერთბაშად გადაახასხასა, პრობლემით გარქოვანებული გულები მოალობო, მოასულიერა.

ვზივარ ახლა სანერ მაგიდასთან და ბატონი მაგალის მიერ ნაჩუქარ წიგნებს ვათვალიერებ. მაგალი თოდუას მიერ თარგმნილი ნიზამი განჯელის ლირიკული ლექსების წიგნი ბოლო ყდაზე ფერმკრთალი შრიფტით აწყობილ ასეთ ინფორმაციას აწვდის მკითხველს: უსახსრობის გამო იბეჭდება

მხოლოდ 20 (ოცი) ცალი.

ეს ორი სტრიქონი, ზოგადად, ეპოქის სულისკვეთებისა და თანამედროვე ქართული ყოფიერების უზუსტეს დიაგნოზად გამოდგება – როცა პრაგმატიზმის ზეობის ხანაში ჩვენი სასიცოცხლო სივრციდან ნამდვილი შემოქმედებითი ღირებულებები გამქრალია და სუროგატების ყოველნამიერი ზიზზიბი და ზეიმია როგორც რეალურ, ისე ირეალურ სამყაროში.

და მაინც, კონკრეტულად, პირადად ჩემთვის, ეს ინფორმაცია იმის მა-

ნიშნებელიცაა, რომ, როცა წიგნი მხოლოდ ოცი ცალი იბეჭდება და გაჩუქებულ ოცეულში ჩვენც ვიგულისხმებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორისათვის არა მხოლოდ საინტერესო მკითხველწყვილად, არამედ საყვარელ ადამიანებად მოვიაზრებით.

ბატონი მაგალისთვის არასოდეს მითქვამს, რომ მიყვარდა. გული მწყდება, თუმცა თავს იმით ვინუგეშებ, რომ მისი ღრმა და მგრძნობიარე გული ამას აუცილებლად იგრძნობდა.

ყოველთვის მჯეროდა, რომ ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. ეს კიდევ ერთხელ დამიდასტურა მაგალი თოდუას დაკრძალვამ. მის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დიდუბის პანთეონი დახურულად გამოცხადდა. რომც არ დახურულიყო, პირადად მე გარდაცვლილთა ჭრელ საზოგადოებად ქცეულ ამჟამინდელ პანთეონში მისი დაკრძალვა ისე არ გამიხარდებოდა, როგორც აქ, სადაც მისმა სხეულმა სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა.

ბატონი მაგალი იმდენად ბუნებრივი ადამიანი იყო, რომ საიდუმლო რიტუალებში მონაწილეობის მიღება მოდად არ უქცევია. როგორც თავად ამბობდა, დიდი ეკლესიური ცხოვრებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ვის, თუ არა საქართველოს ეკლესიას უნდა სცოდნოდა მისი გულისა და ინტელექტის მუხლჩაუხრელი ღვანლი სამშობლოს წინაშე. ამიტომ ღვთის მიერ დაუფასდა კიდევ ეს დაუღალავი შრომა და მისმა სხეულმა სამუდამო განსასვენებელი თაბორის მთაზე მდებარე ფერისცვალების მამათა მონასტრის ეზოში ჰპოვა.

რა ბედნიერებაა, რომ ამ მარადმწვანე მინიერ სამოთხეში ამქვეყნიურ საზრუნავთაგან განდგომილი ბერები ლოცვა-კურთხევას არ მოაკლებენ საყვარელი შვილის სულს.

მაკა ჯოხაძე

კვალი ნათელი

ხანდაზმული მაშინ ვხდებით, როდესაც ამ ქვეყანას ისეთი ადამიანი ტოვებს, როგორცაა მაგალი თოდუა. ისღა დაგვრჩენია, რომ მისი კრეატიული ძალისხმევით თანაზიარი გავხდეთ.

მისი გაქანების მეცნიერს შეეძლო, აერიდებინა საორგანიზაციო-ადმინისტრაციული ან თუნდაც პოლიგრაფიასთან დაკავშირებული სამუშაოები. გასაოცარი კეთილსინდისიერებისა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის კვალობაზე ეს არასოდეს გაუკეთებია. მისი ყოველი ქმედება იმ პატიოსანი ადამიანის პოზიციის მანიფესტაცია იყო, ვისთვისაც საქმის ერთგულება სულიერ სიმშვიდეზე უფრო მაღლა იდგა. მას, სამეცნიერო ინტერესების დიდი დიაპაზონის მქონეს, ხელენიფებოდა რთული საკითხების დამაჯერებელი და მკაფიო ახსნა, რადგან ჰქონდა უზადო ფილოლოგიური ნიჭი, შესაშური ერუდიცია, არაჩვეულებრივი ლინგვისტური ალღო და სტილის შეგრძნება.

იყო რექტორი თუ განყოფილების გამგე, მომხსენებელი თუ მსმენელი, ავტორი თუ რედაქტორი, ლექტორი თუ გამომცემელი – არასოდეს აკლდა გულ-

ნრფელობა, სამეცნიერო სიღრმე, აკადემიზმი და სულის სიფაქიზე.

მაგალი თოდუა, ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონის მკვლევარი, ფილოლოგი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ანუ ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე ენათმეცნიერი და ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას – კეთილსინდისიერი ენათმეცნიერი.

იგი ქმნიდა ისეთ ატმოსფეროს, სადაც ყველაფერი თავისთავად გამოდიოდა და სახელმძღვანელო ინსტრუქციები ზედმეტი ხდებოდა. თუმცა ყველას კარგად ესმოდა, ვინ იყო მთავარი და ბოლო სიტყვა ვის ეკუთვნოდა.

მასთან ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, გონების დისციპლინირება იყო. ეს საკუთარ თავზე გამოვცადა... დამირეკა და აღმოსავლეთმცოდნეთა პუბლიკაციების დიდი ფორმატის კრებულის რეცენზირება დამავალა თავის მიერ დაარსებული ქართველოლოგიის მორიგი ნომრისთვის. არავითარი მითითება არ მოუცია, შემოიფარგლა ერთადერთი წინადადებით: ვიცი, შენ ამას კარგად გაუძღვე-ბიო...

მაგალი თოდუა იყო:

მუდამ ახლის მაძიებელი,
 ჭეშმარიტი მეცნიერი,
 ალღოიანი მკვლევარი,
 უმნიკვლო კოლეგა,
 სანიმუშო მეგობარი,
 მზრუნველი ხელმძღვანელი,
 ერთგული ნათესავი,
 შესანიშნავი მეუღლე,
 უზადო მამა,
 გადაყოლილი ბაბუა,
 უშურველი მასპინძელი,
 გულანთებული მამულიშვილი,
 ყურადღებიანი მეზობელი და სხვა...

და ყოველივე ამისათვის მას შესწევდა ძალა ქადილისა.

მარიკა ჯიქია

მადლიერების ბარათი ბატონ მაგალი თოდუას

ბატონ მაგალი თოდუაზე მოსაგონარის წერა რომ დავინწყე, მაშინვე მივხვდი, ეს ასე მარტივად არ გამომივიდოდა. ჩვენი ოჯახის ყველა წევრი, დიდიც და პატარაც, ბატონი მაგალის ჭირისუფლად განიცდის თავს. მან ყველა ჩვენგანში დატოვა კვალი ნათელი, რომელსაც ვერაფერი წაშლის, ვიდრე სული გვიდგას.

იგი ჩვეულებრივი ცხოვრების წესით ცხოვრობდა, ანუ ყველაზე ძნელი წესით და ირგვლივ მყოფებს გვაძლევდა ბრწყინვალე გაკვეთილებს, თუ როგორ უნდა გვეყვარებოდა მშობლები, დედამისები, ოჯახი, ნათესავები, მეზობლები, სოფელი, სკოლა, უნივერსიტეტი, ე.ი. სამშობლო. გვასწავლიდა, როგორი უნდა ყოფილიყო მოქალაქე, ნამდვილი მეცნიერი, მთარგმნელი, პოეტი, მასწავლებელი, მეგობარი, უბრალოდ კარგი კაცი, ანუ სიყვარულს გვასწავლიდა, რაც ასე აკლია დღევანდელ საქართველოს.

სპარსული პოეზიის მის მშვენიერ თარგმანებს სტუდენტობიდან ვიცნობდი. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მისვლის შემდეგ კი, რა თქმა უნდა, პირადადაც გავიცანი. ეჰ, რა დრო იყო! ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ერთად თავმოყრილი ბრწყინვალე წარმომადგენლები: გ. წერეთელი, ს. ჯიქია, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ანდრონიკაშვილი, ვ. გაბაშვილი, კ. წერეთელი, ვლ. ახვლედიანი, ალ. გვახარია, რომელი ერთი ჩამოვთვალო... სამწუხაროდ, მათ შეუერთდა მაგალი თოდუა. მისი პოეტური ბუნების, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულება იყო ინსტიტუტში აღმოსავლურ ყაიდაზე მონყობილი სამუშაო კაბინეტიც, სადაც დიდიდან საღამომდე ჩაჰკირკიტებდა ურთულეს ქართულ-სპარსულ

ხელნაწერებს, იკვლევდა, თარგმნიდა, ქმნიდა... რა დიდი და სერიოზული მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას.

1990 წელს პრალაში კონფერენციაზე მივდიოდით და ბატონმა მაგალიმ გვთხოვა, თავისი ახალგამოცემული წიგნები ცნობილი ჩეხი აღმოსავლეთმცოდნე ირჟი ბიჩკასთვის გადაგვეცა. ბატონმა ირჟიმ გულითადი მასპინძლობა გაგვინია და მახსოვს, რა მაღალი შეფასება მისცა მაგალი თოდუას შრომებს.

ჩვენი ურთიერთობა უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც მისი მოწაფე ნუგზარ ღუნდუა და მე დავექორწინდით. ნუგზარის ბიძა გურამ კაპანაძე, ცნობილი კარდიოლოგი, ნოდარ დუმბაძის პირადი ექიმი, მრავალმხრივი ნიჭის პატრონი იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჩოგბურთში, თანრიგოსანი მოჭადრაკე, მოთხრობების რამდენიმე კრებულისა და რომანის ავტორი. იგი მეგობრობდა ბ. ხარაწაულთან, გ. დოჩანაშვილთან, ალ. გვახარიასთან, გ. გეგეშიძესთან, მ. ელიოზიშვილთან, ბატონ მაგალისთან... ფერადი ტელევიზორი ახალი გამოსული იყო, ჩემმა მამამთილმა ნოდარ ღუნდუამ მოსკოვიდან ჩამოიტანა, ჰოდა, მოდიოდნენ ხოლმე ფეხბურთის საყურებლად, ან ისე, უბრალოდ, სადილად და იმართებოდა საინტერესო საუბრები სუფრასთან – ქვეყნის ბედ-იღბალზე, მწერლობაზე, თავიანთ შემოქმედებაზე... თითოეული მათგანი გამოირჩეოდა მახვილსიტყვაობითა და იუმორით. ერთხელ გურამმა ბატონ მაგალისთან თავისი ახლად გამოსული რომანი "თავბერა" გამატანა. მე გადავეცი და მორიდებით დავძინე: რა ვიცი, დიდი არაფერია-მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ ინსტიტუტში შემხვდა და მისაყვედურა:

ეგ როგორ თქვით, გურამმა შექმნა სრულიად ახალი, განუმეორებელი სახე თანამედროვე იმერელისა და იმერეთისაო. ეს რომ გურამს ვუთხარი, ძალიან გაუხარდა – მაგალი ტყუილად არაფერს ამბობსო.

სრულიად განსაკუთრებული იყო ბატონი მაგალისა და ნუგზარ დუნდუას – მასწავლებლისა და მონაფის ურთიერთობა. მოგეხსენებათ, რა ძნელია ქართულსპარსული ორენოვანი საბუთების კვლევა. მაგალი თოდუამ წლები შეაღია, ვიდრე არ განაფა ამ საქმეში ნუგზარი. – აღარ შემიძლია, მომკლავს ეს კაციო – წუნუნებდა ნუგა, ბატონი მაგალი კი დაჟინებით უმეორებდა: – ძველი ბიჭობა და მეცნიერება ერთად არ გამოვა, აბა, რა გგონია, ძამია, უშრომლად არაფერი კეთდებაო.

მახსოვს, რა გულწრფელი ცრემლით, შვილივით დაიტირა ნუგზარი. – ჩემთვის მეხის დაცემას უდრის მისი უცარი გარდაცვალება, მეგონა, მომესწრო, მაკარ ხუბუხასა და ვლადიმერ ფუთურიძის მერე ამ საქმის გამგრძელებელი აღარავინ იყო და ეს რა დამემართაო. გარდაცვლილ მონაფესაც ღირსეულად უპატრონა. ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორობისას, როცა უამრავი საქმე ჰქონდა, მის გამოუქვეყნებელ ნაშრომებს რედაქტირება გაუკეთა, შესანიშნავი წინასიტყვაობა წარუმძღვარა და ნუგზარის მეგობრების – თ. აბაშიძის, გ. ბერაძისა და ნ. ნახუცრიშვილის დახმარებით გამოსცა კიდევ. აი, როგორი მასწავლებელი და მოამაგე იყო ბატონი მაგალი!

ჩემი შვილები – ნათია და ნოდარიკო, მაღლიერების ნიშნად ყოველ ახალ წელს ულოცავდნენ მამის მასწავლებელს და მუდამ ნაჩუქარი წიგნებით დატვირთულები ბრუნდებოდნენ შინ. ბატონი მაგალის დიდ სიტბოსა და სიყვარულზე მეტყველებს მისი წარწერაც ერთ-ერთ ბოლო ნაჩუქარ წიგნზე:

ნამუშაოს
ჩემი სუკუაჩქარი მონაფის, ჩემი ცვი-
ვილის, ნუგზარ ფუნფუას ქალწულილ

بسم خدا

განსაკუთრებული სუკუაჩქარი

მაგალი თოდუა

15.12.2010 წ.

این کتاب با عینت و بازنویسی فرستاده شد به: محوری اسلامی ایران در تغلیس مستر شاد است
წიგნი დაიბეჭდა ირანის ისლამური რესპუბლიკის თბილისის
საელჩოს კულტურის განყოფილების თანადგომით

ბატონ მაგალის ჰქონდა იშვიათი უნარი სხვისი კარგის დანახვისა და სიხარულის გაზიარებისა. ბევრი ვიყოყმანე და ბოლოს, მხოლოდ მისი ამ თვისების საჩვენებლად გადავწყვიტე, გამეხსენებინა ჩვენი ერთ-ერთი ბოლო სატელეფონო საუბარი. ჩემი წიგნი "მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში" სოფოს ხელით გავუგზავნე. მეორე დღესვე დამირეკა: – ჩემო მარინე, ხომ იცით, მურმან ლებანიძეს აქვს ლექსი "წარწერა წიგნზე" დათა თუთაშხია": "რომანზედ დამთენებია, ფანჯრებზედ რიბირაბოა: რა ზვრები, რა მტევნებია, ... რა წიგნი დაგინერია, რა სიკვდილები გიგრძენია!" – ზეპირად მითხრა. გუშინ ვერ მოვწყდი, მთელი დღე ვკითხულობდი თქვენს წიგნს და დიდი სიამოვნება მივიღეო. ბოლო წლებია ასეთი ნაშრომი არ წამიკითხავს, ყველაფერი მომწონს: გამოცემის კულტურა, გემოვნება, პატიოსნება... დიდი მაძლობა წინამორბედი მკვლევრების მემკვიდრეობის

გაცოცხლებისთვის და მათ მიმართ გამოჩენილი პატივისცემისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ ეთანხმებით მათო. თამაზ გამყრელიძის სკოლის გაგრძელება, ეს დიდი პასუხისმგებლობაა და გილოცავთ, ამ რთულ გზაზე თქვენი სიტყვა რომ თქვითო. ვინც მე მიცნობს, იცის, რომ ტყუილ-უბრალოდ ქება-დიდებას არავის ვასხამ, ეს არის მომავლის წიგნი, რომელსაც მკითხველი ყოველთვის ეყოლება საქართველოში, ამით თქვენ არა

მარტო ენათმეცნიერებაში, ქართულ კულტურაში დაიმკვიდრეთ ადგილიო. ეს ნაშრომი აუცილებლად უნდა მიართვათ მის უწმინდესობას, ილია II-ს, მე ჩემს ჟურნალში რეცენზიას გამოვაქვეყნებო. მე გაუთავებლად "რას ბრძანებთ"-მეთქი ვუმეორებდი და სიხარულის ცრემლებით ვიხრჩობოდი.

დიდი მადლობა ყველაფრისთვის, ბატონო მაგალი! უღრმესი მადლობა!

მარინე ივანიშვილი

შორია გურჯისტანამდე

მაგალი თოდუა...

ეს სახელი და გვარი, ექვსი-შვიდი წლისა ვიქნებოდი, გურამ პატარაიას დოკუმენტური ფილმის ტიტრებში რომ ამოვიკითხე...

„შორია გურჯისტანამდე“...

ამ არაჩვეულებრივ ფილმს დღესაც ვერ ვუყურებ ხოლმე გულგრილად...

„მეცნიერ-კონსულტანტი პროფესორი მაგალი თოდუა“...

აი, ასე დაიწყო ჩემი დაუსწრებელი ურთიერთობა ამ დიდ ადამიანთან...

მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ გაივლიდა ბარემ ოთხ ათეულ წელიწადზე მეტი და ეს დიდი ადამიანი თავისი „სპარსული პოეზიის“ შედეგების ორტომეულს მიძღვნიდა წარწერით:

„ძვირფას დავით ანდრიაძეს, უნიკალურ კაცს (იმდენი წიგნი მაქვს გაჩუქებული და პირველად ვხმარობ ამ სიტყვას) ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით მაგალი თოდუა“.

22. 5. 2010 წელი აზის თარიღად ...

ბატონი მაგალი თავად იყო უნიკალური კაცი...

უნიკალური და განუმეორებელი თავისი რაღაც უცნაურად მიმზიდველი ტალანტით, ბოლომდე გაშინაგანებული ერუდიციით, მამრულად ძლიერი ინტელექტით, თვითნაბადი გემოვნებით...

რაღაც ჯადოსნური ინტონაცია, რიტმი, ტაქტი გამოსჭვიოდა მის ყოველდღიურ ქცევებში, ანდა უკეთესი იქნებოდა თუ ვიტყოდი, საქციელებში...

უაღრესად მოწესრიგებული ადამიანიც იყო და თავისებური სიშმაგეც ახლდა მის ნატურას...

წელან სიტყვა „ჯადოსნური“ ვიხმარე და ერთხელ, თოდუების ოჯახში მორიგი სტუმრობისას, თავის მომცრო, ასკეტურ საძინებელში გამიხმო – რაღაც

მინდა, მოგასმენინო, ვიცი, მოგეწონებაო...

„mezzo“-ზე მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ ახალ ინტერპრეტაციას უსმენდა...

ჩამოჯექი საწოლზე, ნუ გერიდებაო და... ჩაიძირა კაცი თავის ესთეზისში...

თან მუსიკაზე მებაასებოდა...

შენ რას უსმენო ბოლო დროს – მეკითხება.

არვო პიარტს ვუსმენ-მეთქი...

პიარტი, პიარტი... გაიმეორა – უთუოდ მოვიძიებო...

რახან შენ მეუბნები, გენდობი, თორემ მე მაინც ძველი მუსიკა უფრო მომწონსო...

მუსიკა და ყველაფერი ნამდვილი, უნდა დაძველდეს და დროში გამოიცადოს-მეთქი...

„მიყვარს ყველაფერი ძველი, მიყვარს ყველაფერი სადა!“

„წარსულისადმი გრძნობა-პატივი“ ბატონ მაგალისთან დღევანდლობისადმი გამძაფრებულ განცდასაც ემეზობლებოდა...

მოულოდნელად დამირეკავდა (ანდა ხათუნას თუ სოფოს ჩამოართმევდა ხოლმე ყურმილს), ჩვეული სიტბოთი მომიკითხავდა (ოდნავ საყედურსაც გაურევდა) და მეტყოდა, ჟურნალისთვის რაიმე გექნება თანამედროვე ხელოვნებაზეო...

არადა, ერთი შეხედვით, სად „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“ და სად თანამედროვე (თუ პოსტთანამედროვე) ხელოვნება?!

არა! მაგალი თოდუა იმის მაგალი თოდუა იყო, რომ ისტორია და თანამედროვეობა ერთმანეთზე იყო გადაწნული...

როგორც ნამდვილი ჰუმანიტარი და კულტუროლოგი (კი გაცვდა ეს სიტყვა,

მაგრამ...), ცხადია, იმასაც გრძნობდა და განიცდიდა, რომ პოსტისტორიულსა და პოსტთანამედროვე ხანაში ვცხოვრობდით, რომ „ოქროს ხანა“ აღარ დაბრუნდებოდა...

და მით უფრო ეძალავებოდა თავის თავს, თავის კულტურულ ექსისტენციას...

ბატონი მაგალი, მართლაც, იშვიათად კულტურული კაცი იყო;

კულტურის კაცი...

კულტურა მუდამ უმცირესობაა-მეთქი, გავიხსენე ერთხელ დიმიტრი სერგევიჩი ლიხაჩოვის ფორმულა და, მართალია, ხომ იცი, ოღონდ რა ძნელია ამ ოხერ უმცირესობაში ყოფნაო...

მაგალი თოდუა მისი უდიდებულესობა კულტურული უმცირესობის ერთი ბრწყინვალე ფიგურანტი იყო ჩვენს უბადრუკსა და კატასტროფულად პროვინციულ სინამდვილეში...

ბატონი მაგალის ცხოვრების წესის შემხედვარე, კიდევ ერთხელ რწმუნდებოდი, რომ ვერავითარი სპარსულისა თუ არაბულის ცოდნა, ვერავითარი საფეისბუქო ფაციფუცი, საკუთარი კვაზიპერსონის წარმოსაჩენი აქციები ვერ გაქცევს კულტურის ცოცხალსა და აუცილებელ სუბიექტად..

აი, ამ „კულტურული უმცირესობის“ ნამდვილი წევრი იყო მაგალი თოდუა და არასოდეს დაუმცირებია თავი, ეზრუნა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობისთვის, იმ აკადემიის წევრობისთვის, სადაც თავის დროზე არ „შეუშვეს“ პავლე ინგოროყვა და აკაკი განერელია...

სამაგიეროდ, როგორი მონდომებთა და იმედებით შეუდგა გელათის აკადემიის აღორძინებას?!

და როგორი დანანებით დაემშვიდობა თავის ნალოლიავებ კერას...

აკადემიის ჟურნალმა თავისი თავი ამონურაო და დაუყოვნებლივ დაიწყო

„ქართველოლოგიის“ გამოცემა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, თავისი განყოფილების ოთახში შეგვკრიბა მომავალი რედკოლეგიის წევრები, სათითაოდ, თავისი ხელით ჩამოგვინერა ინდივიდუალური გრაფიკი და...

მახსენდება, ჩვენს უპირველეს (და მგონი, ერთადერთ) ნამდვილ არაბისტს, ბატონ აპოლონ სილაგაძეს გადასცა წასაკითხად ჩემი ესსე – დოდიკაზე უკეთესი ვინ შეაფასებსო...

ამასწინათ ჩემს პირად არქივში ქექვისას აღმოვაჩინე თავად ბატონი მაგალის ხელით, ალაგ-ალაგ წითლად ჩასწორებული ტექსტი და პანია ბარათი, უშურველი ქათინაურებით ...

რამდენი რამე გავიხსენო!

იგივე ლიხაჩოვს ჩაუნიშნავს ერთგან – ფიზიოლოგ უხტომსკის ჰქონია ასეთი „დამსახურებული თანამოსაუბრის კანონი“ („Закон заслуженного собеседника“)...

ამ „კანონის“ ყოველდღიურ ყოფაში მოხმობაცაა საჭიროო – დაამატებდა რუსული ინტელიგენციის მამა...

მაგალი თოდუა ასეთი „თანამოსაუბრე“ გახლდათ...

დიალოგისა და დიალოგური კულტურის დიდი ოსტატი...

დიდი ოსტატი...

იცოდა ოსტატობის ყადრი ...

ყადრი ხელოვანებისა...

ასეთი ხელოვანებით იყო დაწერილი თუნდაც „ვეფხის ნახტომი“...

ასეთი ხელოვანებით ნათარგმანევი სპარსული პოეზიის კორპუსი დაგვიტოვა...

მართლაც ალალი იყო მაგალი თოდუაზე რუსთაველის პრემია... ჩვენი უმაღლესი ეროვნული ჯილდო, რომელიც მის უსაყვარლეს შვილიშვილს, მის დიდ იმედს – თაკოს გადასცეს პრეზიდენტის სასახლეში...

მაგალი თოდუას გახსენებას მართლაც სხვანაირი ენა უნდა საქებრად, სხვანაირი გული და ხელოვანება...

და ასეთი მემუარიც სხვა დროისთვის მინდა შემოვინახო...

უკეთეს დროთათვის...

თუმცა, დადგება კი ეს „უკეთესი დრო“?!

მე ისევ ის დრო მახსენდება, ჩემი ყმანვილობის ლამაზი ხანა...

გურამ პატარაიას ფილმი...

„შორია გურჯისტანამდე“...

და ტიტრები...

„მეცნიერ-კონსულტანტი პროფესორი მაგალი თოდუა“

მართლაცდა, რა შორია...

და რა ახლო...

დავით ანდრიაძე

მაგალი თოდუა

დიდმა ირანისტმა და ასევე დიდმა მთარგმნელმა მაგალი თოდუამ, ძირითადად, ორი მიმართულებით იღვანა – სამეცნიერო და მთარგმნელობითი და ორივე მიმართულებით წარუშლელი კვალი დატოვა.

აღმოჩენათა ტოლფასი და სენსაციურია მისი ისეთი მეცნიერული ნაშრომები, როგორებიცაა: „XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები“,

„XII-XIII სს-ის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმონერა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან“,

„ზაჰირ ალ-დინ თაფრემის საჯარო პაექრობანი მაკარიოს ანტიოქიელსა და სხვა ქრისტიან მოღვაწეებთან თბილისსა და ლილოში“,

„ქართული წრმოშობის სპარსელი პოეტები“,

„ქართული ნეკროპოლი ირანში“,

„ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავი“,

„უცნობი პოეტი იასე და მისი „სამეცნიერო“ და სხვა.

ასევე, აღმოჩენის ტოლფასია და სენსაციური მაგალი თოდუას მიგნება ლიტერატურის სფეროში, რომელიც ეხება იესოსა და მარიამის სახეს სპარსულ პოეზიაში. მაგალითად, სპარსელი პოეტები ხომ განადიდებენ იესოსა და მარიამს, მაგრამ მაგალი თოდუასგან გავიგეთ, რომ, თურმე, ზოგიერთი მათგანი თავის მხატვრულ სტრიქონებში იესოს უფრო ხშირად განადიდებს და ახსენებს, ვიდრე მუჰამადს.

ქართული ირანისტიკის, ისევე, როგორც ზოგადად ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის, პრიორიტეტული მიმართულებაა ქართულ-ირანული ურთიერთობების კვლევა. ამ მხრივ, მაგალი თოდუა გახლავთ ბრწყინვალე გამგრძელებელი თავისი დიდი მასწავლებლების: იუსტინე აბულაძის, ვლადიმერ ფუთურაძის და და-

ვით კობიძის გზისა. ამის დასტურია მისი ფუნდამენტური გამოკვლევანი „ქილილა და დამანასა“ და „ვისრამიანის“ შესახებ, ირანელ შაჰთა ფირმანების ქართული თარგმანები და მრავალი სხვა.

ირანისტიკაში თაობათა აღმზრდელმა მაგალი თოდუამ თავისი მოღვაწეობის ერთი ნაწილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაატარა, მეორე კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

მაგალი თოდუას ხელმძღვანელობით არაერთი დისერტაცია მომზადდა ირანისტიკაში.

მოხდა ისე, რომ გასული საუკუნის სამოც-სამოცდაათიან წლებში, კულტურული თანამშრომლობის ფარგლებში, საბჭოთა სპეციალისტთა მცირე ჯგუფს მიეცა საშუალება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებისა, რომელშიაც საქართველოდან მოხვედრის ბედნიერება მაგალი თოდუას ხვდა წილად.

რაც შეეხება მაგალი თოდუას, როგორც მთარგმნელს:

იმ ქვეყანაში, სადაც რვა საუკუნეა, ითარგმნება სპარსული პოეზია, სპარსული ლირიკის გემო პირველად მაგალი თოდუას თარგმანებით შეიტკბო ქართველმა მკითხველმა, და აი, რატომ:

ცნობილია, რომ სპარსული პოეზია მეთორმეტე საუკუნიდან ითარგმნებოდა ქართულად, მაგრამ ითარგმნებოდა მხოლოდ ეპიკური ჟანრის ნაწარმოებები. სპარსული ლირიკის თარგმნას კი, მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ამბაკო ჭელიძის თარგმანებით ჩაეყარა საფუძველი.

რა თქმა უნდა, ეს დიდი მოვლენა იყო ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში, თუმცა აღნიშნული თარგმანები მაინც უფრო ინფორმაციულ

ხასიათს ატარებდა და, მხატვრულობის თვალსაზრისით, მხოლოდ გარკვეულ დონემდე აკმაყოფილებდა მკითხველის გემოვნებას.

მაგალი თოდუა აღმოჩნდა ის მთარგმნელი, რომელმაც ამოავსო სპარსული ლირიკის თარგმანებში არსებული მხატვრულად ამორფული სივრცე და ქართველ მკითხველს პირველად შეატკბო სპარსული კლასიკური ლირიკის გემო.

მაგრამ მართო ლირიკის თარგმნით არ შემოფარგლულა მაგალი თოდუა, მან ქართულად გადმოიღო ნიზამი განჯელის პოემები, ნაწყვეტები ფირდოუსის „შაჰნამედან“. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე კი მხატვრული სიტყვის ამ დაულალავმა ოსტატმა გამოაქვეყნა აბდ ორ-რაჰმან ჯამის პოემა „იოსები და ზოლესხას“ თარგმანი პროზად, რომელიც, ალბათ, სხვა მის თარგმანებთან ერთად, ოქროს ასოებით შევა ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მაგალი თოდუას მიერ პროზად მოთხრობილი, არაჩვეულებრივი სისადავით გადმოცემული „ვისი და რამინი“, „ქილილა და დამანა“, „შაჰნამეს“ ნაწილები და სხვა, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

მაგალი თოდუა არ გახლდათ სენაკში ჩაკეტილი, ფოლიანტებში თავჩარგული ბერი, არამედ იყო მეტად აქტიური და ინიციატივიანი საზოგადო მოღვაწე, მაგალითად:

წლების განმავლობაში იგი იყო აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

მისი ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა დიალექტოლოგიის ინსტიტუტი (დირექტორი ტარიელ ფუტყარაძე), რომლის საერთაშორისო კონფერენციათა ცხრამეტი ტომი ამშვენებს დღეს ქართული წიგნის თაროს.

ასევე, მისი ინიციატივით დაუმეგობრდა ერთმანეთს ქუთაისისა და გილანის უნივერსიტეტები და პირველად დაირწა გილანის უნივერსიტეტში, ანუ ირანში, ქართველოლოგიის აკვანი.

მაგალი თოდუას ინიციატივითა და მისსავე პნკარედულ თარგმანზე დაყრდნობით თარგმნა იუსეფ-ფურმა სპარსულად „ვეფხისტყაოსანი“.

მაგალი თოდუას ინიციატივით, რვა საუკუნის მერე, აღდგენილ იქნა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტიც თავად იყო წლების განმავლობაში.

მაგალი თოდუა იყო ჟურნალების: „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე“, „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, „ქართველოლოგია“ და „არმაღანი“ – დამაარსებელი და რედქტორი.

მაგალი თოდუამ, არამატერიალურთან ერთად, მატერიალური ძეგლიც დაუტოვა ქვეყანას. ორი ათეული წლის წინ, რექტორობის დროს, ქუთაისის უნივერსიტეტის ეზოში საფუძველი ჩაუყარა ეკლესიის მშენებლობას, რომლის სამრეკლოდან დღეს უკვე გაისმის ზარების ხმა.

მაგალი თოდუა იყო საოცრად თბილი და ემოციური ადამიანი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი.

შეგეგებებოდა ყოველთვის ღიმილით.

იყო ხალისიანი და იუმორით სავსე. ყოველთვის რაღაც ახალს გაიგებდი მისგან.

მასთან ყოველი შეხვედრა იყო ზეიმი.

მიუხედავად ასაკისა, ცხრა ათეულს გადაცილებული კაცი, განთიადისას, ოჯახის წევრებმა ნახეს თავის საწერ მაგიდასთან, ავტოკალმით ხელში, ერთი შეხედვით, მისთვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ სამუშაო რიტმში... ოღონდ, მარადიულ ნათელში გადასული.

ქნელია, წერო მაგალი თოდუაზე

ქნელია მაგალი თოდუაზე – ამ არა-ორდინარულ პიროვნებაზე წერა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩემი ირანისტი და ინდოლოგი მამისაგან მსმენოდა. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხათუნა თოდუას თანაჯგუფელობა და მეგობრობა მარგუნა ბედმა და მათ სახლშიც ხშირად დავიარებოდი. 1977 წლიდან უკვე მაგალი თოდუას უმცროსი კოლეგა გავხდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც იგი სპარსული ფილოლოგიის განყოფილებას უძღვებოდა. რა თქმა უნდა, ვიცნობდი მას, როგორც პიროვნებას და როგორც მეცნიერსა და მთარგმნელს, მაგრამ მიმაჩნია, რომ იგი უკეთ გავიცანი მოგვიანებით, 2005-2013 წლებში, როდესაც ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი გახლდით. სამეცნიერო და კულტურული სფერო ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულება იყო და ვთვლი, რომ ამ პერიოდში, ანუ თეირანის გადმოსახედიდან უკეთ დავინახე მაგალი თოდუა; ასევე, შესაძლებლობა მომეცა, ირანის ხელისუფლებისა და სამეცნიერო საზოგადოების სათანადო წრეებისათვის უკეთ გამეცნო ირანისტიკის სხვადასხვა სფეროში მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგები. მეამაყება, რომ მოკრძალებული წვლილი მიმიძღვის მაგალი თოდუასთვის 2009 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემიის მინიჭებაში, რომელიც მან სრულიად დამსახურებულად მიიღო ნომინაციაში „წლის გამორჩეული მკვლევარი“. ეს ცალკე მოგონების თემაა და, იმედია, ამის თაობაზეც დავწერ.

როდესაც მაგალი თოდუას მიერ

1965 წელს დაარსებული და 2016 წელს განახლებული „არმალანის“ სპეციალური ნომრისათვის მოგონების დაწერაზე ვფიქრობდი, გამახსენდა, რომ 51 წლის წინ გამოსული პირველი კრებული ძველი ინდური მწერლობით იწყება, სადაც ჯერ დაბეჭდილია აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის მიერ თარგმნილი „რიგ-ვედას“ ფრაგმენტი, რომელსაც მამაჩემის მიერ სანსკრიტიდან შესრულებული კალიდასას „შაკუნტალას“ ერთი ნაწილი მოსდევს.

ვფიქრობდი, საიდან დამეწყო წერა. ჟურნალ „არმალანის“ რედაქციას შევთავაზე, კრებულში შეეტანა მაგალი თოდუას ოჯახის სახელზე ირანიდან მოსული ორი სამძიმარი, რომელთაგან ერთს ხელს აწერდა ცნობილი ირანელი მეცნიერი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ირანის მეჯლისის ყოფილი თავმჯდომარე, სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის პრეზიდენტი და საადის ფონდის ხელმძღვანელი ლოლამალი ჰადადეღი, მეორეს კი – „ისლამური კულტურისა და კავშირურთიერთობების ორგანიზაციის“ თავმჯდომარე აბუზარ ებრაჰიმი. ორივე წერილი მაგალი თოდუას ოჯახმა თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის წარმომადგენლობის ხელმძღვანელისაგან მოჯთაბა ქამრანფარდისაგან მიიღო. მანვე გაავრცელა ეს წერილები თავისი ფეისბუქის გვერდზე. ორივე სამძიმრის ტექსტი წინამდებარე კრებულში ქვეყნდება.

ფეისბუქზე დადებულ სამძიმრებს რეაქციები მოჰყვა. აბა, რის ფეისბუქი იქნებოდა! ტრადიციული გაზიარებები, წუხილი... მაგრამ ერთი სპარსულენოვანი კომენტარი იმდენად უცნაური და გამორჩეული აღმოჩნდა, რომ მისი თარგმნა და კომენტირება საჭიროდ ჩავთვალე. აი,

სიტყვა-სიტყვით რა დაწერა ქართველი ირანისტებისათვის საკმაოდ ცნობილმა, საქართველოში არაერთხელ ნამყოფმა ირანელმა მეცნიერმა, გეოგრაფმა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ექსპერტმა, დოქტორმა ბაჰრამ ამირაჰმადიანმა, რომლის კალამსაც ეკუთვნის წიგნები „საქართველოს გეოგრაფია“, „საქართველო ისტორიის გასაყარზე“, როინ მეტრეველის „საქართველოს ისტორიის“ სპარსული თარგმანი და სხვა პუბლიკაციები სამხრეთ კავკასიის ისტორიასა და დღევანდელობაზე:

„ცნობილი ქართველი ირანისტი მაგალი თოდუა გარდაიცვალა.

ღმერთმა შეუნდოს.

ნიშაბურში ხაიამისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია იმართებოდა. მე ირანისა და საქართველოს მეგობრობის ასოციაციის მდივნის რანგში ოფიციალურად დასაპატიუებლად ვეახლე მაგალი თოდუას, რომელიც იმ დროს გილანის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. მოვახსენე საქმის ვითარება. მან მკითხა, საქართველოდან კიდევ ვინმე თუ მონაწილეობდა. ვუპასუხე: „დიახ, ხაიამის ლექსების ქართულად მთარგმნელი ბატონი ჩხელიძეც ესწრება (?! – ნ.ნ.)“. მან ბრძანა: „იგი ჩემი სტუდენტი იყო. რადგანაც ის ჩემზე ადრე დაგიპატიუებიათ და ჩამოსულა, ამას მე საკუთარ შეურაცხყოფად ვთვლი და თქვენს მოწვევასაც არ ვიღებ“. მე ბევრი ვეცადე, მაგრამ არ იყაბულა და განბილებული დავბრუნდი თეირანში.

როდესაც მრავალი წლის წინ ეს სახელოვანი ირანისტი პირადად გავიცანი, მის ნაშრომებს უკვე ვიცნობდი. 1995 წლის ზაფხულში მას [მაგალი თოდუას] შინ ვეახლე. მან ერთი ფურცელი მაჩვენა, რომელზეც შაჰრიარის [ირანელი პოეტის – ნ.ნ.] ლამაზი ხელით ყაზალი ეწე-

რა. ეს ფურცელი ოსტატს მაგალი თოდუასათვის უჩუქებია. [შაჰრიარს] დაეწერა, რომ ეს ყაზალი მხოლოდ მას [ანუ მაგალი თოდუას] ეკუთვნოდა და მისთვის უთხოვია, რომ მისი [პოეტის] სიკვდილის შემდეგ დაებეჭდა. რამდენჯერმე სხვადასხვა წლებში, ბატონ დამირჩისა და ბატონ საბერის ელჩობის პერიოდში, ეს ამბავი მოვიკითხე. ვერავინ შეძლო მაგალი თოდუასთვის ამ ყაზალის გამორთმევა. ისიც ითქვა, თითქოს მან ეს ქმნილება ერთ ქართულ გამოცემაში დაბეჭდა, მაგრამ მე ის არ მინახავს. ყურანი ბრძანებს, მიბარებული თავის პატრონს დაუბრუნეთო. ეს ყაზალი არის ირანის ეროვნული სულიერი საგანძურის ნაწილი. აფსუს, რომ პროფესორმა მაგალი თოდუამ მიბარებული უკან არ დააბრუნა. სიკვდილი ყველას, მათ შორის, მაგალი თოდუას ხვედრიცაა. რამდენი ამაო მცდელობა იყო, რომ ეს ფურცელი დაგვებრუნებინა. მაგრამ არ იქნა და არა. აფსუს და ასჯერ აფსუს!“

აი, ასეთი ორიგინალური მოგონება გამოაცხო ბატონმა ბაჰრამ ამირაჰმადიანმა. დიახაც, გამოაცხო. ახლა შევეცდები, ასევე ორიგინალურად გავუკეთო კომენტარი მის ტექსტს. მანამდე კი დავურთავ ორი კომპეტენტური ირანელის კომენტარს, რომელიც ამ პოსტს მოჰყვა.

ზემოხსენებულმა მოჯთაბა ქამრანფარდმა დაწერა: „ან განსვენებულმა მაგალი თოდუამ მე გადმომცა თავისი უკანასკნელი თარგმანების კრებული, რომელშიც ოსტატ შაჰრიარის რამდენიმე ყაზალიც არის. ღვთის შენეებით, ვეცდები, რომ ეს კრებული მალე დაიბეჭდოს“.

ირანის კულტურული მემკვიდრეობის, ხალხური რენვისა და ტურიზმის ორგანიზაციის კვლევითი ცენტრის მკვლევარი, არქეოლოგი დოქტორი აჰმად ჩაიჩი, რომელსაც ჩემგან სმენოდა მაგალი თოდუას და, აგრეთვე, ცნობილ ირანელ

მეცნიერთან იაჰია ზოქასთან მისი ურთიერთობის შესახებ, ასევე გამოეხმაურა ბატონი ამირაჰმადიანის პოსტს: „*დიახ, ურიგო არ იქნება, თუკი მოიძიებენ ოსტატ შაჰრიარის იმ ყაზალს, მაგრამ ირანული მხარეც ვალშია მაგალი თოდუასთან, რადგანაც მას დოქტორ იაჰია ზოქასათვის გადაცემული ჰქონდა დასაბეჭდად გამზადებული და უხვად ილუსტრირებული „ქართველ დიდგვაროვანთა სამოსელი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის მონაცემთა მიხედვით“.* თუ რამეა მოსაძებნი, ესეც მოსაძებნია!“

ორივე კომენტარი სრულიად განსხვავდება ბატონი ამირაჰმადიანის პოსტის პათოსისაგან. მოჯთაბა ქამრანფარდის ღვანლს ქართული ირანისტიკის წინაშე ყველანი კარგად ვიცნობთ. იმედია, იგი დროულად გამოსცემს მაგალი თოდუას ბოლო თარგმანების კრებულს. დოქტორი ჩაიჩი კი, რომლის პაპა გასული საუკუნის 10-20-იან წლებში საქართველოში კომერციული საქმიანობით იყო დაკავებული და, თავრიზში ირანელი ცოლის პარალელურად, თბილისშიც ჰქონდა დარეგისტრირებული ქორწინება ქართველ ქალთან (ამ თემას აქ აღარ განვაგრცობ), შეეხო იმ ამბავს, რომელიც ბატონი მაგალისგან პირადად მსმენია ირანში ჩემი მივლინების პერიოდში. მოჰმად-რეზა შაჰის მმართველობისას მაგალი თოდუას ხშირად უხდებოდა ირანის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობა. მარტო მისი და ალექსანდრე გვახარიას მიერ ქართული თარგმანისა და ხელნაწერების მონაცემების გათვალისწინებით დადგენილი „ვის ო რამინის“ კრიტიკული ტექსტის გამოცემა თეირანში რად ღირს! მაგალი თოდუა იცნობდა დიდ ირანელ მწერლებსა და ინტელექტუალებს: საიდ ნაფისის, ფარვიზ ნათელ ხანლარის, შოჯა-ედ-დინ შაფას, მოჯთაბა მინოვის და მრავალსხვას, მათ შორის, ცნობილ ირანელ ის-

ტორიკოსსა და ხელოვნებათმცოდნეს, კულტურისა და განათლების სფეროში სხვადასხვა მაღალი თანამდებობის მფლობელს იაჰია ზოქას. იგი დედოფალ ფარაჰ დიბას სპეციალურ ოფისშიც მოღვაწეობდა. სწორედ მას გადასცა დასაბეჭდად მაგალი თოდუამ სპარსულ ენაზე შესრულებული გამოკვლევა შუასაუკუნეების ქართველ დიდგვაროვანთა სამოსელის შესახებ, როგორც ეს ასახული იყო ქართულ საეკლესიო კედლის მხატვრობაში. მაგალი თოდუას თქმით, ნაშრომს ახლდა მაღალ დონეზე შესრულებული ფერადი სლაიდები, რაც მის ღირებულებას და მიმზიდველობას კიდევ უფრო ზრდიდა. ირანში 1979 წელს მომხდარი ისლამური რევოლუციის შემდეგ დაიხურა ფარაჰ დიბას ოფისი და ახლა ის ნიავარანის კულტურის სასახლის სახით ფუნქციონირებს. ცხადია, იაჰია ზოქაც მთელი თავისი ავლა-დიდებით იქიდან გამოისტუმრეს. მაგალი თოდუამაც მასთან კავშირი დაკარგა. დაიკარგა ამ ნაშრომის კვალიც. აი, სწორედ მისი ბედ-იღბლის გარკვევას მთხოვდა მაგალი თოდუა. თეირანში რჩევისათვის ზემოხსენებულ აჰმად ჩაიჩის მივმართე. პირველ რიგში, ნიავარანის კულტურის სასახლის ბიბლიოთეკა და არქივი მოვსინჯეთ. იქ გვიპასუხეს, რომ იაჰია ზოქას პირადი ბიბლიოთეკა და არქივი იქ აღარ ინახებოდა. ბატონმა ჩაიჩიმაც იცოდა, რომ უშვილძირო იაჰია ზოქას გარდაცვალების შემდეგ (2000 წელს) მთელი ქონება მის არაპირდაპირ მემკვიდრეებს დარჩათ. მერე გაირკვა, რომ ერთხანს ზოქას ბიბლიოთეკა და არქივი მის თავრიზულ სახლში ინახებოდა. ვინაიდან მეცნიერის მემკვიდრეებს არც წიგნები აინტერესებდათ და არც არქივი, ერთი ვერსიით, მათ ეს მათთვის უმაქნისი „ხარახურა“ პირდაპირ ქუჩაში გამოყარეს. აჰმად ჩაიჩიმ, ასევე, გაარკვია, რომ იაჰია ზოქას შემოქმედებას ერთი ირანელი ქალბატონი იკვლევდა, რომელმაც

ასევე არაფერი იცოდა მაგალი თოდუას ამ ნაშრომის შესახებ. კაცი იმედით ცოცხლობს. ეგებ სადმე მაინც იყოს გაბნეული ეს საჭირო გამოკვლევა. თუ ირანში არა, ეგებ მაგალი თოდუას არქივში აღმოჩნდეს ნაბეჭდი ასლები ან ხელნაწერი?

რაც შეეხება შაჰრიარის ხსენებულ ყაზალს, რომელსაც ბატონი ამირაჰმადიანი მისტირის, იგი ნამდვილად წარმოადგენს ირანის სულიერი მემკვიდრეობის ნიმუშს, მაგრამ თავად პოეტის მიერ ნაჩუქარია მაგალი თოდუასათვის და ახლა მისი კანონიერი მფლობელები მაგალი თოდუას პირდაპირი მემკვიდრეები არიან. ეს უკვე მათი გადასაწყვეტია, სად დაიდებს ბინას შაჰრიარის ხელნაწერი, დარჩება მაგალი თოდუას არქივში თუ თავრიზში ოსტატ შაჰრიარის აკლდამა-მუზეუმში გადაინაცვლებს.

ახლა ხაიამის კონფერენციის ამბავს მივუბრუნდეთ. როგორც გავარკვიე, ამის მომსწრე თაკო ლეკვეიშვილი, მაგალი თოდუას ირანისტი შვილიშვილი ყოფილა, რომელიც ბაბუას ახლდა გილანში. თუ საჭიროდ ჩათვლის, იგი დაწვრილებით და ხატოვნად აღწერს მაგალი თოდუასთან ამირაჰმადიანის ამ ისტორიულ ვიზიტს, ისე ხატოვნად, როგორც მე მიაჩნია. მე კი გავაგრძელებ ამირაჰმადიანის პოსტის ამ ნაწილის კომენტარებს. იქ ნახსენები „ხაიამის ქართულად მთარგმნელი ჩხელიძე“, უეჭველად, ამბაკო ჭელიძე უნდა იყოს, ოღონდ ის ვერაფრით იქნებოდა მაგალი თოდუას სტუდენტი და, 1940 წელს გარდაცვლილი, 2002 წელს ნიშაბურში ვერ ჩავიდოდა. იმ დროს მე თბილისში ვახლდით. თეირანში ჯემშიდ გიუნაშვილი იყო ელჩად და, სავარაუდოდ, ბაჰრამ ამირაჰმადიანი გილანში მისგან იყო გაგ-

ზავნილი. ჩემი ამჟამინდელი მეუღლისაგან, მაშინ კი თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს თარჯიმნისგან, თეა შურლაიასაგან ვიცი, რომ ხაიამის კონფერენციაზე ირანელები ვახუშტი კოტეტიშვილს ეპატიჟებოდნენ, რომელიც მართლაც იყო ერთხანს მაგალი თოდუას სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შემდეგ, ეტყობა, კონფერენციის ორგანიზატორებმა საქართველოს საელჩოსგან გაიგეს რაშთში მაგალი თოდუას ყოფნის შესახებ და, გარკვეული მოსაზრებებით, ერთი ცნობილი ქართველი ირანისტის მეორით ჩანაცვლება გადაწყვიტეს. ნიშაბურში ნასასვლელად გამზადებული და თვითმფრინავის ბილეთის მომლოდინე ვახუშტი კოტეტიშვილი სრულ გაუგებრობაში დატოვეს და უზომოდ გაანაწყენეს მინვევის გაუქმების გამო. მაგალი თოდუასგანაც თითქმის გარანტირებული და პროგნოზირებადი უარი მიიღეს. საბოლოოდ, ნიშაბურში საქართველო წარადგინა სრულიად სხვა პიროვნებამ, თეირანში მყოფმა ახალგაზრდა ირანისტმა ქალბატონმა, რომელსაც არაფერი აკავშირებდა ხაიამთან.

... აი, ასეთი მოგონება გამომივიდა. დოქტორ ამირაჰმადიანის „წყალობით“ მაგალი თოდუას ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენე. სხვა მოგონებებს მომავლისთვის გადავდე.

რაც დრო გავა, კიდევ უფრო გამოიკვეთება ამ დიდი შემოქმედის, მეცნიერისა და მთარგმნელის ღვაწლი. იმედს გამოვთქვამ, რომ მაგალი თოდუას პირდაპირი მემკვიდრეები, რომელთაც ნამდვილად უჭრით კალამი, სათანადოდ აღწერენ სახელოვანი წინაპრის ცხოვრებასა და მრავალფეროვან მოღვაწეობას.

ნიკო ნახუცრიშვილი.

ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი

უნივერსიტეტში ხმა დაირხა, რექტორად აკადემიკოსი მაგალი თოდუა დაინიშნაო, მაგრამ არავინ იცოდა, როდის დაიკავებდა კუთვნილ სავარძელს. მანქანა არ გამოუძახებია, არც არავინ იცოდა, ისე გადაჭრა ეზო და პირველ კორპუსში შევიდა. ეს იყო დიდი კაცის უბრალო ყესტი — მეც ისეთივე ვარ, როგორც თქვენ, მერე რა, რომ აკადემიკოსი და ახლა უკვე რექტორი ვარო?!

ფოიეში ფუსფუსი ატყდა. მავანნი გამოვიდნენ თავიანთი კაბინეტებიდან და ბატონ მაგალის შეეგებნენ. აივსო კაბინეტი მიმლოცველებით...

ჩემი და ბატონი მაგალის პირველი შეხვედრა დაახლოებით ერთ კვირაში შედგა. უნივერსიტეტის კოლექტივის უკეთ გასაცნობად რექტორმა საფაკულტეტო შეხვედრები მოაწყო. პედაგოგიური ფაკულტეტი მაშინდელ 29-ე აუდიტორიაში შეიკრიბა. რექტორმა ხელი ჩამომართვა და, გისმენთო... მეც დავინყე. საკმაოდ ბევრი ვილაპარაკე წარმატებებზეც, პრობლემებზეც, გავაცანი კათედრათა გამგეები და მოვემზადე შეფასების მოსასმენად. დავინახე ბატონი მაგალის მომღიმარი სახე, მოციმციმე თვალები და დიდი სიტბო, რომელიც არ შეიძლებოდა, ყალბი ყოფილიყო. რას ლაპარაკობდა, არ მესმოდა. მაშინ გამოფხიზლდი, როცა ხელი მომხვია და, ყოჩალო, მითხრა...

ჩვენი მეგობრობაც იმ მომენტიდან დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ გვსმენოდა, ჩვენი ახალი რექტორი არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ ცხოვრებისგან გამობრძმედილი კაციაო, მე მასში სიყვარულითა და სიტბოთი სავსე პიროვნებას ვხედავდი და, თანაც, ძალიან დამყოლს, თუ ჭკვიანურ იდეას სთავაზობდნენ. ჩემზე ამბობდა, კაცის ტვინი აქვსო და, უნივერსიტეტში ათი ასეთი აზროვნების ადამიანი რომ მომცა, ყველაფერს სხვაგვარად

გავაკეთებდიო. მე, რა თქმა უნდა, მორიდებით ვეუბნებოდი, აჭარბებთ და, თანაც, მტრებსაც მიჩენთ-მეთქი, მაგრამ მისი სიტყვები მაინც ბევრგან მხვდებოდა წინ. მთხოვა, საბჭოს მდივნად გადმოდი, წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი მჭირდება და, თანაც, მრჩეველიო. უარი ვერ ვუთხარი .ორი წელი ანაზღაურების გარეშე ვიმუშავე უანგაროდ, მისდამი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გამო. შემოძლია თამამად ვთქვა, რომ მე მას ნამდვილად დავეხმარე საბჭოს წევრების გაცნობაში. იყო ისეთი შემთხვევები, რომ ჩემთან შეუთანხმებლად, მავანთა რეკომენდაციით, გადაწყვეტილება თითქმის მიღებული ჰქონდა, მაგრამ მისთვის საკმარისი გამხდარა ჩემი სიტყვები — „არა, ბატონო მაგალი, ეს არ გააკეთოთ.“ და დამთანხმებია. სხდომის შემდეგ გვისაუბრია და, კმაყოფილს, შუბლზე უკოცნია. პრორექტორის სკამი დიდხანს იყო თავისუფალი, რექტორის კაბინეტში შესვლაზე კი რიგი იდგა - როგორც თანამდებობის მსურველთა, ისე ყურში ჩამჩურჩულებელ-რეკომენდატორთა.

ერთ დღეს დამიძახა და მითხრა, მიხსენი ამ გასაჭირისაგან, იმუშავე პრორექტორადო. ჩემმა ცივმა უარმა გააკვირვა. შემოთავაზება რამდენიმეჯერ განმეორდა, ასევე, ჩემი უარიც. ბოლოს მითხრა, გაკვირვებული ვარ, ხალხი სახლშიც მაკითხავს, რას არ მთავაზობენ, შენ კი უარს ამბობ. ახლა დავრწმუნდი, რომ სხვებს ნამდვილად არ ჰგავხარ. ვი-საც მირჩევ, იმას დავნიშნავო. მეც ვურჩიე, ყოფილი პრორექტორი, პატიოსანი კაცი — ზაალ გამრიჭიძე დააბრუნეთ-მეთქი. ასეც მოხდა. მე კი კიდევ ერთი მადლობა დავიმსახურე. ბევრი რამ შემოძლია გავიხსენო, მაგრამ ცრემლები მომერია და გაგრძელება არ შემოძლია...ღმერთმა ნათელში ამყოფოს...

მოუღალავი სული

სიკვდილთან შეხება მოკვდავისთვის ყოველთვის ამოუცნობთან და დიდებულთან შეხვედრას ნიშნავს. როდესაც დიდი ადამიანი მიდის, მით უფრო.

მაგალი თოდუას გადასახლება იმ ქვეყანაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო – ერთდროულად ტკივილიანი და საზეიმო. ტკივილიანი, რადგან მისი წასვლით ქართულ ირანისტიკაში ერთი დიდი ეპოქა, ერთი დიდი თაობის ამქვეყნიური მოღვაწეობა დამთავრდა. საზეიმო, რადგან მისი სული დიდებულად, რჩეულთა საკადრისად გაშორდა წუთისოფელს – სამეცნიერო და შემოქმედებითი აქტიურობის ზენიტში. აღდგომის შემდეგ, ბრწყინვალე შვიდეულში. მშვიდად და უბრალოდ – ისე, რომ არავინ შეაწუხა.

ღირსეულად იცხოვრა, ღირსეულად იღვანა. პირად ცხოვრებაში ბედნიერი იყო, საზოგადოებრივ სფეროში – წარმატებული: არც სიყვარული დაჰკლებია, არც დაფასება... ღვთით ბოძებულ ბრწყინვალე ნიჭს უღვევი შრომის უნარი მიუმატა და უამრავი საინტერესო იდეა რეალურ საქმედ განხორციელდა: სამეცნიერო, მთარგმნელობით თუ საგამომცემლო არენაზე.

გასაოცარი მთხრობელი იყო. მრავლისმნახველს და მრავლისმოფიქრალს, ქმედითსა და შორით დამკვირვებელს, გამჭრიახსა და გონებამახვილს – მუდამ უხვად ჰქონდა სათქმელი, მოსაყოლი – საკამათო თუ არგუმენტირებული; მნიშვნელოვანი და სალალბო. სამწუხაროა, რომ ისე წავიდა, ვერ მოიცალა ამ „სათქმელების“ წიგნად ქცევისთვის. იქნებ არ მოიცალა, იქნებ მოგონებების წერა მცირე ღვანლად მიიჩნია იმ სამეცნიერო მიგნებებისა და ბრწყინვალე თარგმანების გვერდით, რომლებიც დაგვიტოვა. ვინ იცის...

გრძნობდა, დრო ცოტა ჰქონდა. ამქვეყნიური ცხოვრების წლები 90-ს სჭარბობდა უკვე. ჩქარობდა, კიდევ უნდოდა, მოესწრო. კიდევ შეეძლო, მოესწრო. ბოლო წუთამდე წერდა, თარგმნიდა, ახალ პროექტებზე ფიქრობდა. და ამ პროექტებს ახორციელებდა კიდევც.

უფრო ახალგაზრდისთვის, ფიზიკურად უფრო ჯანმრთელისთვის და უფრო „სალად მოაზროვნისთვის“ ფანტასტიკის სფეროდ და ილუზიის ყვავილობად ჩანდა ის პროექტები, რომლებსაც მაგალი თოდუა ცხოვრების მიმწუხრის ჟამსაც კი შემოქმედი კაცის დაჟინებით წარმატებით ახორციელებდა.

ასეთი „უცნაური“ საქმე იყო მისი ბოლო ნამოწყება – ჟურნალი „არმაღანი“. უცნაური, რადგან სრული დაუფინანსებლობის პირობებში ჟურნალი მაინც გამოსცა. თუნდაც ოცი ცალი, თუნდაც საკუთარი ხარჯით, მაგრამ მაინც... „ცოტა ხანიც რომ ვაცოცხლოთ, ეგეც საქმეაო“... აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშების ქართული თარგმანები ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ოთხ წიგნად გამოვიდა მაგალი თოდუას ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით. ეს წიგნები იმხანად დიდი სალიტერატურო მოვლენა იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. და ახლა ამ საქმის გაცოცხლება ითავა. ამჯერად – ჟურნალის სახით. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ნომრის ნახვა მოასწრო. როდესაც „არმაღანის“ არსებობა-არარსებობის თაობაზე ვსაუბრობდით, ვკითხე, ამ დაუფინანსებლობის ფონზე რა აძლევდა ოპტიმიზმის საფუძველს. საწყის ეტაპზე, იქნებ, ავტორებიც დავიხმაროთ და მათი შემოწირულობით გამოვცეთო, მითხრა. „ქართველში არის ეს დვრიტა, რომელიც ყოველთვის იყო, დარწმუნე-

ბული ვარ, უარს არავინ იტყვისო“. სჯე-
როდა, მის მკითხველს ესმოდა „არმაღა-
ნის“ მნიშვნელობა... ასეც აღმოჩნდა,
ამაშიც მართალი იყო.

როდესაც ამ ჟურნალის რედაქტო-
რობა „დამავალა“, უარი ვერ ვაკადრე,
მაგრამ შევყოყმანდი – პასუხისმგებლო-
ბის ტვირთი მაშინებდა. შემატყო და
მითხრა: „იცოდე, ამ საქმეზე უკეთესს
შენ შენს ცხოვრებაში ვერაფერს გააკე-
თებ“. მერე, ვაითუ ეწყინოსო, დაამატა:
„ვერც შენ და ვერც ვინმე სხვა“.

არათუ ჟურნალის შინაარსი და
მხატვრული გაფორმება, არამედ ყველა
წვრილმან-მსხვილმანი ყურადღების ქვეშ

ჰქონდა. ტერმინების, შრიფტის ზომისა
თუ პუნქტუაციის ავანჩავანიც გახ-
ლდათ. გაგვეცინა, როდესაც თანამედ-
როვე ტერმინი „ყდის დიზაინერი“ მის
პოეტურ სმენას მხატვრული ჟურნალის-
თვის უხეშად ეჩვენა და დაინუნა. „მომ-
კაზმველი იყოს. იმავეს ნიშნავს, თანაც,
ძველი ქართული ტერმინია და რატომ
არ დავამკვიდროთო?..“ დავამკვიდრეთ...

...სამწუხაროდ, „არმაღანის“ მესა-
მე ნომერი მისი დამაარსებლის, მასზე
მოფიქრალისა და მისთვის მზრუნველი
კაცის ხსოვნას ეძღვნება.


ღმერთმა სიმშვიდე დაუმკვიდროს
მის მოუღალავ სულს!

მზია ბურჯანაძე

სამკიბრის წერილები ირანიდან

باسمه تعالی

تاریخ: ۱۳۹۵/۰۲/۲۵
 شماره: ۶۰۰/۱۲۷۱
 پست: ندارد



خانواده محترم زنده یاد پروفور ماکالی تودوآ

دگذشت ایران شناس برجسته، مترجم توانا و استاد کران قدر زبان و ادبیات فارسی، پروفور ماکالی تودوآ، موجب تأسف عمیق شد. با همدان ایشان، جامعه علمی و فرهنگی کر جستان و ایران یکی از دانشمندان خد مگزار خود را از دست دادند. حاصل تلاش های چهل ساله آن استاد فرزانه در تالیف بیش از یکصد و بیست مقاله و کتاب به زبان های گرجی، فارسی و روسی همچون عیسی نامه، شاعکار های شعر فارسی، ترجمه اشعار عرفانی مولانا، ترجمه اشعار عرفانی حضرت امام خمینی، تصحیح ترجمه کهن کلید و دونه و دهها اثر دیگر، میراث ارزشمندی را برای نسل امروز و فردای کر جستان برجای گذاشته است و عاالی برای تحکیم پیوندهای دیرین و گسترش تعاملات فرهنگی و ادبی دولت کر جستان و ایران خواهد بود.

اینجانب به نمایندگی از بنیاد سعدی و فرهنگستان زبان و ادب فارسی، همدان آن استاد گرانمایه و محکوش، ربه خانواده محترم ایشان، جامعه علمی، فرهنگی و ادبی کر جستان بویژه ایرانشناسان، استادان و دانشجویان عزیز زبان و ادبیات فارسی تسلیت گفته و از درگاه خداوند متعال برای آن مرحوم علودجات و رحمت واسعه و برای بازماندگان صبر و سلامتی طلب می کنم.

غلامعلی حداد عادل

رئیس بنیاد سعدی و فرهنگستان زبان و ادب فارسی

პროფესორ მაგალი თოდუას ოჯახს

ღრმა მუწახარებას გამოვთქვამ გამოჩენილი ირანისტის, მთარგმნლის, სპარსული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილი პედაგოგის, პროფესორ მაგალი თოდუას გარდაცვალების გამო. საქართველოსა და ირანის კულტურულმა და სამეცნიერო საზოგადოებამ დაკარგა გამოჩენილი მეცნიერი. ბ-ნ მაგალი თოდუამ თავისი მოღვაწეობის რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გამოქვეყნებული ასოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და წიგნის სახით ქართულ, სპარსულ და რუსულ ენებზე, როგორებიცაა ისანამე, სპარსული პოეზიის შედევრები, მოულანას და იმამ ხომეინის მისტიური ლექსების თარგმანი, ქილილა და დამანას ძველი ქართული თარგმანის ტექსტის დადგენა და ათეულობით სხვა ნაშრომი, ძვირფასი მემკვიდრეობა დაუტოვა საქართველოს დღევანდელ და მომავალ თაობებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის, ირანისა და საქართველოს ხალხებს შორის ურთიერთობის ძველი ტრადიციის განმტკიცებასა და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების გაფართოებას.

საადის საზოგადოების და სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის სახელით მიზნდა სამძიმრის სიტყვები ვუთხრა ბატონი მაგალი თოდუას ოჯახს, საქართველოს სამეცნიერო, სალიტერატურო საზოგადოებას, განსაკუთრებით ირანისტებს, სპარსული ენისა და ლიტერატურის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. შევთხოვთ უფალს დაუმკვიდროს მის სულს სამუდამო სასუფეველი, ხოლო მის ოჯახსა და ახლობლებს მონაწილეს სიმტკიცე და ჯანმრთელობა.

ყოლამალი ჰადადადელი

საადის საზოგადოების და

სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის თავმჯდომარე]

شماره:
تاریخ:
پرستش:

باسمہ تعالیٰ



سازمان فرهنگ و ارتباطات اسلامی
رئیس

تنها خداست که باقی می ماند

خانواده محترم زنده یاد پروفسور ماگالی تودوآ

بنای تمدن بشری و ارتباط ملت‌ها با یکدیگر، مرهون مجاهدت‌های علمی و فرهنگی بزرگانی است که عمر پرثمر خویش را صرف گسترش معرفت می‌کنند. بدون تردید بخشی از رابطه فرهنگی ایران و گرجستان حاصل کوشش‌های پروفسور ماگالی تودوآ است.

او با شناخت عمیق و گسترده خود از فرهنگ ایران و اسلام و پیوستگی‌های تاریخی و فرهنگی درهای تازه‌ای از معرفت به روی فرهیختگان دو کشور گشود. نیم قرن مجاهدت علمی این مرد بزرگ، دستاوردهای سترگی برای پیوستگی و ارتباط بیشتر دو کشور داشته است.

با درگذشت او جامعه دانشوران و ایرانشناسان گرجستان پژوهشگری نستوه و علاقه‌مندان به فرهنگ ایران، دوستی بزرگ و فرهیخته‌ای پرتلاش را از دست دادند. فقدان این بزرگ مرد را به جامعه ایرانشناسان و علاقه‌مندان به روابط فرهنگی ایران و گرجستان تسلیت می‌گوییم و از خداوند بزرگ برای ایشان آمرزش طلب می‌کنم.

ابوذر ابراهیمی

პროფესორ მაგალი თოდუას ოჯახს

ცივილიზაციების შენება და ერების ერთმანეთთან დაკავშირება, კულტურის მოღვაწეების სიბეჯითისა და ძალისხმევის შედეგია. ეჭვგარეშეა, ირანსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების დიდი ნაწილი, პროფესორ მაგალი თოდუას დაუღალავი შრომის შედეგია.

ის ირანის კულტურის, ისლამისა და ისტორიული და კულტურული კავშირების ღრმა ცოდნითა და გააზრებით, ცოდნისა და მეცნიერების ახალ სიმაღლეებს შესწვდა. მისი ნახევრასუკუნეზე მეტი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგია ირან-საქართველოს შორის მჭიდრო და ურყევი კავშირები.

პროფესორ მაგალი თოდუას გარდაცვალებით ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ, ირანისტებმა დაკარგეს დიდი მეცნიერი, მკვლევარი, უზადო პიროვნება და დიდი მეგობარი.

ამ დიდი პიროვნების გარდაცვალების გამო მინდა სამძიმარი ვუთხრა მთელ ქართულ საზოგადოებას, ირანისტებს, ირანის კულტურისა და სპარსული ენის მოამაგეებს. უფალმა მომადლოს ნათელი მის უკვდავ სულს.

აბუზარ ებრაჰიმი

კულტურისა და ისლამური კავშირურთიერთობების

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

ჟურნალის პირველი ნომრის კორექტურა გამოცემიდან ერთი თვის თავზე

მედიკოსი

ISSN 2346-8416

ISSN 2346-8416



14, III, 2016წ.


აქტიუმი



აღმოსავლური ჟურნალი



საქართველო



მედიკოსი
ავტორი
1

იანვარი - თებერვალი



თბილისი
2016



გამომცემი მხ. თევზაძე ქიანგაძე

მთავ. ახლი

მას'ული

(1046-1124)

უამმა რამდენიც სიკეთე მიყო
~~მას~~ დამაბერტყა უზვად გონებაზე
 იმდენი მიმტრო და იმდენივე
 დამაკლო ისეც ღატაკს ქონება.
 შეყვარებული არ ვარ, მაშ, რატომ
 არ მაძევეს ფერი და ვგავარ ნაცემს,
 არც ნიამორი ვარ, რად მოვხრილვარ
 წელში? ამაზე პასუხს ვინ გამცემს?
 შენ, თავო ჩემო, გირჩევ, დამშვიდდე!
 სიბრძნე მყოფადის დანახვაშია;
 ცოტაც ითმინე და დღევანდელ დღეს
 შეხედე, როგორც ზღვის ხვაშიადს!
 სიხარბეს გულთან ნუ მიიკარებ,
 დუშმანი შენი სწორედ იგია!
 ამ მარცვლებს კენკვას ნუ უწყებ, ~~მათ ქვეშ~~
 დასაღუშავი მახე გიგია.
 უაღრესობის ცნებას ნუ მიხედვ
 შვების მომტანი არც იგი არ ჩანს.
 დაიმახსოვრე: ახალი ტილო
 ბევრად ჯობია გაცვეთილ ფარჩას.
 მზემ ~~კარგად უწყის~~, ვით გაგვახაროს,
 თავს არ გვაბეზრებს, იცის, ვინატრებს;
 ხან საღღაც მიდის და ბნელში გვტოვებს,
 ხან კი მოდის და მთა-ბარს გვინათებს.
 ჩვენშიც სხვაობა არ არის თითქმის,
 (ყველანი ხომ ვართ ადამის ძენი),
 მაგრამ ჩვენ შორის გარჩევაც გმართებს,
 ზოგნი ბრიყენი ვართ და ზოგნი - ბრძენნი.
 ლითონსაც ბედი ერგო ამგვარი,
 ზოგი რკინაა, ზოგი - ფოლადი.
 ფოლადს მახვილად ჭედავენ მეფის.
 რკინა? თავს იდრეკს ვირის ფოლად* ის.

რკინა, ხახო

ხველის

ნაუნათები მათ ქვეშ

ოვიონი, ყუწყის,

ღრღინა

ღრღინა

გნაბლოვს!

!

ვქოთი * ფოლი - ფლოკვი.

ხს სვერანი

ყნა იყს,



1954 წელი



ქუთაისი, 2004 წელი



მაგალი თოდუა მეულლესთან – იზუა თევზაძესთან ერთად, 1970 წელი



მამი, მამადი
24. XII. 635.

მამადი მამადი



მეუღლესთან ერთად, სალხინო, 2012 წელი



მეულლესთან ერთად




ქალიშვილთან – ხათუნასთან ერთად, ირანი



ქალიშვილთან – სოფიოსთან ერთად, ბაქო, 2005 წელი




შვილიშვილთან – თამარ ლეკვეიშვილთან ერთად, მარტვილის მონასტერი



შვილიშვილებთან – თამარ და ლაშა ლეკვეიშვილებთან და გიორგი გაგოშიძესთან ერთად



შვილთაშვილებთან – ელენე და ეკატერინე ლეკვეიშვილებთან და მარიამ ლომიძესთან ერთად



შვილთაშვილთან – დავით ლომიძესთან ერთად



მ. თოდუა, ალ. გვახარია შვილთან – აკაკისთან ერთად, ი. თევზაძე, ს. თოდუა, რ. შენგელია, მ. ჩაჩავა, ი. კალაძე, ნ. ჩაჩავა, ხ. თოდუა, ნ. ანთელავა. ქვიშხეთი, 1963 წელი



მაია მამაცაშვილთან ერთად



ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, სამარყანდი, 1956 წელი



სხედან: არჩილ სულაკაური, კლარა რამიშვილი.
 დგანან: თამაზ ჩხენკელი, გოგი ჩიქობავა, ქართლოს კასრაძე, მაგალი თოდუა, მირიან მირნელი
 (ციკოლია), ედიშერ ყიფიანი, ზურაბ ჭუმბურიძე, შოთა ლომსაძე



ნოდარ ჯანაშია, ლაფურ ლულამი, არჩილ სულაკაური, მაგალი თოდუა და ქამალ აინი.
 თბილისი, 1953 წელი



იუსტინე აბულაძესთან ერთად, თბილისი, უნივერსიტეტის ეზო, 1950 წელი



დავით კობიძესთან ერთად, თბილისი, უნივერსიტეტის ეზო, 1960 წელი



ნოდარ დუმბაძე, მაგალი თოდუა, ჯანსუღ ჩარკვიანი



კონსტანტინე წერეთელთან ერთად



ირანის დედოფალი ფარაჰ დიბა და შაჰი მოჰამად-რეზა ფაჰლავი,
შოჯა ედ-დინ შაფა და მაგალი თოდუა. ირანი, 1970 წელი



ამრაფ ახმედზიანოვთან ერთად, ირანი, 1970 წელი



კაიროსა და ალექსანდრიის უნივერსიტეტების რექტორებთან ერთად, თბილისი, 1961 წელი



გილანის გუბერნატორთან – ბატონ თაჰაისთან.
მაგალი თოდუას გვერდით უნივერსიტეტის რექტორი – დოქტორი ლოთფი, 1997 წელი



მოჰამად-ქაზემ იუსეფ-ფური და მაგალი თოდუა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულ თარგმანზე
მუშაობის პროცესში. რაშთი, ირანი, 2000 წელი



ირანის ელჩი – ჰოსეინ ამინიან თუსი და მისი მეუღლე
სტუმრად მაგალი თოდუასთან, 2004 წელი



გიორგი სახლთხუციშვილი, ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი –
ეჰსან ხაზაი, მაგალი თოდუა. თბილისი



მაგალი თოდუა, საადის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ბატონი დარბანდი, ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი მოჯთაბა ქამრანფარდი და საადის საზოგადოების ექსპერტი ქალბატონი ხორამი, თბილისი, 2016 წელი



რაშითი, უნივერსიტეტში ლექციაზე.
2000 წელი



სხედან: მ. თოდუა, მ. ცაცანაშვილი, ალ. ჭინჭარაული.
დგანან: ზ. ჭუმბურიძე, გ. მჭედლიძე, ე. ჭელიძე, ა. ნიკოლეიშვილი, თ. უთურგაიძე, ზ.
სხირტლაძე, მ. ქურდიანი, ი. გაგოშიძე.
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი



ზურაბ ჭუმბურიძესთან ერთად. 2016 წელი



არმალანის- მეორე ნომერზე მუშაობის პროცესი. ნანა ჯანაშია, მაგალი თოდუა, მზია ბურჯანაძე. მარტი, 2016 წელი



ტარიელ ჭანტურიასთან ერთად. 2016 წელი

სარჩევი

რედაქციისგან.....	7
თინათინ წიკლაური – „ირანისტი გავხდი სრულიად შემთხვევით“ (ინტერვიუ მაგალი თოდუასთან).....	9
ტარიელ ჭანტურია – მაგალითად... ..	19
ზურაბ ჭუმბურიძე – 70 წლიანი მეგობრობა.....	20
ლია ჩლაიძე – ვინ არის ეს ბიჭი ?!.....	22
ნოდარ ნათაძე – უპირფერო მთხრობელი.....	24
მზექალა შანიძე – ახლახან წავიდა ჩვენგან მაგალი თოდუა	26
ნოდარ მამისაშვილი – ჩემი ბოლო საუბარი	27
ცისანა აბულაძე – „აკაკია, ბატონო, აკაკი“	28
თათული მასხარაშვილი – პირველი ჰონორარი	30
ელიზბარ ჯაველიძე – ჩვენი მაგალი თოდუა	31
სალომე ზურაბიშვილი – მაგალი	33
ავთანდილ ნიკოლეიშვილი – მცირედი მოსაგონარი.....	35
ლევან ბრეგაძე – მაგალი თოდუას მოსაგონარი.....	37
მადონა მეგრელიშვილი – უბრალოდ, კარგი ადამიანი.....	40
მაკა ჯოხაძე – თაბორის მთის ახალი ბინადარი	43
მარიკა ჯიქია – კვალი ნათელი	47
მარინე ივანიშვილი – მადლიერების ბარათი ბატონ მაგალი თოდუას	48
დავით ანდრიაძე – შორია გურჯისტანამდე	51
ნომადი ბართაია – მაგალი თოდუამ.....	54
ნიკო ნახუცრიშვილი – ძნელია, წერო მაგალი თოდუაზე.....	56
თამარ ღვინიაძე – ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი.....	60
მზია ბურჯანაძე – მოუღალავი სული.....	61
სამძიმრის წერილები ირანიდან	63
ფოტოდანართი	67

ყდაზე: ირანული მხატვრობა. ქამალ ად-დინ ბეჰზადი (XV-XVI სს.), „მხატვრის პორტრეტი“.

ტირაჟი 50 (ორმოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com
სწავლული მდივანი 599160619; E-mail: nanio@yahoo.com



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge